

მარინა ნაცვალაძე

**სოფლის მეურნეობის ეღბრადი
განვითარების ეკონომიკური
მექანიზმი**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

მონოგრაფიაში გამოკვლეულია საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრობლემები, კერძოდ: მდგრადი განვითარების საერთაშორისო გამოცდილება და ეროვნულ ტრადიციები გლობალიზაციის პროცესში; სოფლის მეურნეობა და მდგრადი განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობა და მდგრადი აგრარული მეურნეობის პრინციპები; მდგრადი სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბების სტრატეგიები და მოდელები; განხილულია ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის კონცეფციის არსი, მიზნები და მისი კავშირი სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასთან; დახასიათებულია საქართველოში ბიომეურნეობების ჩამოყალიბებისა და განვითარების არსებული მდგომარეობა, მიღებული შედეგები და პერსპექტივები; გაანალიზებულია კონკურენტუნარიანი აგროსექტორის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები; წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაცია, მდგრადი სოფლის მეურნეობის გლობალური ბაზრების ანალიზი და რეგულირება; განხილულია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები; ამასთანავე, წარმოდგენილია სახელმწიფო პოლიტიკისა და საკანონმდებლო გარემოს როლი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეხება საქართველოში ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და გადახდისადმი მზადყოფნის შესახებ კვლევას. ამ ნაწილში ასევე გაანალიზებულია აგრარული პოლიტიკისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები; წარმოდგენილია კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი.

რედაქტორი

პროფესორი ე. ხარაიშვილი

რეცენზენტები:

ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი

ასოცირებული პროფესორი მ. ვანიშვილი

© მ. ნაცვალაძე, 2009

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიასის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-914-8

წინასიტყვაობა

„ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით უნდა განვითარდეს, რაც შეიძლება ძველის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტად იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება. თუმცა განსწავლულად, იგი დიდ სტიმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის წინსვლას, ისე ამ სფეროში გადასახდებულ ბიზნესის განვითარებას და საქართველოს ბაზარზე ქართულ პროდუქციას თავის ადგილს დაუპყრობს“.

სააღდგომო მისტიკა
უწინდელი და უმეტარესი სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-კატინარქი ილია II,
2008 წელი

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მდგრადობის ცნება ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგთან მიმართებაში. მდგრადი განვითარება აუცილებელი პირობაა ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერი დარგის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. მდგრადობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში, რადგანაც კვების პროდუქტები განსაკუთრებული სახის პროდუქციას წარმოადგენს, რომლის წარმოების დონე გარანტირებული და შესაბამისად მდგრადი უნდა იყოს. ეს დარგი დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე და ამავე დროს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს წყვეტს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დეფიციტისა და სურსათის ხელმისაწვდომობის პრობლემის სიმწვავის შემცირება უმნიშვნელოვანესი პირობაა სოციალური და ეროვნული დამაბულობის შესამცირებლად. მოსახლეობის არასათანადო სასურსათო მომარაგებას ძალუძს სერიოზულად გააუარესოს პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის პროცესი და ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უდიდეს საფრთხედ იქცეს.

პრობლემის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ საკითხზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შექმნილი. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ აგრარულ სექტორში დღემდე არ არსებობს მდგრადობის ერთმნიშვნელოვანი განმარტება, პრობლემების კვლევის ერთიანი თეორია და მეთოდოლოგია. დღეს საბაზრო გარემო

ახლებურად, რეგულარულად და კომპლექსურად მოითხოვს მთელი რიგი საკითხების გადაჭრას.

ბიოპროდუქტების წარმოება მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ალტერნატიული, მოწინავე, მზარდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სისტემაა, რომელიც გამოირიცხავს ქიმიური სასუქების, პესტიციდების, გენმოდირებული ორგანიზმების გამოყენებას. ის კანონით რეგულირდება და მეურნეობის მართვისა და სურსათის წარმოების მეთოდები მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება. ბიოპროდუქციის ბაზარი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიოში ბიოპროდუქციაზე არსებული მოთხოვნა მნიშვნელოვნად აჭარბებს მიწოდებას.

სოფლის მეურნეობის დარგების მდგომარეობა, მათი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოების მდგრადობაზე გაძლიერებული კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ, როგორც პრიორიტეტულსა და სტრატეგიულს.

გამოკვლევის მიზანია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების შეფასებისათვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება, მდგრადი განვითარების ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმის განსაზღვრა და მისი სრულყოფის შესაძლებლობების საფუძველზე მოსალოდნელი შედეგების დასაბუთება.

ავტორი მადლიერებას გამოთქვამს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ეთერ ხარაიშვილის, შვეიცარიის ფედერალური ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრის, გარემოსა და აგრარული ეკონომიკის ჯგუფის დოქტორანტის ფატი მამარდაშვილის, თელავის ღვინის მარნის მენჯერის ნინო ბერაიას, კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნეს სკოლის ბაკალავრის, ჰაიფას (ისრაელი) უნივერსიტეტის მაგისტრანტის ლაშა მაჭავარიანისა და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ეკლანას“ მიმართ კვლევის პროცესში გაწეული გულითადი დახმარებისათვის.

თავი I. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და პრინციპები

1.1 გლობალიზაცია, სოფლის მეურნეობა და მდგრადი განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

თანამედროვე მსოფლიო მოვლენათა უჩვეულო სირთულეები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სოციალური წინააღმდეგობები, დემოგრაფიული აფეთქებები, ადამიანის ბუნებრივი გარემო პირობების მკვეთრ გაუარესებას ახდენს. ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების ზრდამ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებამ გააძლიერა ბუნებაზე უარყოფითი გავლენა, დაარღვია პლანეტის ეკოლოგიური წონასწორობა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერებმა, შემდგომ ეტაპზე პოლიტიკოსებმა, უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში ბუნებრივი შეზღუდვების პრობლემებს. 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აღნიშნა სტოკჰოლმის კონფერენციის 20 წლისთავი („საერთაშორისო კონფერენცია გარემოსა და მისი განვითარების შესახებ“), სადაც მიღებული იქნა მდგრადი განვითარების პროგრამა – „წესრიგი XXI საუკუნეში“. გაეროს კონფერენციაზე გარემოს შესახებ (ქ. რიო-დე-ჟანეირო, 1992 წელი) ოფიციალურად გამოცხადებულ იქნა თეზისი ადამიანთა ამჟამინდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებისა და სასურველი გარემოს, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შენარჩუნების პრობლემების დაბალანსებული გადაჭრის უზრუნველყოფის შესახებ. შესაბამისად შემოღებულ იქნა ცნება „მდგრადი განვითარება“. კაცობრიობის განვითარებასთან მიმართებაში ეს ცნება სწორედ ისეთ განვითარებას ნიშნავს, რომელიც არ აყენებს გარემოს გარდაუვალ ზარალს.

„მდგრადი განვითარება“ ნიშნავს მუდმივ, თანდათანობით ზრდას. ევროპულ ენებში ამ ტერმინს (Sustainable Development, Nachhaltige Entwicklung, Development Durable) აქვს უფრო ვიწ-

რო გაგება, კერძოდ, იგი არის – „თანდათანობითი“ (შეიძლება ითქვას „თვითსაკმარისი“) განვითარება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კაცობრიობის სამომავლო არსებობას და ადრინდელი ან პირვანდელი მიმართულებით მის განვითარებას. ტერმინი „მდგრადი განვითარება“ უნდა გავიგოთ როგორც „თვითუზრუნველყოფადი“, ანუ ხანგრძლივად არსებული და უცვლელი თავისი ძირითადი პარამეტრების მიხედვით. როგორც ზოგიერთი მეცნიერი თვლის, მდგრადი განვითარების თეორიის ძირითადი ფესვები უნდა ვეძებოთ ტყის მეურნეობის გერმანულ სკოლაში¹ და ეკოლოგიური კრიზისის გამწვავებაში². აღნიშნული თეორიის წარმოშობა მჭირდოდ უკავშირდება XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრისა და 70-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე ეკოლოგიური პოლიტიკის ევოლუციას. მდგრადი განვითარება დღეს-დღეობით მიჩნეულია განვითარების ერთადერთ გზად.

არაკლასიკური მიმართულების მეცნიერებმა, რომლებიც ამ თეორიაზე თავდაპირველად მუშაობდნენ, მასში შეიტანეს ანტი-ინდუსტრიული, ანტი-ტექნოკრატიული და ანტი-პოზიტივისტური მოწოდება. იმ პერიოდში დამტკიცებას არ საჭიროებდა შემდეგი აქსიომა: ეკოლოგიური საფრთხე გამოწვეულია ინდუსტრიული ეკონომიკური განვითარებით, ეკოლოგიური მდგრადობა და ეკონომიკური ზრდა შეუთავსებელია. ამ აზრს ეყრდნობოდა გარემოს დაცვის შეახებ 1972 წელს სტოკჰოლმში ჩატარებული გაერთიანებული ერების I კონფერენცია³.

პირველი მნიშვნელოვანი და ცნობილი საერთაშორისო დოკუმენტი, სადაც მოხსენიებულია მდგრადი განვითარების თეორია, შემუშავებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენე-

¹ The politics of sustainable development: global norms for national implementation // Environmental politics, Volume 5, #2, 1996, p. 4.

² Розенберг Г.С., Черникова С.А., Краснощеков Г.П., Крылов Ю.М., Гелашвили Д.Б. Мифы и реальность устойчивого развития // Проблемы прогнозирования, №2, 2000, ст. 5.

³ ისევე, როგორც რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის კონფერენცია, ეს კონფერენციაც უნდა გამხდარიყო მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მთავრობათა შეკრებად, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საბჭოთა კავშირმა მას ბოიკოტი გამოუცხადა გაუგებარი მიზეზების გამო.

რალური ანსამბლეაზე 1980 წელს („კონსერვაციის გლობლური სტრატეგია“).¹

მდგრადი განვითარების განსაზღვრება მოხსენების ტექსტში მდგომარეობს შემდეგში: „მდგრადი განვითარება – ეს ისეთი განვითარებაა, რომელიც საშუალებას აძლევს ამჟამინდელ თაობას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები და ამავე დროს არ მიაყენოს ზიანი მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობებს“².

ეკოლოგიური უსაფრთხოების მისაღწევად (მათ შორის გრძელვადიან პერსპექტივაში არსებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობისა და ხარისხის შენარჩუნებით), მდგრადი განვითარება გულისხმობს ეროვნული შემოსავლის მაქსიმალურ და ოპტიმალურ განაწილებას, რომელიც მიღებული უნდა იყოს არსებული ეკონომიკური განვითარებით, უკვე მიღწეული ეკონომიკური ზრდით. ამისათვის საჭიროა რესურსების მობილიზაცია, რომელთა ნაწილი მიემართება სპეციფიკურ ეკონომიკურ სფეროებში, მათ შორის ბუნების დაცვითი სექტორისათვის. მხოლოდ განვითარებულ ეკონომიკაში ხდება შესაძლებელი ეკოლოგიური სექტორის განვითარება, სადაც მოგება რესურსმომხმარებელი დარგებიდან რესურსდამზოგველ დარგებში უნდა გადანაწილდეს.

მდგრადი განვითარების კონცეფციის ადეკვატური და ნათელი შინაარსია ასახული ვ. ლაფერტის განსაზღვრებაში: „მდგრადი განვითარება – ნორმატიული კონცეფციაა, რომელიც ახორციელებს ცხოვრების პირობების რეგულირებას. ეს რეგულირება ხორციელდება ეგრეთწოდებული განვითარების ოთხი პრინციპის საფუძველზე:

- „განვითარების პრინციპი-1“ (მდგრადი განვითარება მოწოდებულია დააკმაყოფილოს ადამიანთა ძირითადი საჭიროებები და ყველა მაცხოვრებლის ცხოვრების ღონე);
- „განვითარების პრინციპი-2“ (პლანეტის მთლიანი მოსახელობის ცხოვრების თანაბარი ღონეები);

¹ შექმნილი ბუნების შენარჩუნების (კონსერვაციის) მსოფლიო კავშირის, ველური ბუნების მსოფლიო ფონდის და UNEP-ის (United Nations Environmental Program) მიერ.


² The World Commission on Environment and Development, "The Brundtland Commission", Our Common Future, Oxford: Oxford University Press, 1987, p. 43.

- „მდგრადობის პრინციპი-1” (რაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ფრთხილი გამოყენებით, ამოწურვის, ბიომრავალფეროვნების, ბუნების რეგენერაციული უნარის რღვევის გარეშე);

- „მდგრადობის პრინციპი-2” (ამჟამინდელ თაობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომავალი თაობების მოთხოვნილებათა ზიანის მიყენების გარეშე, იგივე ცხოვრების დონის პირობებში)¹.

საბოლოო ჯამში, ყველა ჩამოთვლილი აყალიბებს ერთიან პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს მთელს ამ თეორიას – ეს არის „გარემო პლიუს განვითარება.”

ვ. ლაფერტის მდგრადი განვითარების ოთხი პრინციპი



სქემა 1

ზემოთჩამოთვლილი ყველა პრინციპი თანასწორია, თუმცა ცენტრალური ადგილი მათ შორის უკავია „მდგრადობის პრინციპს – 1 და 2”.

მდგრადი განვითარების „ფილოსოფია” ეფუძნება თანასწორობას (დარბობა უფლებები, „თაობათაშორისი” ეთიკა), შორსმჭვრეტელობას (წინდახედულობის პრინციპი) და სისტემურ მიდ-

¹ W.M. Lafferty The politics of sustainable development: global norms for national implementation // Environmental politics, Volume 5, #2, 1996, p. 7.

გომას (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორების ურთიერთკავშირის გაგება).

მე-XX საუკუნის II ნახევარში სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა ერთის მხრივ, გააძლიერა საზოგადოების საწარმოო, ტექნოლოგიური, საომარი პოტენციალი, მეორეს მხრივ, აიძულა საზოგადოება ალაპარაკებულებიყო გლობალურ პრობლემებსა და საფრთხეებზე. სამეცნიერო საზოგადოებრიობის შიშმა გლობალური განადგურების თაობაზე ასახვა ჰპოვა ა. ეინშტეინის, ბ. რასელისა და სხვა მეცნიერების ცნობილ მანიფესტში, რომელის 1955 წელს გამოქვეყნდა. შემდგომში გამოქვეყნდა სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ნ. მოისევივის ხელმძღვანელობით შემუშავებული მათემატიკური მოდელი, რომელიც აღწერდა საზოგადოებასა და ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში მიმდინარე პროცესებს და იწინასწარმეტყველა ე.წ. „ატომური ზამთარი“.

კაცობრიობის დაღუპვის რეალურმა საფრთხემ, კერძოდ ჯერ „ატომური“, ხოლო შემდეგ ენერგეტიკული და ეკოლოგიური ჩიხების გაჩენამ კატალიზატორის როლი შეასრულა და გლობალური პრობლემატიკის კვლევები ერთდროულად რამოდენიმე მიმართულებით წარმართა. სისტემური დინამიკის პრინციპებსა და გლობალურ მოდელებზე „სამყარო-1“ და „სამყარო-2“-ზე დაყრდნობით ჯ. ფორესტერმა და დ. მელოუზმა გააანალიზეს 5 ცვლადის ურთიერთკავშირი. ეს ცვლადებია: კაპიტალდაბანდებები, მოსახლეობა, სურსათი, ბუნებრივი რესურსები, გარემოს დაბინძურება. შეიქმნა მოდელი „სამყარო-3“. მათემატიკური მეთოდებით მოდელირებამ ცხადყო, რომ არსებული ურთიერთქმედების ტენდენციის შენარჩუნება და განვითარების ფაქტორების ზრდა, მსოფლიო საზოგადოებრიობას უკვე XXI საუკუნის I ნახევარში გლობალურ რესურსულ კატასტროფამდე მიიყვანს. ამ კატასტროფის თავიდან აცილებას შევძლებთ მხოლოდ „ნულოვანი ზრდის“ რეჟიმზე გადასვლით.

გლობალიზაციის პირობებში, მდგრადი განვითარების პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთო პრობლემად იქცა. რით

იზომება მდგრადობა? მეცნიერები სხვადასხვა ტიპის კრიტერიუმებს ასახელებენ, მაგალითად:¹

- ეკონომიკური – წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV)²;
- სოციალური – გენდერული ანალიზი;
- გარემოსდაცვითი – გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ); სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;

დღეს-დღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონებში ადგილობრივი მდგრადი განვითარების პროგრამებს სულ უფრო ხშირად ამუშავებენ; სამთავრობო მოხსენებებშიც ხშირად იმეორებენ იმას, რომ ქვეყანა ისწრაფვის მდგრადი განვითარებისაკენ. საზოგადოება ამ დროს ფიქრობს, რომ ეს დაკავშირებულია ეკოლოგიასთან. სინამდვილეში მართლაც სწორედ ეკოლოგიიდან დაიწყო ყველაფერი, როდესაც „რომის კლუბმა“ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა. მაგრამ ყველა ეკოლოგიური პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებში აისახება. დასავლეთის ქვეყნების გაგებით მდგრადი განვითარება – ეს არის ეკოლოგიურად სუფთა წარმოება მოხმარების დონის მუდმივი ზრდის შენარჩუნებით განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა უფრო მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხის საზოგადოებრივ-ეკონომიკური გაგება.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში აღნიშნულია:

„ 3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინ-

¹ ზ. ლომთაძე, მდგრადი განვითარება, საფრთხეები და შესაძლებლობები, 7/18/2006.

² წმინდა მიმდინარე ღირებულება (Net Present Value – NPV) წარმოადგენს პროექტთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებების (PV) ჯამს.

ტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.”¹

პრობლემის ახსნისათვის მნიშვნელოვანია კავშირების ახსნა მდგრად განვითარებასა და მოხმარების დონეს შორის. მდგრად განვითარებაზე გადასასვლელად ღონისძიებები უნდა გატარდეს სახელმწიფოს დონეზე და უფრო მეტიც, მსოფლიო დონეზე.

მდგრადობა და უსაფრთხოება მოცემული სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. მათი დაპირისპირება არ შეიძლება, თითოეული მათგანი მოცემულ სისტემას თავისებურად ახასიათებს.

პასიურ სისტემაში მდგრადი განვითარება გულისხმობს:

- „სტაბილურ განვითარებას” (Sustainable Development);
- კრიზისების არარსებობას ან მათ მინიმალურ როდენობას;
- ელემენტთა „საარსებო გარემოს” შედარებით მუდმივობას.

რაც უფრო მდგრადია მოცემული სისტემა, მისი სტრუქტურა, ცალკეული ელემენტების ურთიერთდაბალანსება, მით უფრო მაღალია და უსაფრთხო მისი ხარისხი. სისტემის ელემენტებს შორის პროპორციებისა და კავშირების დარღვევა იწვევს მის დესტაბილიზაციას და უჩვენებს სისტემის გადასვლას უსაფრთხო მდგომარეობიდან საფრთხეში, დაშლის რეალურ შესაძლებლობას. მაშასადამე, მდგრადობა უსაფრთხოების საფუძველია, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, საქართველოს მდგრადი განვითარება გულისხმობს საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მომავალი თაობებისათვის ზიანის მიუყენებლად, სტრუქტურული დაბალანსების საფუძველზე.

საქართველოს უსაფრთხო განვითარება მოიცავს არამარტო მის მდგრად განვითარებას, ეროვნული ინტერესების დაცვას, არამედ აგრეთვე ხელისუფლების ინსტიტუტების მზადყოფნასა და უნარს, შექმნას ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაც-

¹ საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს), თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.

http://www.constcourt.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=19&info_id=73

ვის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მექანიზმი.¹

აგრარული სექტორი როგორც მსოფლიო ეკონომიკის, ასევე საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა. სოფლის მეურნეობის წილი მსოფლიო ეკონომიკაში 50%-ს, შიდა დასაქმების 20%-ს, ხოლო განვითარებადი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებში – დასაქმების 90% შეადგენს. ეს უნიკალური, ბიოლოგიურ პროცესებზე მჭიდროდ დამოკიდებული წარმოებაა, რომლის განვითარებას არამარტო ეკონომიკური, არამედ ტრადიციული და ეროვნული მნიშვნელობაც აქვს.

ამჟამად თვით „სოფლის მეურნეობის“ ცნებას ზოგჯერ უფრო ფართოდ განმარტავენ, ვიდრე ეს ადრე იყო. მის შესატყვისად მეცნიერები ხშირად ხმარობენ ტერმინს – „აგრარული სექტორი“. ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი ჩამოყალიბებული ცნებებისა და ტერმინების ხელახლა გააზრებას.

ისტორიულად, სოფლის მეურნეობის ქვეშ საკუთრივ მხოლოდ მიწისა და პირუტყვის გამოყენებასთან დაკავშირებული წარმოება იგულისხმება. ამჟამად სასოფლო დასახლებებში საკმაოდ რთული ინფრასტრუქტურა არსებობს თავისი ელექტროქსელებით, გზებით, კომუნალური მომსახურების ობიექტებით და ა.შ.

ჩვენი აზრით, „სოფლის მეურნეობის“ ქვეშ ასევე უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის მეურნეობა, რომელიც სასოფლო ტერიტორიებზე ფუნქციონირებს. იმ წარმოებას კი, რომელიც მიწისა და პირუტყვის გამოყენებასთანაა დაკავშირებული, მიზანშეწონილია „აგრარული“ ვუწოდოთ (ლათ. Agrarius – მიწის, მიწასთან დაკავშირებული). ეს ნაკლებად ჩვეული ტერმინია, მაგრამ მისი არსი უფრო ადეკვატური გახლავთ. „სასოფლო დასახლება“, უფრო მართებული იქნება მივესადაგოთ ყველაფერ იმას, რაც სოფლის მცხოვრებლებთანაა დაკავშირებული და არა მარტო მათ საქმიანობასთან მიწაზე და პირუტყვის გამოყენებით. ვინაიდან უცხოურ ლიტერატურაში მეცნიერები და პრაქტიკოსები „მდგრადი სოფლის

¹ თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე – პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001, გვ. 463.

მეურნეობის”, „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების” ცნებებს იყენებენ, ამიტომ კვლევაშიც ჩვენც ამ ცნებას ვიყენებთ.

რადგან სამეურნეო სუბიექტთა ერთობლიობის მდგრადი განვითარების ქვეშ მათ ეკონომიკურ და ტექნიკურ განვითარებას ვგულისხმობთ, ამიტომ „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების“ სიტყვათშეთანხმება თავის თავში მოიცავს „სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებასაც”, რომელშიც უმნიშვნელოვანესია სოციალური საკითხების პრიორიტეტულობა. ჩვენს ქვეყანაში, მრავალ სასოფლო ტერიტორიაზე დასაქმებისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების პრობლემა ყველაზე აქტუალური რჩება. ამიტომაც საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. თუ საქმე ეხება თვით დარგს, სფეროს, მისი განვითარების ტენდენციებს წარმოების, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსური ანალიზის კუთხით, იგი შესაძლოა შეიცვალოს ტერმინით: „აგრარული მეურნეობის მდგრადი განვითარება”

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ქვეშ შეიძლება გავიგოთ როგორც მდგრადობა ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების, წარმოების ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით, ასევე როგორც მდგრადობა დაბალანსებული განვითარების თვალსაზრისით (გამომდინარე ბუნებრივ-რესურსული შესაძლებლობათა პოზიციებიდან).

სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარება სხვადასხვა პოზიციებიდან განიხილება. ერთ შემთხვევაში, უპირატესად ეკოლოგიური ასპექტები განიხილება, ხოლო მეორეში – უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მოხდა სასოფლო ტერიტორიების განვითარების პრობლემატიკის ორი შემდეგი მიმართულებით დაჯგუფება:

- მდგრადი განვითარების (Sustainable Development) პრობლემები, აშკარა ეკოლოგიური მიმართულებით, შესაბამისად ტერმინისა – „გამძლე“ („Sustainable“);
- სასოფლო განვითარების (Rural Development) პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ მიმართულებასთან და სასოფლო ადგილის განვითარების კომპლექსურობასთან, შესაბამისად ტერმინისა „სასოფლო“. („Rural“)

ამ პრობლემატიკიდან პირველი მიმართულება მოიცავს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ცნებას.

ზოგადად კი, მდგრადობის ცნება სასოფლო ტერიტორიების განვითარების მთელი პრობლემატიკის მომცველია. ამასთან, კომპლექსური (მრავალდარგობრივი) განვითარების პრობლემატიკა მდგრადი განვითარების პრობლემატიკის შემადგენელი ნაწილი ხდება და თავის თავში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ბუნების მოწყობის, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების და სხვა პრობლემატიკას მოიცავს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კი, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების და სოფლის მაცხოვრებელთა ცხოვრების დონის პრობლემებთანაა დაკავშირებული.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი პრობლემებია ყველაზე აქტუალური, რომელთა გადაჭრის გარეშე ვერ მოვახერხებთ მდგრად განვითარებაზე გადასვლას. უნდა გამოიყოს სასოფლო ტერიტორიების განვითარების სპეციფიკურ პრობლემათა ჯგუფი, რომლებიც სამწუხაროდ ვერ პოულობდნენ თავის გადაწყვეტას არსებულ სამეცნიერო მიმართულებათა და პრაქტიკულ ქმედებათა ფარგლებში. ამ პრობლემათაგან ძირითადია:

- თვითგანვითარების საფუძველზე სასოფლო ტერიტორიების განვითარების ორგანიზაცია და დაგეგმარება;

- თვითმმართველობის პროცესებში სოფლის საზოგადოების აქტიური ჩაბმა;

- აგრარული წარმოების დივერსიფიკაცია, სასოფლო ტერიტორიებზე საქმიანობის ალტერნატიული სახეობების დაჩქარებული განვითარება;

- სასოფლო (და არა მარტო სასოფლო-სამეურნეო) საკონსულტაციო საქმიანობის განვითარება;

- სასოფლო ტერიტორიების მარკეტინგი და სხვ.

საქართველოში სასოფლო ტერიტორიების განვითარების პირობები და შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია. ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული პოტენციალის მიხედვით სასოფლო ტერიტორიების ტიპოლოგიზაციის გარეშე ამის გაკეთება წარმოუდგენელია. უნდა განისაზღვროს:

- ბუნებრივად რომელ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდება ეფექტიანი აგრარული წარმოება;
- რომელ ტერიტორიებს აქვთ პოტენციალი წარმოების ალტერნატიული სახეობებისა და ადამიანთა სხვა სამეწარმეო მოღვაწეობისათვის (მაგალითად, რეკრეაციული ზონების სახით);
- რომელ ტერიტორიებზეა საჭირო ცხოვრების და ადამიანთა გარკვეული, თუნდაც ნაკლებად ეფექტიანი საქმიანობის მხარდაჭერა პოლიტიკური ან სხვა სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კერძოდ, ტერიტორიაზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით;

ჩამოთვლილი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია ახალი მრავალსაპექტიანი სამეცნიერო მიმართულების და შესაბამისი დისციპლინების ჩამოყალიბება, ადგილობრივი თვითმმართველობის, საკონსულტაციო სამსახურებისა და მეცნიერებისთვის კადრების მომზადებისა და გადამზადების საკითხთა გადაჭრა.

1.2 სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობა და მდგრადი სოფლის მეურნეობის პრინციპები

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგს. სოფლის მეურნეობის დარგს რიგი თავისებურებები ახასიათებს:

1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებენ ფერმერული მეურნეობები, თუმცა ბაზარზე შესაძლებელია იყოს მსხვილი საწარმოც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია სექტორის მონოპოლიზება. სხვანაირად რომ ვთქვათ, შედარებით წვრილ სოფლის მეურნეობის საწარმოებს ბაზარზე ზემოქმედების მიზნით არ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ რაიმე ჯგუფები. ასევე, ცალკეულ ფერმერს არ შეუძლია წარმოების ისეთი მოცულობის მიღწევა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა საბაზრო ფასებზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე ყოველთვის ბევრი გამყიდველია იმისათვის, რომ რომელი-

მე მათგანმა მნიშვნელოვნად შეცვალოს ფასი, რაც არ უნდა დიდი რაოდენობის პროდუქტი აწარმოოს.

განვითარებულ ქვეყნებში, მიუხედავად სოფლის მეურნეობის ბაზარზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევისა, დარგში შესვლა და დარგიდან გასვლა საკმაოდ თავისუფალია. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში არსებობს საკმაოდ კარგად მომუშავე სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი, ფართოდ არის დანერგილი მისი არენდა, არსებობს იპოთეკური კრედიტი, რომელიც აიოლებს ფერმის შეძენას. ყველაფერი ეს კი ნიშნავს იმას, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების შექმნის ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს მიიღოს ძირითადი რესურსები და პირიქით, ყოველი ფერმერი, რომელსაც აქვს არასაკმარისი მოგება თავისი მეურნეობიდან, შეუძლია გაყიდოს ის რაიმე იურიდიული, ინსტიტუციონალური და ეკონომიკური შეზღუდვის გარეშე.

ამრიგად, აგრარულ სექტორში არსებობს სრულყოფილი კონკურენციის ძირითადი პირობა: 1. ბაზარზე დიდი რაოდენობით გამყიდველების არსებობა, რომლებიც გავლენას ვერ ახდენენ საბაზრო ფასებზე, რადგანაც არ აქვთ მიწოდების დიდი მოცულობა; 2. გამყიდველების თავისუფლება ბაზარზე შესვლაში და ბაზრის დატოვებაში. ე.ი. სოფლის მეურნეობა ეს არის დარგი ხასიათდება სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის სტრუქტურით, რაც ეკონომიკის სხვა დარგებში იშვიათად გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მტკიცება საფუძვლიანია იმ შემთხვევაში, თუ საქმე განვითარებულ ქვეყნებს ეხება, სადაც სრულყოფილი ბაზარი არსებობს. განვითარებად ქვეყნებში ეს ასე არ არის. აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე გამყიდველთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ეს იმით აიხსნება, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილი მაღალია (40-45%). მიწის ბაზრისა და პროდუქციის წარმოებისა და რესურსების გამოყენების განუვითარებლობა აძნელებს და შეუძლებელსაც კი ხდის ბაზარზე შესვლას და ბაზრიდან გასვლას; გარდა ამისა, განვითარებად ქვეყნებში სრულყოფილ კონკურენციას გზას უღობავს სუსტი და არათანაბრად განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა, მწარმოებლებისათვის ფასების შესახებ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა და

როგორც შედეგი, შუამავლების მიერ ფერმერებზე ზემოქმედების შესაძლებლობა;

2. სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება არის მიწის გამოყენება, რომელიც არამარტო ბაზისია, არამედ წარმოების საშუალება. სოფლის მეურნეობაში მიწის, როგორც რესურსის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისებაა ნიადაგის ნაყოფიერება, რომელიც ხშირად არაერთგვაროვანია.

ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად სოფლის მეურნეობის წარმოების დამოკიდებულება მიწასთან დაკავშირებით თანდათანობით შემცირდა, განვითარდა მაღალინტენსიური ტექნოლოგიები მეფრინველეობაში, მეთესლეობაში. მიუხედავად ამისა, მიწა კვლავ რჩება ძირითად წარმოების საშუალებად სოფლის მეურნეობაში. მიწა, ისევე როგორც ყველა რესურსი, შეზღუდულია და ეს თვისება წარმოშობს მიწის რენტის ფენომენს.

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მკვეთრადაა დამოკიდებული გარემო პირობებზე. მაღალი აგრარული კულტურის მქონე ქვეყნებშიც კი, სადაც გამოიყენება მაღალინტენსიური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში, აგრარული წარმოების შედეგები ძველებურად განუჭვრეტელი რჩება. გვალვა, წყალდიდობა, მავნებლები, მცენარეთა და ცხოველთა მასობრივი დაავადებები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს.

4. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობა მეტად შეზღუდულია. უეჭველია, რომ ტექნიკური პროგრესი ამ დარგში უზრუნველყოფს მცენარეთა და ცხოველთა სახეობების სულ უფრო სრულყოფილად კულტივირებული სახეობისა და ჯიშების გამოყენებას. მაგრამ სელექციური საქმიანობა ძირითადად მიმართულია ახალი სახეობის მცენარეებისა და ცხოველების საწარმოო თვისებების სრულყოფისკენ: ავადობის, მავნებლების, ბუნების არასასურველი გავლენის შემცირებისაკენ, პროდუქტიულობის და ტექნოლოგიურობის ზრდისაკენ, მათ შორის მექანიზებული და ხშირად ავტომატიზირებული ტექნოლოგიების გამოყენებით. მაგრამ სელექციონერების მიერ სრულყოფილი ხორბალი ან სტაფილო მისი სამომხმარებლო თვისებებით იგივე რჩება

და მომხმარებლებისათვის ამ პროდუქტების სარგებლიანობის გაზრდა ძნელია.

ამ თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები სხვა სექტორების მწარმოებლებისაგან განსხვავებით, შეზღუდულები არიან პროდუქციის ფასების აწევაში. შედეგად აგრარული სექტორის განვითარების ისტორიის მანძილზე ფასების პარიტეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტზე არ იცვლება აგრარული სექტორის სასარგებლოდ. აშშ-ის აგრარული სექტორის მაგალითზე XX საუკუნის მანძილზე შეიძლება დავაკვირდეთ, რომ ფასები ფერმერების პროდუქტზე ჩამორჩებოდა ფასების ზრდას იმ წარმოების საშუალებებზე, რომლებსაც ფერმერები ყიდულობდნენ.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტზე და სურსათზე მოთხოვნა სპეციფიკურია და აქვს რიგი თავისებურებები. კვების პროდუქტები და სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, მათი დამზადებისათვის საჭირო ნედლეული, მიეკუთვნება პირველადი აუცილებლობის პროდუქტს, ამიტომ მათზე მოთხოვნის საფასო ელასტიკურობა როგორც წესი, 1-ზე ნაკლებია, ანუ არაელასტიკურია. მომხმარებლები ყიდულობენ სურსათის ძირითად სახეობებს მათზე ფასების გადიდებისა და შემცირების მიუხედავად და პრაქტიკულად უცვლელი მოცულობით. დაახლოებით გაანგარიშებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ელასტიკურობის კოეფიციენტი ინდუსტრიულ ქვეყნებში საშუალოდ შეადგენს 0,20 – 0,25, ე.ი. იმისათვის, რომ გაიზარდოს პროდუქციის გასაღება 10%-ით, ფერმერმა ფასები უნდა შეამციროს 40-50%-ით. მოთხოვნის საფასო ელასტიკურობა პურზე შეადგენს 0,15%-ს, ხორცზე – 0,64%-ს, კვერცხზე – 0,32%-ს. კვების პროდუქტების მხოლოდ ძალიან ცოტა რაოდენობას აქვს ელასტიკური მოთხოვნა ფასების მიხედვით. შედეგად, ფასების შემცირება აგროსასურსათო სექტორში არ კომპენსირდება გასაღების გადიდებით და იწვევს ამონაგების შემცირებას.

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობა სურსათზე თავისი შემოსავლის არცთუ ისე დიდ ნაწილს ხარჯავს. ეს გარემოება ასევე განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე და სურსათზე მოთხოვნის საფასო ელასტიკურობის შემცირებას. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, მისი წევრების კეთილდღეობის ზრდის შედეგად

ოჯახის შემოსავლის წილი, რომელიც მოდიოდა კვებაზე, განუხრელად მცირდება, შესაბამისად ეცემა მოთხოვნის საფასო ელასტიკურობა სასურსათო პროდუქტებზე. ე.ი. მოთხოვნის დაბალი საფასო ელასტიკურობა და მისი კლებადობა არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის და სურსათზე მოთხოვნის ერთ-ერთი თავისებურება.

6. მოთხოვნა სოფლის მეურნეობის და სასურსათო პროდუქციაზე არაელასტიკურია შემოსავლის მიხედვითაც. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ცხოველების დაბალი დონის პირობებში, როდესაც კვებაზე ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილი იხარჯება, ოჯახის მიერ ყოველ დამატებით გამოძუშავებულ თანხით ოჯახი ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, დაიკმაყოფილოს მისი მოთხოვნა სურსათზე. როდესაც გამოკვების პრობლემა აღარ არის უპირველესი, მაშინ დამატებით გამოძუშავებული თანხა გამოიყენება სხვა საქონლისა და მომსახურების შესაძენად. ამიტომ შემოსავლის ზრდასთან ერთად კვების პროდუქტებზე და შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნა არაპროპორციულად იზრდება.

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე დაბალი ელასტიკურობა წარმოშობს ე.წ. გრძელვადიან ფერმერულ პრობლემას. თავისთავად, მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობა ჯერ კიდევ არ არის ეკონომიკის სექტორისათვის პრობლემა, თუ მიწოდება არ იზრდება ანდა უმნიშვნელოდ იზრდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბოლო საუკუნის მანძილზე აგრარულმა სექტორმა უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა განიცადა: ცხენის ძალა შეიცვალა მექანიკური ძალით, მოხდა ფერმების ელექტრიფიკაცია, მინერალური სასუქების გამოყენებამ და ქიმიური საშუალებებით მცენარეთა დაცვამ შესაძლებელი გახადა მოსავლის მნიშვნელოვნად გაზრდა, მიღწეულია პროგრესი ცხოველთა და მცენარეთა სელექციაში. მკვეთრად გაიზარდა აგრარული შრომის მწარმოებლურობა – თუ გასული საუკუნეში ამერიკელი ფერმერი კვებავდა 4 ადამიანს, დღეისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის 100 ადამიანია. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებამ სწრაფი ზრდა დაიწყო.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უკავშირდება გარემოს, ამინდს, მცენარეთა და ცხოველთა ავადობის გავრცელებას და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების მიერ პროდუქციის ფიზიკური მოცულობა კონტროლს არ ექვემდებარება

აბსოლუტურ გამოსახულებაში. მეორე მხრივ, მილიონობით მცირე, ქვეყნის ტერიტორიაზე განფენილ მწარმოებლებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ მოლაპარაკება წარმოების ერთიანი კონტროლისათვის საბაზრო კონიუნქტურის რეგულირების მიზნით. შედეგად წლიური აგრარული წარმოების მერყეობა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. მაგრამ საფასო ელასტიკურობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დაბალია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მცირე ცვლილებას მოთხოვნაში თან სდევს ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება.

8. სოფლის მეურნეობა მაღალკონკურენტული დარგია. ბაზრის კანონების ძალით შემოსავლების შემცირების პარალელურად უნდა მოხდეს ფერმერების გადადინება ამ დარგიდან საქმიანობის სხვა, უფრო მომგებია სფეროში. თუმცა პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება, ყოველ შემთხვევაში, ისეთი დონით არა, როგორც მცირდება ფერმერთა შემოსავლები.

პირველ რიგში, განსხვავებით ეკონომიკის სხვა დარგებისაგან, სოფლის მეურნეობა – ეს არის არა მარტო წარმოების სფერო, არამედ ცხოვრების სფეროც. მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანია დაკავებული აგრარული შრომით არა მარტო იმიტომ, რომ ეს მათი ბიზნესია, არამედ გლეხური (ფერმერული) ცხოვრების წესით იგი მასთანაა დაკავშირებული. შედეგად, დასაქმება ამ სექტორში არ რეაგირებს ეკონომიკის კონიუნქტურაზე ისეთივე ტემპით, როგორც სხვა დარგებში. მაშასადამე, აგრარული შრომის მობილობა საკმაოდ დაბალია. აქედან გამომდინარეობს სოფლის ცხოვრების წესისა და ფერმერის თავისებურება. ეს გამოხატულია განსაკუთრებული დამოკიდებულებით ცხოვრებისა და შრომის წესთან, განპირობებულია მოსახლეობის ამ ნაწილისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული საზოგადოებრივი კონსერვატიზმით.

მეორე მხრივ, მაშინაც კი, როდესაც ფერმერი ტოვებს ფერმას, მისი მიწა არ გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, არამედ ხვდება სხვა ფერმერის ხელში. ამგვარად ისინი აფართოებენ თავის მეურნეობას და ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების შენარჩუნება.

მესამე მხრივ, სოფლის მეურნეობაში დანახარჯების სტრუქტურაში მუდმივი დანახარჯები აბსოლუტურად აღემატება ცვალებად დანახარჯებს. შეიძლება შემცირდეს მსხვილფეხა რქოსანი პი-

რუტყვის სულადობა რძეზე მოთხოვნის შემცირების საპასუხოდ, მაგრამ ფერმას მანც სჭირდება საექსპლუატაციო და რემონტის ხარჯები. გარდა ამისა, განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი იპოთეკითაა დაკავებული, ე.ი. ფერმერები ვალდებული არიან გადაიხადონ გარკვეული სარგებლის განაკვეთი მიუხედავად წარმოების მოცულობისა. ზუსტად ასევე, თუ მეურნეობის გაძლიერება ხდება არენდირებულ მიწაზე, ფერმერმა უნდა გადაიხადოს სარგებლის განაკვეთი. საოჯახო ფერმერულ მეურნეობას არ შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვი, რამდენადაც ძირითადი სამუშაო ძალა – ეს მისი ოჯახია, რომლის განთავისუფლებაც შეუძლებელია ბაზრის შეცვლილი კონიუნქტურიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ეკონომიკური კრიზისის პერიოდებში, როდესაც შემოსავლების შემცირება ხდება, ადგილი აქვს სოფლის მოსახლეობის ქალაქებში გადინებას. ამრიგად, რესურსების მობილურობა სოფლის მეურნეობაში გრძელვადიანი ფერმერული პრობლემების გაღრმავებას იწვევს.

სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის დინამიკა, დარგის მთლიან პროდუქტზე გაანგარიშებით მოცემულია ცხრილში №1.

სიტყვათშეთანხმება „სოფლის მეურნეობა“ უმეტესად პოზიტიურ დატვირთვას ატარებს. მაგალითად, ბიოლოგიური, ორგანული, რაციონალური, გლეხური, მდგრადი და სხვ. ხოლო რიგ შემთხვევებში ნეგატიურს: პროდუქტივისტური, ქიმიზირებული და სხვ. ტერმინებს შორის ეს განსხვავებები ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მრავალფეროვანია თანამედროვე სოფლის მეურნეობების მოდელები. ამასთანავე ამ მოდელებთან რიცხვი განუხრელად იზრდება.

ტერმინი – სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობა - არამარტო ახალი ტერმინი, არამედ აზროვნებისა და მოქმედების სტილიც გახდა. ეს ნათლად ჩანს სასოფლო-სამეურნეო მიწებით ბუნების გამოყენების დროს წამოჭრილი პრობლემების ეკოლოგიური, ეკონომიკური, კულტურულ-ისტორიული ასპექტების ერთობლივი ანალიზის დროსაც. ევროკავშირის მეორე ევროპულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო რეგიონების განვითარება მხოლოდ სოფლის მეურნეობას ვეღარ დაეყრდნობა. იგი მოითხოვს აგროსამრეწველო სექტორის დივერსიფიკაციას

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქტის საშუალოწლიური ინდექსი და მთლიანი პროდუქტი ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობაში 1989-2005 წლებში.

ცხრილი №1

	სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქტი	მთლიანი პროდუქტი ერთ დასაქმებულზე სოფლის მეურნეობაში
ავსტრია	1,3	5,7
ავსტრალია	2,0	2,4
ბელგია-ლუქსენბურგი	0,7	3,9
დიდი ბრიტანეთი	2,1	3,8
გერმანია	1,3	4,9
საბერძნეთი	2,0	--
დანია	2,6	6,2
ირლანდია	2,6	6,0
ესპანეთი	2,8	7,9
იტალია	1,4	5,0
კანადა	1,8	2,2
ნიდერლანდები	2,8	4,7
ნორვეგია	2,3	5,3
პორტუგალია	1,9	1,8
აშშ	2,0	2,3
თურქეთი	2,9	2,8
ფინეთი	2,1	5,9
საფრანგეთი	2,1	5,9
შვედეთი	2,0	4,7
იაპონია	0,6	4,6

წყარო: OECD და FAO მონაცემები¹

¹ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (Organization for Economic Cooperation and Development-OECD), რომელიც ჩამოყალიბდა 1961 წელს და ახდენს ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას. მისი წევრების რიცხვი 30-ს შეადგენს და მასში შედის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, კანადა, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, სამხრეთ კორეა და ავსტრალია. გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობისა ორგანიზაცია (Food and Agriculture Organization of the United Nations-FAO) დაფუძნდა 1945 წელს და განვითარებად ქვეყნებს ეხმარება სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის და მეთევზეობის მეთოდების დახვეწაში.

როგორც შიგნით, ასევე გარეთაც. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი რეკრეაციული ფუნქციები.

სოფლის მეურნეობის ე.წ. „ევროპული მოდელი“ დაცვა ევროპული თანამეგობრობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მისიად რჩება. ეს მოდელი დიფერენცირებულია სექტორების, რეგიონებისა და ფერმების მიხედვით. იგი ასახავს ევროპული საზოგადოების სპეციფიკურ ისტორიას, კულტურას, მის არჩევანს და ცენტრალურ კონცეფციად სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასთან შერწყმული მრავალფუნქციურობა გვევლინება. კონკურენტუნარიან წარმოებასთან ერთად ამ მოდელმა უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ლანდშაფტების და მომარაგების ლოკალური ქსელების შენარჩუნება. სოფლის მეურნეობა ცივილიზაციის ნაწილია: პროდუქცია, ტრადიციები, ოჯახური ფერმები, კულტურული ლანდშაფტები – ყველაფერი ეს მასთან მჭიდრო კავშირიშია. ევროპის სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიური დარღვევები (ლანდშაფტის ფრაგმენტაცია, ბიოტიპების გაქრობა, მიწათმოწყობის რადიკალური შეცვლა) ეწინააღმდეგება კულტურის ძირეულ ფასეულობებს. აქედან გამომდინარე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ევროპული კულტურის საკითხია¹.

ევროპული აგრარული პოლიტიკა რადიკალურად იცვლება გლობალური ეკონომიკის გავლენის გაძლიერებასა და ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად. მთავარი მომენტი არის ის, რომ განვითარებულ ქვეყნებში პროდუქტის დეფიციტი მისმა სიჭარბემ შეცვალა, ხოლო გარემოს და ცხოველების კომფორტული პირობების შენარჩუნება პრიორიტეტულ საკითხად იქცა. მრავალფუნქციურობის კონცეფცია ამ პრობლემებს წინ სწევს და მათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პრობლემის გვერდით აყენებს განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებული მიწის რესურსების გამოყენების სცენარების შეფასების საკითხი დგება.

ეკოლოგიის კუთხით, სოფლის მეურნეობა ნაწილობრივად შეიძლება ჩანაცვლდეს ბუნებრივი ეკოსისტემების რესტავრაციით. ეს შეიძლება ეკონომიკურად გამართლებული გახდეს გარკვეულ

¹ Dorian G., Defending the European Rural and Agricultural Model at the WTO. 2001. p.7 www.rural-europe.aeid1.be

პირობებში, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობას დოტაციური ხასიათი აქვს და მინიმალური წვლილი შეაქვს განვითარებული ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში. ბარიერი შეიძლება გახდეს სოციალური და კულტურულ-ისტორიული ფასეულობები, რომლებიც შენარჩუნებას სოფლის მეურნეობის ტრადიციულ მოდელს უნდა უმაღლოდნენ.

სოფელი არა მარტო სიმბოლოა, არამედ ადამიანის მრავალსა-უკუნოვანი მოღვაწეობის პროდუქტია. ევროპაში პირველადი ლანდშაფტები მხოლოდ ძალიან შეზღუდულ ტერიტორიებზე შენარჩუნდა. 1990 წლების დასაწყისში ამ პრობლემის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც გატარდა რეფორმა: „ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა“ (The EU Common Agricultural Policy - CAP). ამ პერიოდში ოფიციალურ დონეზე გადაიღვა პირველი ნაბიჯები, რათა მომხდარიყო პროდუქტი-ვიზმის იდეებისგან გამიჯვნა და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური ფუნქციის დამკვიდრება. XXI საუკუნის დასაწყისისათვის სწორედ ამ საფუძველზე მოხდა მრავალფუნქციურობის კონცეფციისა და სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელის ჩამოყალიბება.

მრავალფუნქციურობის კონცეფციის შესაბამისად გამოყოფენ 4 ძირითად ნაწილს:

1. სოფელი, როგორ საცხოვრებელი გარემო;
2. სოფლის საწარმოო ფუნქციები;
3. გარემოს დაცვა;
4. კულტურულ-სოციალური ასპექტები.

სოფლის მეურნეობის მრავალფუნქციურობის კონცეფციისა და სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელის ჩამოყალიბება CAP-ს უკავშირდება. ევროპის ორგანული ფერმერული გაერთიანების ზოგადი მიზნები და შემოთავაზებები განხილულია დოკუმენტში, რომელიც განვითარდა ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაციის – IFOAM-ის (International Federation of Organic Agriculture Movements)¹ ევროპის რეგიონალური ჯგუფში. მისი მთავარი მიზანია ეკოლოგიურად მდგრადი სოფლის

¹ ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია, რომელშიც 700-ზე მეტი ორგანიზაცია გაწევრიანებული 96 ქვეყანაში.


მეურნეობის პროდუქციის სისტემის დანერგვა მთელ მსოფლიოში, რათა ყველა ქვეყნის მოსახლეობა მომარაგდეს უსაფრთხო, ჯან-მრთელი საკვებითა და წყლით.

ამ სისტემების მთავარი მახასიათებლებია:

- დაეყრდნოს უმთავრესად ადგილობრივ, განახლებად რესურსებს;
- ეფექტურად გამოიყენოს ბიოლოგიური პროცესების პოტენციალი;
- შეინარჩუნოს ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობა და ნაყოფიერება;
- მაქსიმალურად გადაამუშავოს მცენარეები და ორგანული ნივთიერებები, საკვების ნარჩენების ჩათვლით;
- არ გამოიყენოს არაბუნებრივი ნაერთები და არ განახორციელოს არაბუნებრივი პროცესები;
- წარმოების სისტემაში, ასევე სოფლის მეურნეობის ტერიტორიებზე შეინარჩუნოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- გაზარდოს ცხოველები ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, სწორი დიეტით.

ეს კრიტერიუმები გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა გზებით. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპები გავლენას იქონიებენ წარმოების სისტემის რელევანტურ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. ეს მოითხოვს:

- ფერმერები უზრუნველყოფილი იყვნენ წარმოებისათვის საჭირო პირობებით, როგორცია მიწის, წყლისა და გენეტიკური რესურსების გამოყენება;
- ნორმალური ეკონომიკური პირობები, რომელიც ფერმერობიდან ადეკვატურ შემოსავალს უზრუნველყოფს;
- ადგილობრივი და რეგიონალური წარმოება პრიორიტეტული უნდა იყოს აგრარულ პოლიტიკაში;
- ტრადიციული ფერმერობის სისტემები იყოს დაცული და აღიარებული როგორც ცოდნის მნიშვნელოვანი წყარო;
- საკვების მწარმოებლისთვის მთავარი მოტივაცია არ უნდა იყოს ფული.



სქემა 2

მდგრადობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ წარმოადგენს ფორმალურ დადგენილებას, რომელიც აგრონომიული ქმედებებითაა განსაზღვრული. ის ასევე ხშირად მოითხოვს ფუნდამენტურ-სტრუქტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს. ორგანული ფერმერობის მოძრაობას არ აქვს პრეტენზია მდგრადობის ამ ძირითადი პრინციპების ექსკლუზიურ საავტორო უფლებებზე. პირიქით თვლიან, რომ ეს პრინციპები უნდა მიიღოს და განახორციელოს ყველამ. ვერცერთი ფერმერული სისტემა ვერ უარყოფს ამ პრინციპებს დიდი ხნის განმავლობაში, რისი ნათელი მაგალითიც გახლავთ ევროპის სოფლის მეურნეობის პრობლემები.

ორგანული ფერმერობა მოწინავე და ყველაზე კარგად განვითარებული მიდგომაა მდგრადი სოფლის მეურნეობისათვის. მზარდი მომხმარებლებისა და მათი მუდმივი მხარდაჭერის წყალობით დაარსდა სერტიფიცირებული ორგანული სექტორი, ანუ სისტემის მოდელი მაღალი მდგრადობის მოთხოვნებით. ორგანული სოფლის მეურნეობა გახდა ინოვაციებისა შემომტანი მთელი სოფლის მეურნეობის სექტორისათვის.

ბოლო 25 წლის განმავლობაში, ევროპის სოფლის მეურნეობა დაახასიათებს, როგორც არამგრადი რესურსების მქონე და გარემოს დამაბინძურებელი ეს გამოწვეულია ჭარბი რაოდენობის წარმოებით, რაც ძველი ინდუსტრიული სისტემების ბრალია.¹

დღესდღეობით, მთავარ მიზანს წარმოადგენს ზედმეტი წარმოების შეზღუდვა, ტექნიკური პროგრესის არასწორი გამოყენებით მიღებული ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა, როგორცაა სოფლის მოსახლეობის შემცირება, გარემოს დაბინძურება და ჯანმრთელობისათვის მავნე საკვები.

არ არსებობს არანაირი დასაბუთებული არგუმენტი იმისა, რითაც რაოდენობრივი ზრდა CAP-ის უმთავრეს მიზნად დარჩებოდა. ევროპა საემარისზე მეტი რაოდენობის საკვებს აწარმოებს. CAP-ის ახალი წესდებები მიზნად ისახავს მწარმოებლურობის გაზრდის მოტივაციის შემცირებას, ახალი მიზნები კი ფოკუსირებულია ხარისხზე. მათ შორის ყველაზე ფუნდამენტალურია:

1. **ეკოლოგიური მდგრადობა.** არსებობს ეკოლოგიური ლიმიტები, რომელთა მიხედვით სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს.

2. **ეკონომიკური და სოციალური მდგრადობა.** საჭიროა შეიქმნას ეკონომიკური და სოციალური პირობები ეკოლოგიურად მდგრადი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად. მაგრამ „ევრანაირი გზით ვერ შეიცვლება ეკოლოგიური ლიმიტები, ეკონომიკური და სოციალური სურვილებიდან გამომდინარე“².

ამსტერდამის კონვენციის მიხედვით, მდგრადი განვითარება ევროპის უმთავრეს მიზანდადა აღიარებული. CAP-მა მომავალ მიზნად უნდა დაისახოს მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობა. როგორც ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის – IFOAM-ის ევროკავშირის რეგიონული ჯგუფის ხედვაშია ნათქვამი, „ჩვენ კი მოვლენებს ოდნავ წინ ვუსწრებთ და ვამბობთ, რომ CAP-ის უპირველესი მიზანი, მწარმოებ-

¹ A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group April 2002. p. 2

² A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group, April 2002. p. 5-6

ლურობის ნაცვლად, უნდა გახდეს მგრადობა¹. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ რადგან სოფლის მეურნეობა მრავალფუნქციურია, CAP-მა მდგრადობასთან ერთად სხვა თვისებების ჩამოყალიბებაც უნდა დაისახოს მიზნად, კერძოდ:

- **საკვების უსაფრთხოება.** CAP-მა უნდა უზრუნველყოს საკვების უსაფრთხოება არა მარტო ევროპის მოქალაქეებისათვის, არამედ განვითარებადი ქვეყნებისათვისაც.

- **პროდუქტის ხარისხი.** პროდუქტის ხარისხს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო. საკვების უსაფრთხოება არ არის საკმარისი, პროდუქტი უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო.

- **გამჭვირვალება.** მომხმარებელს სრული უფლება აქვს იცოდეს ინფორმაცია პროდუქტის შემადგენლობისა და წარმომავლობის შესახებ.

- **ბიომრავალფეროვნება.** სოფლის მეურნეობა ტრადიციულად შემოქმედია. ეს ტრადიცია უნდა შენარჩუნდეს და განვითარდეს.

- **ეთიკური ხარისხი.** წარმოების ყველა ასპექტი, როგორცაა ცხოველების მოვლა, დაქირავებული პერსონალის სამუშაო პირობები, ეთიკურ ნორმებს არ უნდა გასცდეს.

- **სოფლის განვითარება.** CAP-მა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა ევროპის ყველა კუთხეში.

- **წინდახედულობა.** წინდახედულობა იქნეს გამოჩენილი ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელებისას. ამასთან ერთად, ძალაში უნდა დარჩეს CAP-ის ძველი მიზნები.


- **ფერმების შემოსავალი.** სოფლის მეურნეობით მცხოვრებ საზოგადოებას ცხოვრების ნორმალური პირობები უნდა ჰქონდეს.

- **სურსათის ფასი.** რაციონალური ფასი მომხმარებლისა და გადასახადების გადამხდელთათვის.

- **სტაბილური ბაზარი.** სტაბილური ფასების დამყარება.

¹ A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group, April 2002. p. 6

მდგრადი სოფლის მეურნეობის მიზნები და ფაქტორები



სქემა 3

როგორც ბოლო წლების პუბლიკაციათა ანალიზი გვაჩვენებს, მეცნიერ ეკონომისტები ცდილობენ საბაზრო ეკონომიკურ პირობებში მდგრადობის საკითხები განიხილონ წარმოების პოზიციით. მდგრადობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში. აგროსასურსათო სექტორის მდგომარეობა, მისი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოების მდგრადობაზე გაძლიერებული კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ, როგორც პრიორიტეტულსა და სტრატეგიულს.

მაგრამ დღეს-დღეობით მეცნიერები, პოლიტიკოსები, საერთაშორისო ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ მდგრადი სოფლის მეურნეობის შესახებ. პრობლემის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ საკითხზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი.

XIX საუკუნეში, ევროპაში გაჩნდა თეორია „მდგრადი გლეხური მეურნეობის” შესახებ. ამ თეორიის ფუძემდებლები (კ. კლავკი, გ. გეხტი, ლ. ბრენტალი) იცავდნენ მცირე სასოფლო მეურნეობის უპირატესობას მსხვილთან შედარებით. მოგვიანებით, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, ამ თეორიამ ტრანსფორმაცია განიცადა „საოჯახო (ფერმერული) მეურნეობის მდგრადობის” შესწავლის მიმართულებით, რომლის მომხრეებმა (პ. სამუელსონი, გ. ნიკაუზი, გ. პრიბე) შეისწავლეს მაღალმექანიზებული წარმოების მდგრადობა დაქირავებული შრომის – საოჯახო ფერმის გამოყენებით.

რიგი მეცნიერები მდგრადობას სასოფლო კულტურების მოსავლიანობის ცვალებადობის შემცირებას უკავშირებენ (ვ.მ. ობუნოვი, ა.ფ. ფორტუნატოვი, ნ.ს.ჩეტვერიკოვი). ეს აზრი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

მდგრადობის მოთხოვნებს ორგანული (ბიოლოგიური) სოფლის მეურნეობა პასუხობს, სადაც ხდება ორგანული (ბიო) პროდუქტების წარმოება. იგი უნდა იყოს ადგილობრივ ფერმერულ, სოციალურ, გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებზე მორგებული. მდგრად სოფლის მეურნეობას მეცნიერები სხვადასხვა ტერმინებით განსაზღვრავენ – ორგანული, ბიოლოგიური, ეკოლოგიური და ისინი, როგორც სინონიმები ისე იხმარება.

ტერმინი „ორგანული” პირველად გამოიყენა ლ. ნორტბურმა წიგნში: „შეხედე მიწას”¹. ტერმინი „ორგანული სოფლის მეურნეობა” ცნობილი გახდა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში. 1997 წელს ორგანულ სოფლის მეურნეობას მეცნიერმა მარკ ლიპსონმა უწოდა „ორგანიკა” ანუ „ო-სიტყვა”. მან ამ დარგს საკმაოდ პრობლემური იარლიკი მიაკერა².

¹ Northbourne L., Look to the Land. Basis Books, London. 1940. p. 23

²Lipson, M. Searching for the ‘O-Word’: An Analysis of the USDA Current Research Information System (CRIS) for Pertinence to Organic Farming. Organic Farming Research Foundation, Santa Cruz. 1997. pp.5-6.

ტერმინი „ორგანული სოფლის მეურნეობა“ განიმარტა საერთაშორისო სტანდარტში „Codex Alimentarius GL32“¹. აქ აღნიშნულია, რომ: „ორგანული საფლის მეურნეობა ჰოლისტიკური წარმოების მენეჯმენტის სისტემაა, რომელიც ახდენს და ხელს უწყობს ეკოსისტემის სიჯანსაღეს, ბიომრავალფეროვნებას, ბიოლოგიურ ციკლებსა და ნიადაგის ბიოლოგიურ აქტიობას. ამის განხორციელება ხდება აგრონომიული, ბიოლოგიური და მექანიკური მეთოდების გამოყენებით ყველგან, სადაც შესაძლებელია, სინთეტიკური მასალების ჩანაცვლებით, რათა ყველა სპეციფიკური ფუნქცია სისტემის შიგნით განხორციელდეს“².

შემდგომში ეს ტერმინი გაფართოვდა და ამჯერად ის მოიცავს ორგანული და ბიოდინამიკური პროდუქტების მიწოდების მთლიან ჯაჭვს, დაწყებული წარმოების ფაქტორებით, მასალებით და ნედლეულით, დამთავრებული საბოლოო სახის მზა პროდუქციით. იგი ასევე მოიცავს არა მარტო ფერმერულ წარმოებას, არამედ მის კულტურულ და სოციალურ ასპექტებსაც. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ „ორგანული მოძრაობის“ მაგივრად, დღეს-დღეობით უფრო მისდებია ვიხმართ ტერმინი – „ორგანული ინდუსტრია“³. ორგანული სოფლის მეურნეობის მზარდი სოციალური და პოლიტიკური როლი გვკარნახობს, რომ იგი უფრო მეტია, ვიდრე „ორგანული ინდუსტრია“.

ცხრილში №2 შედარებულია სოფლის მეურნეობის ორი მოდელი – ფერმერობა, როგორც ინდუსტრიული საწარმო და ფერმერობა, როგორც ბიოლოგიური სისტემა.

ტერმინი „კონვენციური სოფლის მეურნეობა“ აღნიშნავს დომინანტურ, ინდუსტრიულ, სტანდარტულ სოფლის მეურნეობას, ფერმერულ საქმიანობას, რაც მთელს მსოფლიოში გამოიყენება.

¹ The Guidelines for the Production, Processing, Labeling and Marketing of Organically Producer Foods GL 32 – 1999, Rev. 1- 2001, p.4.

² FAO 1999. *Organic Agriculture*. Food and Agriculture Organization of the United Nations, Rome. Accessed 26/2/99.

<http://www.fao.org/unfao/bodies/COAG/COAG15/X0075E.htm>

³ Cornish, P., Stewart, T., Certification – case studies with Australian market gardeners. In: Thompson, R. (ed.) *Cultivating Communities*. Proceedings of the 14th IFOAM Organic World Congress. Victoria, Canada, Ottawa Canadian Organic Growers, 21 to 28 August, 2002, p. 222.

როგორც წესი, კონვენციური სოფლის მეურნეობა არ აწესებს შეზღუდვებს გამოყენებულ მასალებსა და ტექნიკაზე იმის გარდა, რაც კანონითაა გათვალისწინებული. გარკვეულწილად კონვენციური და ორგანული სოფლის მეურნეობები ერთმანეთს ავსებს.

**სოფლის მეურნეობის ინდუსტრიული და ბიოლოგიური
მოდელების შედარება**

ცხრილი №2

კონვენციური (ინდუსტრიული) მოდელი	ორგანული (ბიოლოგიური) მოდელი
ენერგიატექვადი	ინფორმაციატექვადი
წრფივი პროცესი	ციკლური პროცესი
ფერმა როგორც საწარმო	ფერმა როგორც ეკოსისტემა
წარმოების გაყოფა	წარმოების ინტეგრაცია
გამხილვადი წარმოება	მრავალგვარი წარმოება
მონოკულტურა	მცენარეებისა და ცხოველების მრავალფეროვნება
დაბალი ღირებულების პროდუქტები	მაღალი ღირებულების პროდუქტები
ერთჯერადი გამოყენების მოწყობილობა	მრავალჯერადად გამოყენებადი მოწყობილობები
პასიური მარკეტინგი	აქტიური მარკეტინგი

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „კონვენციური“ მოიცავს მენეჯერული სტრატეგიების დიდ სხვადასხვაობას. მაგალითად, კონვენციური მარცვლეულის მწარმოებელი შეიძლება იყენებდეს მინერალურ სასუქს, ამავე დროს ხმარობდეს საქონლის ნაკელს და თავს არიდებდეს პესტიციდების გამოყენებას. ორგანული სოფლის მეურნეობა მოიცავს მთელ სისტემას დაწყებული განაწილებიდან (დისტრიბუციის ქსელიდან) დამთავრებული აგროსამრეწველო გავლენის მონიტორინგით¹.

ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა არჩეულ იქნას მომგებიანი წარმოება. ეკონომიკური მდგრადობა დიდადაა დამოკიდებული საწარმოს არჩევანზე, ფინანსურ დაგეგმვა-

¹ Carruthers, G. and Tinning, G. 2003. Where, and how, do monitoring and sustainability indicators fit into environmental management systems? Australian Journal of Experimental Agriculture 43(3): pp. 317–318.

ზე, მარკეტინგზე, რისკების მენეჯმენტსა და საერთოდ, კარგ მენეჯმენტზე.

მეტად მნიშვნელოვანია **სოციალური მდგრადობა**. სოციალური გადაწყვეტილებების მიღების მაგალითებია: შესყიდვების განხორციელება ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ადგილობრივ მომხმარებლებთან კავშირების დიება, მომხმარებელზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების დიება წარმოებაში და მენეჯმენტში. სოციალური მდგრადობა ამავე დროს მოიცავს ფერმაში მცხოვრები და მომუშავე ადამიანების ცხოვრების ხარისხს. მასში შედის კომუნიკაციის კარგი ხარისხი, ნდობისა და ურთიერთდახმარების არსებობა¹.

მდგრად ფერმერობაზე გადასვლის პროცესში ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, თუ როგორ უნდა მოერგოს ეკონომიკური მომგებიანობის, სოციალური გაუმჯობესების და ეკოლოგიური გაჯანსაღების პრინციპები თემს, ფერმას და ფინანსურ პროცესებს.

მენეჯერული კონცეფციები, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ამ მიზნების მისაღწევად, არის შემდეგი:

- ნიადაგის დაფარვა მცენარეთა მონაცვლეობით;
- მიწის დაბუშაგების კონსერვაციული მეთოდების გამოყენება;
- კულტივირების მრავალფეროვნება;
- მარცვლეულის ბრუნვა;
- დამცავი ნარგავებისა და მწვანე სასუქის გამოყენება.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ მდგრადი სოფლის მეურნეობის პრინციპები. მდგრადი სოფლის მეურნეობა ერთდროულად პასუხობს ეკონომიკურ, ბუნებრივი გარემოს და სოციალურ მიზნებს. რადგან ამ მიზნების გადაფარვა ხდება, მათი მართვა ერთდროულად ხორციელდება. ეკონომიკური მდგრადობა საჭიროებს მომგებიანი წარმოების წესის არჩევას და სრულყოფილ, ყოველმხრივ ფინანსურ დაგეგმვას. **სოციალური მდგრადობა** საჭიროებს, რომ ფული ბრუნავდეს ადგილობრივ ეკონომიკაში. **გარემოს მდგრადობა** გულისხმობს ეკოსისტემის ოთხი პროცესის (ენერჯის ნაკადების, წყლისა და

¹ Burleson, Wayne and Connie Burleson, Rut Buster: A Visual Goal Setting Book, Sloping Acre Publishing Company, Absarokee, Montana, 1994. p.45.

მინერალური ციკლის და სიცოცხლისუნარიანი ეკოსისტემის დინამიკის) კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

მიწის გამოყენების სტრატეგიები, რომელიც მიმართულია მდგრადი განვითარებისაკენ მოიცავს:

- მცენარეთა მონაცვლეობას წლის განმავლობაში;
- მოხვნის თავიდან აცილებას;
- ბიომრავალფეროვნების გაზრდას ყველგან, სადაც შესაძლებელია;
- დამცავი ნარგავების გამოყენებას;
- ნაკელის ფართოდ გამოყენებას;
- მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ინტეგრირებას;
- მოგების დაგეგმვას;
- გამარგვლის, ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას;
- საჭირო მასალის ადგილობრივად შექმნას;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

გრძელვადიან პერიოდში, აგრარული პოლიტიკა სრულიად შეიცვლება იმგვარად, რომ ორგანული წარმოება ზედმეტი სპეციფიური სტიმულების დახმარების გარეშე საკმაოდ კონკურენტუნარიანი გახდება.

1.3 მდგრადი სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბების სტრატეგიები და მოდელები

ბუნებასთან დაპირისპირებამ, მის მიმართ მომხმარებელურმა დამოკიდებულებამ მძიმე და დამაფიქრებელი შედეგები მოუტანა ჩვენს ცივილიზაციას. განვითარებასთან ერთად, საზოგადოებას სულ უფრო მეტი ბუნებრივი რესურსები სჭირდება, მათი მარაგი კი მცირდება. ცხადია, ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედება გარდაუვალია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ გამოყენებითი, ვინაიდან ბუნების კანონების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა, საბოლოო ჯამში, სავალალო შედეგების მომტანია.

დღეს ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესები მსოფლიო მასშტაბით ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. გარემოს დაბინძურება დედამიწის ერთ რეგიონში აუცილებლად მოახდენს გავლენას სხვა რეგიონზე ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამჟამად რთულია სოფლის მეურნეობაში პირველყოფილი ბუნებრივი მდგომარეობის შენარჩუნებაზე საუბარი - ეკოლოგების პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ არ შექმნან დაბინძურების დამატებითი წყაროები.

ბუნებისადმი ფრთხილი, ზომიერი მიდგომა ორგანული (ბიოლოგიური) მეურნეობის კონცეფციას უდევს საფუძვლად (საერთაშორისო შეთანხმების თანახმად ბიოლოგიური, ორგანული, ეკოლოგიური სინონიმური ტერმინებია). ეს კონცეფცია გულისხმობს, ადამიანების მიერ ბუნებრივი რესურსების იმგვარად გამოყენებას, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლეს არ დააზიანებს.

ორგანული მოძრაობა გლობალურ სოფლის მეურნეობაში წარმოგვიდგება, როგორც მრავალპროფილიანი ნიშა სექტორი. ასევე საინტერესოა განვიხილოთ ტენდენციები, რომლებმაც თანამედროვე ორგანულ სოფლის მეურნეობაზე დიდი გავლენა მოახდინა. იმისათვის, რომ გავიგოთ ორგანული სოფლის მეურნეობის მიზნები და პრაქტიკული შედეგები, ასევე აქვე განვიხილავთ მისი ძირითადი პრინციპების ევოლუციას.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქიმიური და მძიმე მრეწველობის განვითარებას სოფლის მეურნეობაში ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების, აგრეთვე სასოფლო-სამე-

ურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა მოჰყვა, რამაც ერთგვარი რეკოლუცია მოახდინა აგრარულ დარგში: გაიზარდა მოსავლიანობა, შემცირდა ხელით შრომა, შესაბამისად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც. ამ პერიოდში ყურადღება არ ექცეოდა აგრობიომრავალფეროვნებას, მიწისქვეშა წყლების მენეჯმენტს, ნიადაგის სიჯანსაღეს, რამაც ეკვჰქვეშ დააყენა შეურყრებელი და მუდმივი წარმოების იდეა. ეს ფაქტი ცნობილია ერთწოდებული „მწვანე რეკოლუციის“ სახელით.

„მწვანე რეკოლუციას“ საფუძველი დაედო 1943 წელს მექსიკის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პროგრამით და როკფელერის ფონდის მიერ. ამ პროგრამით უდიდეს წარმატებას მიაღწია ნორმან ბორლოუგმა, რომელმაც გამოიყვანა ხორბლის მრავალნაირი მაღალეფექტური ჯიშები, რის საფუძველზეც მექსიკამ მთლიანად უზრუნველყო საკუთარი თავი ხორბლით და მისი ექსპორტი დაიწყო. ქვეყანაში 15 წლის მანძილზე მოსავლიანობა 3-ჯერ გაიზარდა. ბორლოუგის მიღწევები გამოყენებულ იქნა კოლუმბიის, ინდოეთის, პაკისტანის სელექციურ სამუშაოებში და 1970 წელს მან ნობელის პრემია მიიღო.

„მწვანე რეკოლუციამ“ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გამოკვების საშუალება შექმნა, გააუჯობესა ცხოვრების ხარისხი. მაგრამ ამავე დროს, მინერალური სასუქებისა და პესტიციდების ფართოდ გავრცელებამ წამოჭრა ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციამ დაარღვია ნიადაგის ხარისხი, რამაც გამოიწვია დამლაშება და გაუდაბნობა, მძიმე მეტალებით დაბინძურება და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დეგრადაცია.

ინდოეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში თავდაპირველად სოფლის მეურნეობის დაწყებითი სტადია არ აყენებდა ზიანს გარემოს. მეცხოველეობა და მცენარეების მოყვანა ეკოლოგიური ასპექტების დაცვით მიმდინარეობდა. მიწის დამუშავება მხოლოდ ბუნებრივი სასუქით ხდებოდა. ახლანდელი მეურნეობისგან განსხვავებით, დიდი რაოდენობით მოსავალი არ მოდიოდა, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები იქმნებოდა.

მე-19 საუკუნის შუა წლებში გერმანელმა იუსტუს ვონ იე-ბიგმა¹ აღმოაჩინა, რომ მცენარეები იკვებებიან ჰაერიდან მიღებული აზოტითა და ნახშიროჟანგით ისევე, როგორც ნიადაგიდან მიღებული მინერალებით. მან გამოიგონა აზოტზე დამზადებული სასუქი. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, მიულერმა გამოსცადა ახალი შემადგენლობა, დიქლორ-დიფენილ-ტრიქლორმეთილმეთანი (დღტ) რომელიც, მისი აზრით, „იდეალური იარაღი“ აღმოჩნდა მწერებთან საბრძოლველად. გერმანელმა ქიმიკოსმა ოთმარ ზეიდლერმა² ეს შემადგენლობა პირველად 1874 წელს შეიმუშავა. ამის შემდეგ მისგან წარმოებული იქნა სხვადასხვა ქიმიური ინსექტიციდი, რომლებიც მზადდებოდა აზოტის, ფოსფორისა და კალიუმისაგან. ამ ქიმიური საშუალებების თავდაპირველი წარმატება საკმაოდ შთაბეჭდავი იყო. როდესაც გაირკვა, რომ მათი მოხმარება დიდ ზიანს აყენებს ნიადაგს, გარემო უკვე საგრძნობლად იყო დაზიანებული. მსოფლიოში ცნობილია ფაქტი, როდესაც ნიადაგის ქიმიური დამუშავებისას გამოყენებული დღტ აღმოჩენილ იქნა ანტარქტიდაში ცხოველებს შორის, რომლებიც ათასეული კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდნენ ამ ქიმიკატის გამოყენების ადგილიდან³.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მომხმარებლის მოთხოვნილების გაზრდის ფონზე, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის ამგვარი გადაჭრა ნამდვილი სენსაცია იყო. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, დროთა განმავლობაში გაჩნდა პრობლემები: პირველ რიგში პრაქტიკოსმა გლეხებმა და შემდეგ მეცნიერებმა შენიშნეს, რომ მოსავლიანობის მატებასთან ერთად, მავნებელთა და დაავადებების რიცხოვნობამ, მცენარეთა გამძლეობამ ქიმიური პრეპარატების მიმართ იმატა. მათთან ბრძოლისათვის საჭირო ხდებოდა ქიმიური პრეპარატების ასორტიმენტისა და დოზების გაზრდა. გარდა ამისა, ქიმიური სასუქების გამოყენებით გამოიფიტა ნიადაგი და მისი ნაყოფიერების აღდგენა ქიმიური სასუქების უფრო ინტენსიურ გამოყენებას ითხოვდა. მეცნიერებმა და გლეხებმა გააცნობიერეს, რომ სოფლის მეურნეობა სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა ქიმიურ ინდუსტრიაზე.

¹ http://en.wikipedia.org/wiki/Justus_von_Liebig

² http://en.wikipedia.org/wiki/Othmar_Zeidler

³ http://en.wikipedia.org/wiki/Green_Revolution

სოფლის მეურნეობის განვითარებით გამოწვეულმა გარემოს დაზიანებამ საჭირო გახადა ეფექტური და მყარი ზომების მიღება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მდგრადი სოფლის მეურნეობის სტრატეგიებსა და მოდელებს ეკოლოგიური საყრდენი განსაზღვრავს. XX საუკუნის დასაწყისში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის კონცეფციას საფუძველი ჩაუყარა შვეიცარიელმა მეცნიერმა ჰანს მიულერმა, რომელმაც მეულესთან ერთად შეიმუშავა ბიო-ორგანული მიწათმოქმედების საფუძვლები. ამოსავალი პრინციპი იყო გლეხის თვითშეგნების ამაღლება, გლეხური მეურნეობის დამოუკიდებლობისა და მდგრადი განვითარების მიღწევა, რაც გულისხმობდა:

- სოფლის მეურნეობის ქიმიურ მრეწველობაზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლებას - ქიმიური სასუქებისა და სხვა საშუალებების გამოყენების შეზღუდვას, მცენარეთა დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის საკუთარი მეურნეობის რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას;

- პროდუქციის გასაღებაში დამოუკიდებლობის მიღწევას - პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით საკუთარი ბაზრის მოპოვებას იმ მომხმარებელზე გათვლით, რომელიც დაინტერესებულია საღი საკვებითა და სუფთა გარემოთი.

ქიმიური მრეწველობის უარყოფითი ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემები XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოკვეთილი და შესწავლილი. თუმცა, ბიოლოგიური მეურნეობის ფუძემდებლებმა სწორად შეაფასეს კონვენციური სოფლის მეურნეობის მოსალოდნელი შედეგები და განსაზღვრეს ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ძირითადი პრინციპები:

1. ჩაკეტილი ციკლის უზრუნველყოფა. ეკოლოგიური თვალსაზრისით, გულისხმობს თავის შეკავებას ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების, აგრეთვე, კონვენციური სათესლე მასალისა და საქონლის საკვების შექმნისაგან; ეკონომიკური თვალსაზრისით ჩაკეტილი წრებრუნვა მეურნეობის რესურსების აქტიური გამოყენებით ამცირებს ფერმერის დანახარჯებს და მეურნეობა ნაკლებად დამოკიდებული ხდება ქიმიურ მრეწველობაზე;

2. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება საკუთარი რესურსებით. მეცნიერებიც და გამოცდილებაც ადასტურებს, რომ ნიადაგის


ნაყოფიერებას, მცენარის ზრდასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს;

3. ბუნებრივი რესურსებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის კონცეფციის მიხედვით, ბუნებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება გულისხმობს არა მარტო დამაბინძურებელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, არამედ ბუნებრივი რესურსების იმგვარად ხარჯვას, რომ არ დაირღვეს ბუნებრივი ბალანსი. მაგალითად, საძოვრების ექსპლუატაციისას აუცილებელია მორიგეობითი ძოვების პრინციპის დაცვა;

4. ბუნებრივ კანონზომიერებათა გათვალისწინება და გამოყენება. ეს ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. პრაქტიკული მიზნების გარდა (მცენარეებისა და ცხოველების მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა), ბიომეურნეობაში სტაბილური გარემოს შენარჩუნება და ჯიშთა მრავალფეროვნება, ბუნებრივი კანონზომიერებებისა და რეგულირების მექანიზმების გათვალისწინება, ხელს უწყობს ბუნების დაცვასა და გადაშენების პირას მყოფი ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნებას;

5. მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტების წარმოება – ბიომეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. გარემოს საერთო დაბინძურების არსებულ ფონზე, ნიადაგში ყოველთვის არსებობს მავნე ნივთიერებების ნარჩენი რაოდენობება – პესტიციდების, სასუქების ან ნებისმიერი სინთეზური ნივთიერებების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ბოლომდე არ დაიშალა და შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით არსებობდეს ნიადაგში, მცენარეში ან საბოლოო პროდუქტში. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ბიომეურნეობაში არ გამოიყენება მინერალური სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, საბოლოო პროდუქტში არ უნდა იყოს ნარჩენი რაოდენობები.

ბიომეურნეობის იდეამ შვეიცარიის შემდეგ მხარდამჭერები სხვა ქვეყნებშიც მოიპოვა. თავდაპირველად გერმანიაში, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა ორგანიზაციები, მათ შორის ფერმერთა გაერთიანებები, რომელთა მისია ბიოლოგიური მიწათმოქმედების განვითარების ხელშეწყობა იყო. თავდაპირველად ბიომეურნეობის იდეას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გარკვეული უნდობლობით უყურებდნენ, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა:



სქემა 4

ბიომეურნეობის მოწყობისა და ბიომეთოდების არასაკმარისი ცოდნა, დაბალკვალიფიციური და მცირე რაოდენობის საკონსულტაციო სამსახურები, არასათანადო მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, ბიოპროდუქციის ბაზრის ნელი ტემპით განვითარება და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე კონვენციური სოფლის მეურნეობის უარყოფითი გავლენა მეურნეობასა და გარემოზე ცხადია. მისი შედეგია ის, რომ:

- ქიმიური პესტიციდებისა (სინთეზური ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ საბრძოლველად) და მინერალური სასუქების გამოყენებამ დააზიანა ნიადაგის სტრუქტურა და დაეცა მისი ბუნებრივი ნაყოფიერება;
- ქიმიური ჰერბიციდებისა (სინთეზური ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად) და მინერალური სასუქების გარდაქმნის პროდუქტებმა დაარღვიეს ნიადაგის ცოცხალი ორგანიზმების კვებითი რეჟიმი, შეამცირეს მათი რიცხოვნობა, დაირღვა ორგანულ ნივთიერებათა ბალანსი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მცენარის სრულფასოვან კვებაზე;
- მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებით დაირღვა ეკოლოგიურ წონასწორობა, რამაც გავლენა მოახდინა

არასამიზნე ორგანიზმებზეც. მაგალითად, ქიმიური პრეპარატების გამოყენების შედეგად ილუპებიან ისეთი სოკოებიც, რომლებიც თავის მხრივ მავნებლებს ასნებოვნებენ და ხელს უშლიან მათ მასიურ გამრავლებას. ქიმიური საშუალებების გამოყენებით ფერმერი ებრძვის არა მხოლოდ კონკრეტულ მავნებელს, არამედ თავისდაუნებურად ზოგიერთ სასარგებლო მწერსაც, რომელიც თავის მხრივ სხვა მავნებლის ბუნებრივი მტერია - შესაბამისად, ერთი მავნებლის გავრცელების პრობლემა იხსნება, მაგრამ ხდება სხვა მავნებლის რიცხოვნობის ზრდის სტიმულირება;

- ქიმიური პესტიციდის გამოყენება გარკვეული დროის მანძილზე ამცირებს დაავადებათა და მავნებელთა რიცხოვნობას, მაგრამ იგი გავლენას ვერ ახდენს პოპულაციის თვითაღდგენის უნარზე, უფრო მეტიც - რამდენიმე თაობის განმავლობაში მავნებელი გამოიმუშავებს გამძლეობას კონკრეტული პრეპარატის მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში ვრცელდება სრულიად ახალი დაავადებაც. შესაბამისად, საჭირო ხდება პესტიციდის დოზის გაზრდა ან შეცვლა უფრო ძლიერმოქმედი პესტიციდით - ამდენად, ფერმერი მუდმივად დამოკიდებული ხდება ქიმიურ მრეწველობაზე;

- გარემოს დატვირთვამ ქიმიური სასუქებითა და პესტიციდებით დაარღვია ბუნებრივი კვებითი ჯაჭვი, ამ ნივთიერებათა მყარი მეტაბოლიტები (ნივთიერების დაშლის და გარდაქმნის შუალედური პროდუქტები) აღმოჩნდა სასმელ წყალში, ჰაერში, ბუნებრივ წყალსაცავებში, ჩაირეცხა ნიადაგის ღრმა ფენებში, მოხვდა არასამიზნე ორგანიზმებში და საბოლოო ჯამში სახეზეა გლობალური დაბინძურება;

- საკვები პროდუქტების ხარისხი და გემოვნებითი თვისებები გაუარესდა. ჰორმონული პრეპარატების ნარჩენი რაოდენობები ნაპოვნია ხორცსა და რძის პროდუქტებში. ბოსტნეულში, ხილში და სხვა პროდუქტებში – ნიტრატები;

- ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა როგორც უხარისხო საკვები პროდუქტების მხრიდან, ისე მუშაობის დროს ქიმიურ ნივთიერებებთან მჭიდრო კონტაქტის გამო;

- საფრთხე შეექმნა სოფლად არსებულ სოციალურ სტრუქტურებს - დაირღვა სოფლის ტრადიციული ყოფა და სოფელი აგროინდუსტრიის ნაწილი ხდება.

ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე, სოფლად არსებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გამწვავებაზე მრავალი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას. ჩვენთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ცნობილი ინდოელი სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერის, მონკომბუ სამბასივან სვამინათანის კვლევები, რომელიც ცნობილია როგორც „ინდოეთის მწვანე რევოლუციის“ და „მარადმწვანე რევოლუციის“ ავტორი. იგი ამ საკითხს ასე განიხილავს: „დაჩქარებული ტემპით წყლის, მიწისა და ბიოსფეროს განადგურებას მიეყვართ არა მხოლოდ სიღარიბემდე, არამედ ასევე სოციალურ და გენდერულ უსამართლობამდე. როდესაც დაბალშემოსავლიანი ფერმერები და მეთევზეები კარგავენ თავიანი ბუნებრივი რესურსების დიდი ნაწილს, მათ სხვა გზა აღარ რჩებათ და მიდიან ქალაქებში, რათა ოჯახები გამოკვებონ“¹. მათ „გარემოს ლტოლვილებს“ უწოდებენ.


უნდა აღინიშნოს, რომ სოფლიდან ქალაქში მასობრივი გადასახლება ზრდის ქალაქის მოსახლეობას და იწვევს სამოქალაქო პრობლემები. ეკოლოგიურ დეგრადაციას მიეყვართ ეკონომიკურ პრობლემებამდე და შემდგომ სოციალურ დეზინტეგრაციამდე” (სქემა5).

2000 წლისთვის გლობალური მოსახლეობა დაახლოებით 6 მილიარდს შეადგენდა, ხოლო მეცნიერთა ვარაუდით 2025 წლისთვის 7,9 მილიარდს მიაღწევს². ყველაზე მეტად იზრდება ანუ ჩინეთის, ინდოეთის და აფრიკის მოსახლეობა.

მეცნიერის მიერ წამოყენებული „მარადმწვანე რევოლუციის“ იდეა ეფუძნება ეკონომიკურ, გარემოსა და სოციალურ მდგრადობას. მოსახლეობის მოთხოვნილებების უზრუნველყოფისთვის სოფლის მეურნეობის განვითარება ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. სოფლის მეურნეობა არ უნდა გაფართოვდეს მარჟინალურ მიწებზე, ტყის ტერიტორიებისა და ეკოსისტემების ხარჯზე. „მწვანე რევოლუცია“ უნდა გარდაიქმნას „მარადმწვანე რევოლუციად“, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკოლოგიური, გენდერული და სოციალური პრინციპების სამართლიანობაზე.

¹ Kesavan PC, Swaminathan MS., Strategies and models for agricultural sustainability in developing Asian countries. M.S. Swaminathan Research Foundation, India, 2007, p 6.


² www.un.org



სქემა 5

სვამინატანის მიერ ჩამოყალიბებული იქნა მდგრადი სოფლის მეურნეობის კვლევითი ორგანიზაცია, რომელმაც განავითარა ე.წ. „ბიოსოფლის პარადიგმა” რომელსაც ორი მთავარი მიზანი აქვს:

მწვანე და მარადმწვანე რევოლუციების ძირითადი პრინციპები



სქემა 6

1. რესურსების მდგრადი მენეჯმენტი;
2. ეკოტექნოლოგიების განვითარება ბუნების დასაცავად, სიღარიბის აღმოსაფხვრელად, საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

მეცნიერმა აღწერა, თუ როგორ მივეყვართ ბიოსოფლებს მდგრადი ეკონომიკის და სოფლის განვითარებამდე, საკვების უსაფრთხოებამდე, ბიოსფეროს შენარჩუნებასა და გამოყენებამდე. ეს შესაძლებელი ხდება ამ ტიპის სოფლების ტექნიკური რესურს-ცენტრებით, (რასაც ბიო-ცენტრი ეწოდება), მიკროსესხებით, რომელთაც რამდენიმე ნაციონალური ბანკი გასცემს და არსებული ბაზრების ურთიერთდაკავშირებით.

სვამინატანის კვლევებში მდგრადი სოფლის მეურნეობა დაკავშირებულია განვითარებადი ქვეყნების ღარიბი მოსახლეობის საკვების უსაფრთხოებასთან. გარკვეულწილად, ეს ამართლებს მოსაზრებას იმის შესახებ, ეკოლოგიური რევოლუცია უნდა იყოს განხილული როგორც სოფლის მეურნეობის რევოლუციისა და ინდუსტრიული რევოლუციის შემგომი მოვლენა. ამ ეკოლოგიურმა რევოლუციამ უნდა გადაარჩინოს კაცობრიობა და დედამიწა. ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ წარმოების გაზრდის და ბაზრის მოგების სწორხაზოვანი მიდგომა მდგრადი სოფლის მეურნეობისთვის დამლუპველია.

ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში „მწვანე რევოლუციით“ მიღებული გამოცდილება ამის კარგი მაგალითია. არსებითად განსხვავებიან ერთმანეთისგან „მწვანე“ და „მარადმწვანე რევოლუციის“ კვლევითი მეთოდები და განვითარება. „მწვანე რევოლუციის“ დროს, ტექნოლოგიები ემყარებოდა მარცვეულის კვლევას. მიწა დაბინძურებული იყო მინერალური სასუქებით და სრულიად არ აქცევდნენ ყურადღებას იმას, თუ რას სჭირდებოდა მიწას სიჯანსაღის შესანარჩუნებლად. სპეციალური დრენაჟის გარეშე მიწის უზომოდ მორწყვამ დამლაშება და გაუდაბნოება გამოიწვია. შედეგად, წარმოებიდან უცაბედი მოგების მიღების მიზანმა გაანადგურა შესაძლო სარგებლის მიღების სამომავლო შანსი.

ჩინეთში ბოლო დროს ხშირად იყენებენ ტერმინს „მწვანე სოფლის მეურნეობა“. ეს არის კულტივაციის სისტემა IPM-ის, კომპლექსური კვებითი დანამატებისა და კომპლექსური ბუნებრივი

მენეჯმენტის სისტემების დახმარებით. „მწვანე სოფლის მეურნეობა“ არ გამოირიცხავს მინერალებისა და ქიმიური სასუქების მინიმალურ, მაგრამ აუცილებელ გამოყენებას.

„თეთრი სოფლის მეურნეობა“ წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომელიც იყენებს ძირითადად მიკროორგანიზმებს, კერძოდ სოკოს. მისი კონცეფცია 1986 წელს ჩინეთში ჩამოყალიბდა. ეს სახელი მას თეთრხალათიანი მეცნიერებისა და ტექნიკოსების გამო ეწოდა, რომლებიც ატარებდნენ მაღალტექნოლოგიურ პროცესებს საკვების პირდაპირ მიკროორგანიზმებიდან წარმოების მიზნით. „მარადმწვანე რევოლუციისთვის“ იგი ეფუძვნება ორგანულ სოფლის მეურნეობას, ეკო-სოფლის მეურნეობას, მწვანე სოფლის მეურნეობას, EMS სოფლის მეურნეობას, თეთრი სოფლის მეურნეობას და „ერთი ჩალის ღერის რევოლუციას“.

იაპონელმა მეცნიერმა, მასანობუ ფუკოკამ თავის წიგნში „ერთი ჩალის ღეროს რევოლუცია („The One-Straw Revolution: Introduction to Natural Farming“), ახსნა ბუნებრივი ფერმერობის სისტემა. მისი აზრით, არსებობს 4 ძირითადი პრინციპი¹:

1. არანაირი კულტივაცია;
2. არავითარი ქიმიური სასუქები;
3. არავითარი მოცეღვა (სარეველა მნიშვნელოვანია მიწის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად, უნდა გაკონტროლდეს, მაგრამ არ მოიცელოს);
4. მოსავალი არ უნდა იყოს დამოკიდებული ქიმიურ ნივთიერებებსა და მომწამლავ პესტიციდებზე.

ავტორის აზრით, დედამიწა თესავს და თვით მცენარის ფესვების საშუალებით, მიკროორგანიზმების მოქმედებით, პატარა ცხოველების და ჭიაყელების დახმარებით უვლის მცენარეებს. მიწას თუ არ შევეხებით, ის შეინარჩუნებს ნაყოფიერებას ცხოველური და მცენარეული ცხოვრების ბუნებრივ ციკლთან ურთიერთქმედებით. სარეველა ეხმარება მიწას ნაყოფიერების შენარჩუნებასა და ბიოლოგიური კავშირის ბალანსში. ამის გამო, სარეველა უნდა იყოს მიწაში, მაგრამ უნდა გაკონტროლდეს. ამ მეთოდით ფუკოკას

¹ Fukuoka M., The one-straw revolution: Introduction to Natural Farming, India Press, 1992, p.182

**მწვანე და მარადმწვანე რეველუციების
განხორციელების გზები¹**

(ცხრილი №3

<u>მწვანე რემოლუცია:</u>	<u>მარადმწვანე რემოლუცია:</u>
წარმოების გაზრდა, რომელიც მოგებაზეა დაფუძნებული	გრძელვადიანი წარმოების განვითარება, ეკოლოგიური ზიანის მიყენების გარეშე
<ol style="list-style-type: none"> 1. ცვლილებები მცენარის სტრუქტურასა და მოსავლის რაოდენობაში. 2. ფიზიოლოგიური რითმის ცვლილება, რომელზეც არ მოქმედებს ფოტოპერიოდიზმი. 3. პროდუქტი ინახება დიდხანს. 	<ol style="list-style-type: none"> 1. ორგანული სოფლის მეურნეობა: მოსავლის მოყვანა ყოველგვარი ქიმიური დანამატების გარეშე. 2. მწვანე სოფლის მეურნეობა: მოსავლის მოყვანა პარაზიტების კონტროლით (Pest Management), კომპლექსური საკვები დანამატებით და კომპლექსური რესურსების მენეჯმენტის სისტემით. 3. ეკო სოფლის მეურნეობა: დაფუძნებული წყლის, მიწისა და ბიოსფეროს ეკონომიაზე, ტრადიციული ცოდნისა და ეკოლოგიური სიფრთხილის დახმარებით. 4. EMS სოფლის მეურნეობა: ეფექტური მიკროორგანიზმების გამოყენება ფერმერულ სისტემაში. 5. თეთრი სოფლის მეურნეობა: სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელიც ეფუძნება ძლიერი მიკროორგანიზმების გამოყენებას, კერძოდ კი სოკოს. 6. „ერთი ჩალის ღეროს“ რეველუცია: ფერმერობის ბუნებრივი სისტემა, ქიმიური სასუქების, პესტიციდებისა და ჰერბიციდების გარეშე.

1 აკრზე 1650 ფუნტი ბრინჯის ერთ-ერთი სახეობა მოყავდა (დაახლოებით 3 ტონა 1 აკრზე, 7.4 ტონა ჰექტარზე). სამწუხაროდ, ლიტერატურაში სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მოაპოვება.

მეორე მხრივ, „მარადმწვანე რეველუცია“ არ გულისხმობს მხოლოდ ერთი ან ორი სახის მარცვლეულის მოყვანას, არამედ

¹ Kesavan PC, Swaminathan MS., Strategies and models for agricultural sustainability in developing Asian countries. M.S. Swaminathan Research Foundation, India, 2007, p 9.

რაციონალური ფერმერული სისტემის მიდგომას, რომელიც დაიცავს მიწას, წყალს, ბიოსფეროს და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტს. მიწის მოვლას და წყლის მენეჯმენტს დიდი ყურადღება ეთმობა. შინაური ცხოველების ფეკალური მასები აფხვეიერებს მიწას, მარცვეულის ნარჩენებს კი ცხოველები მიირთმევენ. ერთი ან ორი მარცვეულის მაგივრად, შემოთავაზებულია სხვადასხვა მარცვეული, თესვები, პარკოსნები.

მცირე ფერმერები, რესურსების შეზღუდულობის პირობებში, იძულებულნი იქნებიან ეკონომიურად გამოიყენონ რესურსები, აწარმოონ მიწისა და წყლის მენეჯმენტი, რაციონალური გამოყენონ სასუქები. ბოლო დროს განვითარებული თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ყველაზე მეტად უჭერს მხარს „მარადმწვანე რევოლუციას“. სვამინატანმა დეტალურად დაამუშავა „მწვანე რევოლუციის“ „მარადმწვანე რევოლუციად“ გარდაქმნისათვის აუცილებელი ტექნოლოგიები, დაგეგმვა და მენეჯმენტი.

„მწვანე რევოლუციის“ შეცდომაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით გადაღებული ნაბიჯები უნდა ითვალისწინებდეს ნიადაგის, წყლის, გარემოს მრავალფეროვნების, ატმოსფეროს, განახლებადი რესურსების და ა.შ. დაცვას. ამ მიზნისკენ გზა არის სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია წარმოების, ბუნების მრავალფეროვნების და ნიადაგის ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მეთოდები.

ამიტომ ძლიერი სოფლის მეურნეობა გაიგივებულია მდგრად სოფლის მეურნეობასთან რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სოფლების მდგრად განვითარებას.

მდგრადი სოფლის მეურნეობისათვის ინოვაციების შემომტანი ბიოწარმოება გახდა. მას მეცნიერები სხვადასხვა ტერმინით განსაზღვრავენ. მაგალითად, გერმანულ და ფრანგულენოვან ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი „ბიოლოგიური“ (Biologique, Biologische), ინგლისურენოვან ქვეყნებში იხმარება ტერმინი – „ორგანუ-

ლი” (Organic), ესპანურში – „ეკოლოგიური” (Ecologico).¹ საქართველომ გერმანულ-ფრანგული მოდელი აირჩია და კანონით დაადგინა ტერმინები „ბიოპროდუქტი/ბიოწარმოება”. ტერმინები ბიოლოგიური, ორგანული, ეკოლოგიური – იხმარება როგორც სინონიმები; სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება განსხვავებული ტერმინოლოგია, რაც განპირობებულია ენის თავისებურებებით, ხოლო საკითხისადმი მიდგომა და შესაბამისი მეთოდები ყველა ქვეყანაში მსგავსია.²

თანამედროვე ორგანული სოფლის მეურნეობის ფესვები გადაჯაჭვულია იმ სოფლის მეურნეობის დაბადებასთან, რომელსაც ჩვენ ამჟამად “ინდუსტრიულ” სოფლის მეურნეობას ვუწოდებთ. ორგანული სოფლის მეურნეობა იყო ერთადერთი შესაძლო გზა, სანამ ფერმერებისათვის ხელმისაწვდომი არ გახდებოდა სხვადასხვა სასუქები, ბიოციდები, მედიკამენტები, მექანიზაცია, რომელიც ინდუსტრიულ სოფლის მეურნეობას ახასიათებს. ამ რესურსების არარსებობის შემთხვევაში ფერმერებს მეტი გამოსავალი არც ჰქონდათ და ბიოლოგიური და ეკოლოგიური სისტემების შიგნით მუშაობდნენ. ამ პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, ორგანული სოფლის მეურნეობა ძირითადი და წამყვანია, ხოლო კონცენციურ სოფლის მეურნეობა მისგან მხოლოდ გამოიყო. ეს გაყოფა მე-19 საუკუნეში მოხდა, როდესაც აღმოაჩინეს, რომ მცენარეები ნაკელიდან არა ორგანული ნივთიერებების, არამედ მინერალური მარილების ათვისებას ახდენენ. სიე ჰემფრი დევიმ და ჯასტუს ვონ ლიებიგმა სათავე დაუდეს ამ თეორიას და გამოაქვეყნეს თავიანთი იდეები „სასოფლო-სამეურნეო ქიმიის ელემენტები”³ და „ორგანული ქიმია და მისი გამოყენება სოფლის მეურნეობასა და ფიზიოლოგიაში.”⁴ მათი არგუმენტები იყო ის, რომ არაორგანულმა მინერალურმა სასუქებმა უნდა ჩაანაცვლოს ნაკელი, რაც სოფლის მეურნეო-

¹ ჯორჯამე მ., შატბერაშვილი ე., საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ”. ზოგადი მიმოხილვა. – ჟურნ. „აგროინფო”, №49 [18] აპრილი, 2008, გვ. 42.

² ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია “ელკანა”, ბროშურა №1. 2004. გვ. 3.

³ Davy, H.. Elements of Agricultural Chemistry. In a Course of Lectures for the Board of Agriculture. W. Bulwer, London. 1813.

⁴ von Liebig, J., Organic Chemistry in its Application to Agriculture and Physiology. Taylor and Walton, London. 1840.

ბას სამეცნიერო რელსებზე გადაიყვანს და ამით გაიზრდება მისი მწარმოებლურობა და ეფექტიანობა. სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია 1740-იან წლებში დაიწყო და მასთან ერთად გაჩნდა პირველი არაორგანული სასუქის კომერციული წარმოება. რა თქმა უნდა როგორც ყველა რევოლუციას, მასაც არ ჩაუვლია შეცდომების გარეშე და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების პერიოდში მოხდა ამ პრაქტიკის ფართოდ გავრცელება¹.

1924 წელს „ანთროფოსოფიის“ დამაარსებელმა რუდილფ შტეინერმა წაიკითხა ლექცია სოფლის მეურნეობის საკითხზე, სადაც მან ჩამოაყალიბა ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობის საწყისები, რომელიც ორგანული სოფლის მეურნეობისაგან პრინციპულად განსხვავდება, რადგან მას სულიერი, მისტიური და ასტროლოგიური ასპექტები გააჩნია. მან თითქოს იწინასწარმეტყველა ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის კრიტიკა და განვითარების ახლებური გზა დასახა. პირველი ორგანული სერტიფიკატი და მარკირების სისტემა „დემეტრი“ შეიქმნა 1924 წელს შტეინერის ძალისხმევით.²

ამ დროს ცნობილი მეცნიერი, რობერტ მკკარისონი ატარებდა კვლევებს ინდოეთის მებრძოლებს შორის. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ მათ შორის ფაქტიურად არ არსებობდა დასავლეთში ჩვეულებრივად ქცეული დაავადებები. მეცნიერმა ამაში დაინახა არა დაავადების გამომწვევი მიზეზების არარსებობა, არამედ ის, რომ ამ ადამიანებს უფრო მძლავრი სასიცოცხლო ენერჯია ჰქონდათ და ამის მიზეზად ის ჯანმრთელი საკვები მიიჩნია, რომლითაც ისინი იკვებებოდნენ – ძალიან მცირე რაოდენობით ხორციით, უმეტესად კი მცენარეებითა და მარცვლეულით, რომელთა მოყვანა ნაკელით გამდიდრებულ მინდვრებში ხდებოდა. ამ მიმართულებით მუშაობა გააგრძელა მკკეინმა. იგი დაკვირვებას აწარმოებდა ვირთხების ორ ჯგუფზე, რომელთა ერთ ნაწილს ინდოელთა საკვებს,

¹ Grigg, D. *English Agriculture: An Historical Perspective*. Blackwell, Oxford. 1989.

² Rundgren, G., *History of organic certification and regulation*. In: Rundgren, G. and Lockeretz, W. (eds) *IFOAM Conference on Organic Guarantee Systems – Reader*. International Harmonisation and Equivalence in Organic Agriculture. International Federation of Organic Agriculture Movements, Tholey-Theley, Nuremberg, Germany. 17–19 February 2002, p. 5.

მეორე ჯგუფს კი ინგლისელი ღარიბი ოჯახის რაციონს აწვდიდა. პირველი ჯგუფი ვითარდებოდა, ხოლო მეორე ჯგუფს რიგი დაავადებების გარდა ნეკროტიური სოციოლოგიური ეფექტებიც თან ერთვისოდა. ამან მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მნიშვნელოვანია ჯანმრთელი საკვები მოყვანილ იქნას ნიადაგზე, რომელიც ნაკელითა და სხვა ორგანული ბუნებრივი სასუქით მდიდრდება.

1920 წლებში ინდოეთში ასევე მოღვაწეობდა მეცნიერი სირ ალბერტ ჰოვარდი. მან დააარსა ექპერიმენტული სოფლის მეურნეობის საკვლევი ინსტიტუტი. იგი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ინდოელი გლეხების მუშაობას და ამბობდა, რომ გაცილებით მეტი ისწავლა მათგან, ვიდრე თავისი მეცნიერული ექსპერიმენტებიდან. ჰოვარდმა შეიმუშავა მთელი რიგი მცენარეთა ზრდის ტექნოლოგიები და გამოიკვლია, თუ როგორ მოქმედებდა ფერმის ცხოველების ჯანმრთელობაზე ის, თუ როგორ მოიყვანეს ფურაჟი. მეცნიერი დარწმუნდა, რომ მჭიდრო კავშირი არსებობს ნიადაგის სიჯანსაღესა და მასზე გაზრდილი მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობას შორის, რამაც უბიძგა აეთვისებინა ის ტრადიციული კომპოსტის დამზადების წესები, რასაც ინდოელი გლეხები იყენებდნენ. ეს გამოცდილება მან ჩამოაყალიბა წიგნში „სოფლის მეურნეობის ნარჩენი პროდუქტები“¹ რომლის მეშვეობითაც ეს ცოდნა ყველა კონტინენტზე გავრცელდა.

ორგანული პიონერების შემდგომ ტალღაზე გავლენა ისეთი მეცნიერების ნაშრომებმა და პუბლიკაციებმა მოახდინა, როგორებიც იყვნენ ჰოვარდი, მაკკარისონი და შტეინერი. სწორედ ამ მეორე ტალღის მეშვეობით სიცოცხლე შთაებერა ორგანულ მოძრაობას და შეიქმნა პირველი ასოციაციები: როდალის ინსტიტუტი აშშ-ში, ნიადაგი და ჯანმრთელობა ახალ ზელანდიაში და ნიადაგის ასოციაცია გაერთიანებულ სამეფოში.

პენსილვანიაში (აშშ) როდალმა ორგანული სოფლის მეურნეობის პრინციპები პრაქტიკაში პირველად 1930-იანი წლების ბოლოს მოსინჯა. იგი ძალე მიხვდა, რომ ნიადაგის ბუნებრივი სიჯანსაღის გაფრთხილებითა და აღდგენით ადამიანის ჯანმრთელობას

¹ Howard, A. 1931 The Waste Products of Agriculture: Their Utilization as Humus. Oxford University Press, London.

აუმჯობესებდა. 1947 წელს მან დააარსა ნიადაგისა და ჯანმრთელობის ფონდი, რომელსაც მოგვიანებით როდალის ინსტიტუტი დაერქვა. სწორედ მან გამოაქვეყნა მთელი რიგი პუბლიკაციები ორგანული ფერმერობისა და მეხალეობის ჯანმრთელობასთან კავშირზე, რომელშიც ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ფილოსოფია: „ჯანმრთელი ნიადაგი უდრის ჯანმრთელ საკვებს და უდრის ჯანმრთელ ადამიანებს“.

გაერთიანებულ სამეფოში ევ ბალფურმა წამოიწყო „ჰოგლის ექსპერიმენტი“ რომლის საშუალებითაც ახდენდა ორგანული და არაორგანული წარმოების შედარებას გრძელვადიან პერიოდში. მან ასევე დაწერა ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომი „ცოცხალი სული“¹, რომელიც ნაწილობრივ „ჰოგლის ექსპერიმენტით“ იყო ნაკარნახევი. იგი იყო ნიადაგის ასოციაციის პირველი წევრი და დამაარსებელი 1946 წელს ახალ ზელანდიაში. ამ ასოციაციაზე ადრე შეიქმნა „ნიადაგისა და ჯანმრთელობის ასოციაცია“, რომელიც 1942 წელს დოქტორმა გაი ჩაპმენმა დააარსა.

შვეიცარიაში ორგანული მოძრაობის პიონერები ჰანსი და მარია მიულერები იყვნენ. შტეინერის ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობის სწავლებანი ჰერ მიულერის შთაგონების წყაროც გახდა. 1950-იანებში მან შეიმუშავა „ორგანულ-ბიოლოგიური“ ფერმერობის მეთოდი. ჰანს პეტერ რუშმა, ექიმმა, მიკრობიოლოგმა და მიულერის მეგობარმა მეცნიერული საფუძველი მიუყენა მიულერის ნაშრომს და გამოაქვეყნა თავის ნაშრომში “ნიადაგის ფერტილობა”². ეს მოძრაობა მეტად ფორმალიზებული გახდა 1970-იანებში, როდესაც „ბიოლენდის“ სავაჭრო ნიშნის, ამ დროისთვის გერმანიაში ყველაზე უმსხვილესი სერტიფიკატის ქვეშ გაერთიანდა³.

იაპონიაში მოვლენები ამ მოძრაობისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. 1936 წელს მოკიჩი ოკადამ წამოიწყო „ბუნებრივი ფერმერობა“, რომელიც მოიცავდა სულიერ და აგრონომიულ ასპექტებს ადამიანთა მოდემის გასაუმჯობესებლად. მას საკმაო

¹ Balfour, E. The Living Soil. Faber and Faber, London., 1943.

² Rusch, H.P.. Bodenfruchtbarkeit. Karl F. Haug Verlag, Heidelberg, 1964.

³ Haccius, M., Lünzer, I. Organic agriculture in Germany. In: Graf, S. and Willer, H.(eds) Organic Agriculture in Europe. Results of the Internet Project Stiftung Ökologie und Landbau, Bad Dürkheim. 2000. p. 109. www.organic-europe.net

მსგავსება ჰქონდა შტეინერის ბიოდინამიკურ პრინციპებთან და ანთროპოსოფიანთან. იაპონიაში ასევე დაფუძნდა სეკაი კიუნსიუ კი-ოს ორგანიზაცია, რომელიც დღესაც აგრძელებს „კუნსიუს ბუნებრივი ფერმერობის“ გაძლიერებას და პროპაგანდას. ამ მიმდინარეობის შტო, მოკიჩი ოკადას ასოციაცია, დაარსდა 1980 წელს და მისი მიზანი იყო, რომ მეცნიერულად დაედსტურებინათ თავისი ფერმერობის მეთოდების ვარჯისიანობა. დაახლოებით იმავე დროს, როდესაც ოკადამ დააარსა თავისი მოძრაობა, მასანობუ ფუკუოკამ განსხვავებული მიდგომა გამოიჩინა ბუნებრივი ფერმერობის მიმართ იაპონიაში. მას განათლება მიღებული ჰქონდა მიკრობიოლოგისა და ნიადაგის მეცნიერების სფეროებში და წამოიწყო მარტივი სოფლის მეურნეობის პრაქტიკა, რომელიც ცნობილია სახელით: “ფერმერობა არაფრის გაკეთებით” („Do Nothing Farming”)¹. ოკადას მსგავსად ფუკუოკას ფერმერულ მიდგომას სულიერების საფუძველი ელო (Fukuoka, M. 1978. *One Straw Revolution*. Rodale Press, Emmaus). ამ მოძრაობამ დაამტკიცა, რომ ორგანული ფერმერობა არა მარტო ეკოპული, არამედ გლობალური ფენომენიცაა.

1962 წელს რაჩელ გარსონის მიერ „წყნარი გაზაფხულის” (Rachel Carson, „*Silent Spring*”) გამოქვეყნება ფაქტობრივად შემობრუნების წერტილი იყო და შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ თანამედროვე ორგანული და გარემოს დაცვის მოძრაობები აქ იღებენ სათავეს. ეს ცვლილება შეიძლება რევოლუციადაც ჩავთვალოთ. შეიძლება ითქვას, რომ ორგანული მოძრაობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დავიწყებისაგან გარემოს დაცვის მოძრაობამ გადაარჩინა.

„წყნარმა გაზაფხულმა” მსოფლიოს თვალი აუხილა იმ დამანგრეველ ძალაზე, რაც პესტიციდებსა და სხვა ტოქსინებს გააჩნით გლობალური გარემოს წონასწორობის მიმართ. ამ ნაშრომმა მთელი რიგი არგუმენტები წამოაყენა ინდუსტრიული ფერმერობის წინააღმდეგ იმ არგუმენტების გარდა, რაც ტრადიციულ ორგანულ მოძრაობას გააჩნდა.

1960-იან წლებში, იმ დროს, როდესაც „წყნარი გაზაფხული” გამოქვეყნდა, მნიშვნელოვან სოციალური ცვლილებებს ჰქონდა

¹ Setboonsarng, S., Gilman, J. *Alternative Agriculture in Thailand and Japan*. HORIZON Communications, Yale University, New Haven, Connecticut. Accessed 6/9/00. 1999. www.solutions-site.org/cat11_sol85.htm

ადგილი. ამ პერიოდში მრავალი პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრები ჩამოყალიბდა და პრობლემები წამოიჭრა, მათ გარშემო კი ძალიან მწვავე დებატები იმართებოდა. ბევრი მათგანი ორგანული მოძრაობის განვითარებისათვის გადაწყვეტი აღმოჩნდა. ამის მაგალითად გამოდგება მედოუსების, რანდერსის და ბეჰრენსის ნაშრომი „ზრდის საზღვრები“¹, რომელშიც განხილულია მსოფლიო პოპულაციისა და გლობალური ეკონომიკის პრობლემები და დასმულია კითხვა: რა მოხდება, თუკი მსოფლიო პოპულაციის ზრდა ისევე უკონტროლო იქნება? რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მსოფლიო ეკონომიკა გაწვდეს ყველას და ამავე დროს დედამიწის ფიზიკურ შესაძლებლობებს შეესაბამებოდეს? კიდევ ერთი ნაშრომი, შუმახერის „პატარა და მშვენიერი: ეკონომიკა რომლისათვისაც ადამიანის ინტერესები მნიშვნელოვანია“² უფრო მეტად რადიკალური იდეებით იყო განმსჭვალული. მასში გადმოცემულია იდეა, რომ უპრიანია ეკონომიკურ ზრდაზე ვთქვათ უარი და ეკონომიკის მთავარ მიზნად სიცოცხლის ხარისხი გამოვაცხადოთ.

1970-იან წლებში ორგანული სოფლის მეურნეობა განვითარდა „ეკო-სოფლის მეურნეობის“ სახელით, გაძლიერდა შესაბამისი ორგანიზაციები, რომლებიც ძირიდადად ფერმერების სერტიფიცირების პროცესზე იყვნენ ფოკუსირებულნი. თუმცა ეს მაინც სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მიღმა რჩებოდა.

რაც შეეხება თანამედროვე ორგანულ მოძრაობას, იგი რადიკალურად განსხვავდება მისი პიონერული ფორმებისაგან. ახლა მის ღერძს გარემოს მდგრადობა წარმოადგენს, მაშინ როდესაც პიონერების შეხედულებები ადამიანის და ნიადაგის ჯანმრთელობას არ სცილდებოდა.

გლობალური ქსელის ფორმირება ერთ-ერთი მთავარი სტადიაა, რომლის შექმნის შემდეგაც შეიძლება ჩათვალოს, რომ პოლიტიკურმა და სოციალურმა მოძრაობებმა სიმწიფის ასაკს მიაღწიეს.

¹ Meadows, D.H., Meadows, D.L., Randers, J. and Behrens, W.W. Limits to Growth. A Report for the Club of Rome's Project on the Predicament of Mankind. Universe Books, New York. 1972.

² Schumacher E.F., Small is Beautiful: A Study of Economics as if People Mattered. 1974.

ორგანული მოძრაობისათვის ეს ბარიერი გადაილახა 1972 წელს ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის – IFOAM-ის (International Federation of Organic Agriculture Movements) შექმნასთან ერთად, რომელიც დღემდე ერთადერთი გლობალური ორგანული არასამთავრობო ორგანიზაციაა. მისი შექმნა და განვითარება საკმაოდ რთული იყო. იგი გადაიქცა ერთ-ერთ ავტორიტეტულ მოძრაობად, რომლის აზრსაც საკმაოდ პატივს სცემენ როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო ორგანიზაციები. IFOAM-ის მისიაა ორგანული მოძრაობის მთელი მისი მრავალფეროვნებით წარმართვა, გაერთიანება და დახმარება.¹²

ორგანიზაციის მთავარი მიზნებია:

- მთელ მსოფლიოში ორგანულ სოფლის მეურნეობაზე ავტორიტეტული ინფორმაციის გავრცელება, ამ მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა და ცოდნის ურთიერთგაცვლა;
- საერთაშორისო პოლიტიკურ ფორუმებზე ორგანული მოძრაობის წარმოჩენა;
- ორგანული ხარისხის საერთაშორისო გარანტიად აღიარება;
- საერთაშორისო სტანდარტების დაწესებითა და სერტიფიცირების პროცედურის შემუშავების გზით ორგანული გარანტიების სისტემის შექმნა და სერტიფიკატების გამცემი წევრი ორგანიზაციებისათვის სერტიფიცირების უფლებების გადაცემა;
- ორგანული სექტორის მონაწილეთა დაფიქსირება.

1980-იან წლებში ორგანული მოძრაობის ნახტომისებრი ზრდა აღინიშნა. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია სახელმწიფო ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანად იქცა. ორგანული საკვები პროდუქტები შეთავაზებულ იქნა როგორც ალტერნატივა და მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებში იგი საკმაოდ „მოღურიც“ გახდა. როგორც ამერიკელი პროფესორი ჯ. გუტმანი აღნიშნავს, „ნამდვილად ირონიის შემცველია ის ფაქტი, რომ ორგანული საკვების ყიდვა და

¹ Woodward, L. and Vogtmann, H.. IFOAM's organic principles. Ecology and Farming 36: 2004, p. 24.

² Guthman, J. Agrarian Dreams: The Paradox of Organic Farming in California. University of California Press, Berkeley, 2000

მოხმარება სოციალური სტატუსის მაჩვენებელი გახდა, რაც ეწინააღმდეგება ორგანული სოფლის მეურნეობის პრინციპებს¹.

ორგანული სოფლის მეურნეობა გლობალური ხდება. დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ინდუსტრიული ქვეყნების მიღმა ორიგანული სოფლის მეურნეობის მკვეთრი ზრდა შეიმჩნეოდა 1980-იან წლებში ოკეანიის ქვეყნებში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში. ბევრ ამ რეგიონს საკუთრივ თავისი ფერმერობის სისტემები ჰქონდა, რომლებიც შესაძლოა ორგანულ სოფლის მეურნეობას მივაკუთვნოთ. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დახმარება მიეღოთ სახელმწიფოსგან და ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი გარე დახმარების ფონდებიდან, ასევე ამ მიმართულების ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დროს მსოფლიოში უკვე არსებობდა ამ მიმართულების ადგილობრივი და რეგიონალური მოძრაობები. ცხრილში №4 მოყვანილია ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფერმერებისათვის ადაპტირების პროცესში ორგანული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები.

ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ პროცესებზე აქცენტირებით და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ადგილობრივი ვაჭრობა ლოკალურ ფერმერულ სისტემებში ძალიან კარგად ერგება ორგანულ სოფლის მეურნეობას. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ორგანულმა სოფლის მეურნეობამ კარგად მოიკიდა ფეხი. აღსანიშნავია არგენტინის ორგანული ფერმები, რომელთაც დაკავებული ფართობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. ასევე აღსანიშნავია მექსიკის ფერმები, რომლებიც რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა².

სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ასეთი ფერმები უმეტესად ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი. მაგრამ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობანი, როგორცაა სიღარიბე და მიწის გამოფიტვა თავისებურად ცვლიან ორგანული სოფლის მეურნეობის დანერგვისა და ადაპტაციის პროცესს. არგენტინას

¹ Guthman, J. *Agrarian Dreams: The Paradox of Organic Farming in California*. University of California Press, Berkeley., 2000.

² *Organic Agriculture: A Global Perspective*, Edited by Paul Kristiansen, Acram Taji and John Reganold Published by CSIRO PUBLISHING, 2006, p.8.

**ორგანულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის სტიმულები და
ხელშემშლელი ფაქტორები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში¹**
ცხრილი №4

<i>სტიმულები</i>	<i>შემაფერხებელი ფაქტორები</i>
<ul style="list-style-type: none"> – მწვანე რევოლუციის ტექნოლოგიებში იმედაცრუება – მწვანე რევოლუციის მაღალი ღირებულება – რევოლუციური ტექნოლოგიები – ორგანული სოფლის მეურნეობის თავსებადობა ადგილობრივ ცოდნასთან – გარემოს დაცვის და განვითარების მოძრაობების გავლენა – საბაზრო შესაძლებლობები 	<ul style="list-style-type: none"> – ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა – ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის ნაკლებობა – ინტენსიური სოფლის მეურნეობის გატარების მიზნით პრესინგის განხორციელება – უცხოური ორგანიზაციების მიერ დაწესებული სერტიფიცირების მაღალი ფასები – სოფლის რეგიონებში განათლების დაბალი დონის გამო ადოცხვიანობის მოუწესრიგებლობა – ზოგიერთ ქვეყანაში სავაჭრო ლიბერალიზაციის არარსებობა, რაც ექსპორტის გაფართოებას ხელს უშლის

ორგანული წარმოებისათვის განკუთვნილი აქვს 3 მლნ ჰექტარი, ხოლო ამ მიწის 74%-ს ორგანული ფერმერების 5% ფლობს.²

1980-იან წლებში არგენტინის ორგანულმა მოძრაობამ მკაცრი სერტიფიცირების პროცესი დანერგა, შექმნა მყარი საექსპორტო კავშირები და მთავრობისგან საკმაო დახმარებაც მიიღო. რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებას, არგენტინაში საკმაოდ წარმატებულად ვითარდება გენეტიკურად მდიდარი კულტურების მოყვანა, რომელსაც ფართობის მიხედვით, აშშ-ს შემდეგ, მეორე ადგილი უკავია. იგი 2003 წლისათვის 10 მლნ ჰექტარს,³ ხოლო 2005 წელს – 14.2 მლნ ჰექტარს შეადგენდა¹.

¹ წყარო: Walaga, C. Organic agricultural trade: the state of the art in Africa. In: Lockeretz, W. and Geier, B. (eds) *Quality and Communication for the Organic Market. Proceedings of the 6th IFOAM Trade Conference. International Federation of Organic Agriculture Movements (IFOAM), Tholey-Theley, Germany. 2000*

² Yussefi, M. Development and state of organic agriculture worldwide. In: Willer, H. and Yussefi, M. (eds) *The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends 2004*. International Federation of Organic Agriculture Movements (IFOAM), Bonn. p. 13. 2004.

³ Coffman, B. *Portrait of Global GMO Usage Update*. Monsanto, Cambridge. Accessed 3/10/02, 2001.

არგენტინის მსგავსად მექსიკას ექსპორტზე გააქვს თავისი ორგანული ორიდუქტის უდიდესი ნაწილი. ამ პროდუქტის 70%-ს ყავა შეადგენს². ფერმების მთლიანი რაოდენობიდან მცირე მეწარმეებს აქ 94% უჭირავთ, რომელიც 28 000 სერტიფიცირებულ ფერმერულ მეურნეობას ითვლის. გარდა ამისა, აქ მცირე რაოდენობით არის ერთწოდებული დიდი ფინკები (მამულები), სადაც მოჰყავთ კაკაო, შაქარი და ყავა. აღრეული ბიოდინამიური ფერმებისგან განსხვავებით, რომლებიც პირველად 1967 წელს გამოჩნდნენ და სერტიფიკატები მიიღეს ყავის წარმოებაში, ორგანული სოფლის მეურნეობა 1980-იან წლებში წამოიწია და 1990 წლებიდან საკმაო დახმარებას იღებს მთავრობისგან. ამავე დროს ის გავიდა უცხოურ, ძირითადად აშშ ბაზრებზე.

რაც შეეხება კუბას, 1990 წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის კოლაფსთან ერთად მან ძირითადად დაკარგა როგორც ბაზარი, ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში სუბსიდიებიც. ამან კუბის სოფლის მეურნეობა აიძულა, რომ მოეძია ნედლეულის გასაღების ალტერნატიული ბაზრები³. კუბამ შეიმუშავა პროგრამა და დაიწყო ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება და ხელშეწყობა. შეიქმნა ტრენინგების და სერტიფიცირების ქსელები, მოხდა ფერმების რესტრუქტურირებაც. მიუხედავად იმისა, რომ კუბას უარი არ უთქვამს „კონვენციური,“ ინტენსიური ტიპის, ჩვეულებრივ სოფლის მეურნეობაზე, მაინც, ბრინჯის წარმოების დაახლოებით 65% და ბოსტნეულის 50% ორგანული წესით იწარმოება.

www.monsanto.co.uk/news/ukshowlib.phtml?uid=6043

¹ Human Genome Project Information., *Genetically Modified Foods and Organisms*. Genome Programs of the US Department of Energy Office of Science, Oak Ridge. Accessed 15/10/04., 2004.

www.ornl.gov/sci/techresources/Human_Genome/elsi/gmfood.shtml

² Tovar, L.G. and Cruz, M.A.G. 2004. Mexico. In: Willer, H. and Yussefi, M. (eds) *The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends 2004*. International Federation of Organic Agriculture Movements, Bonn. p. 138. 2004.

³ Kilcher, L., *Organic agriculture in Cuba: The revolution goes green*. Journal of Agriculture in the Tropics and Subtropics 102(2): p.187., 2001.

აზიაში განვითარებულია სხვადასხვა სისტემები, რომელიც თავსებადია ორგანულ სოფლის მეურნეობასთან¹. ჩვ.წ.ალ-მდე 1000-600 წლებში ინდოეთში მთელი რიგი ნაწარმოებები შეიქმნა, რომელშიც დეტალურად იყო გადმოცემული სოფლის მეურნეობის პრინციპები და პრაქტიკები. ინდიგენური მეთოდები დღესაც ცოცხალია თანამედროვე ინდოეთში და ფერმერებს ეხმარება ორგანული პრინციპებით წარმართონ თავიანთი საქმიანობა².

მიუხედავად იმისა, რომ მდგრად სოფლის მეურნეობას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს ჩინეთში, მე-20 საუკუნის ფერმერული პრაქტიკის ძირეულმა მოდერნიზაციამ გამოიწვია ის, რომ ტრადიციული სოფლის მეურნეობის წარმოების პრაქტიკა ფაქტიურად მიტოვებული იქნა და ცოდნა დაიკარგა. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ჩინეთმა კვლევები და მდგრადი სოფლის მეურნეობისაკენ სვლა. 1990 წელს ჩინეთი მსოფლიო ეკოლოგიურ ბაზარზე გამოჩნდა პირველი პროდუქტით – ჩაი. 1994 წელს აქ დაარსდა ორგანული საკვები პროდუქტების განვითარების ცენტრი, ხოლო მომდევნო წელს გამოქვეყნდა ნაციონალური ორგანული სტანდარტები³.

ორგანული სოფლის მეურნეობა მხოლოდ რამოდენიმე აფრიკულ ქვეყანაშია განვითარებული. მაგალითად, კენიაში ამჟამად აფრიკის ორგანული ფერმერების ყველაზე მეტი რაოდენობაა⁴. სენეგალიში და ბურკინა-ფასოში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზა-

¹ Setboonsarng, S. Gilman, J. Alternative Agriculture in Thailand and Japan. HORIZON Communications, Yale University, New Haven, Connecticut. Accessed 6/9/00. 1999. www.solutions-site.org/cat11_sol85.htm

² Mahale, P., Sorée, Y. National study: India. In: UNESCAP (ed.) Organic Agriculture and Rural Poverty Alleviation. Potential and Best Practices in Asia. United Nations Economic and Social Commission for Asia and the Pacific (UNESCAP), Bangkok. 2002. p. 77.

³ Zong, H. National study: China. In: UNESCAP (ed.) Organic Agriculture and Rural Poverty Alleviation. Potential and Best Practices in Asia. United Nations Economic and Social Commission for Asia and the Pacific (UNESCAP), Bangkok. 2002., p. 60.

⁴ Parrott, N. and Marsden, T. The Real Green Revolution. Organic and Agroecological Farming in the South. Greenpeace Environmental Trust, London., 2002.

ციები, რომელთა ძალისხმევითაც მოხდა ორგანული ფერმერობის დანერგვა.

1980-იან წლებში მეცნიერებმა დიდი დაინტერესება გამოიჩინეს ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების მიმართ, მათ შორის მათაც, ვინც მაინცდამაინც არ ემხრობოდა სოფლის მეურნეობის წარმოების ალტერნატიულ მეთოდებს. ამ სფეროში წინა პერიოდის სამეცნიერო ბუმმა საბოლოოდ ასახვა ჰპოვა ნიკოლას ლამპკინის საკმაოდ სერიოზულ ნაშრომში „ორგანული ფერმერობა,” რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა.

1970-იან წლებში დაწყებული ტენდენციები 1980-იან წლებში გააქტიურდა და 90-იან წლებსა და ახალ ათასწლეულში საკმაოდ განვითარდა – მოთხოვნა და მიწოდება ექსპონენციალური ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა. მდგრადი სოფლის მეურნეობის ყოველწლიური ზრდა 20-30%-ს შეადგენდა. მოხდა მისი ფორმალური, პოლიტიკური და საკანონმდებლო აღიარება. ამას მოჰყვა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები საერთაშორისო ორგანული ვაჭრობის ხელშეწყობაში, რომელიც ძირითადად სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანით გამოიხატება, რაც იმას გულისხმობს, რომ ექსპორტიორი ქვეყნის სერტიფიცირების სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს იმპორტიორი ქვეყნის სტანდარტებს.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული FAO-ში. საზოგადოება შემოფოთებულია სურსათის წარმოების სისტემებით, კვების პროდუქტების ხარისხით. სულ უფრო ხშირად მოდის ინფორმაციები ავსტრალიაში, აზიაში „გენური ინჟინერიით” დამზადებული პროდუქტების თაობაზე, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. ეს გარკვეულწილად პოლიტიკური პრობლემაც კი ხდება. მეცნიერება გახდა ის ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც დემონსტრირებას უკეთებენ ორგანული სოფლის მეურნეობის უპირატესობებს და იმ პრობლემებს, რომელებიც ინდუსტრიულ წარმოებაში არსებობს¹. ამ სფეროში ინფორმაციაზე დიდი მოთხოვნა აღინიშნება.

¹ Pretty, J.N., Brett, C., Gee, D., Hine, R.E., Mason, C.F., Morison, J.I.L., Raven, H., Rayment, M.D. and van der Bijl, G., An assessment of the total external costs of UK agriculture. *Agricultural Systems* 65(2): 2000, p.123.

1990-იან წლების ბოლოს გავრცელდა აზრი იმის თაობაზე, რომ ორგანული სოფლის მეურნეობა ინტენსიური სოფლის მეურნეობის კვალს დაადგა და კარგავს იმ უპირატესობებს, რაც მას უნდა ჰქონოდა. ეს გამოიხატება იმაში, რომ ორგანული პროდუქტების წილი, რომელიც დიდ სუპერმარკეტებში იყიდება, ძალიან გაიზარდა. ასევე გაიზარდა გადაზიდვის მანძილი, რათა დაკმაყოფილდეს ის ქვეყნები, სადაც ორგანული წარმოება აქტიურად არ ვითარდება. ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობას წარმოადგენდა აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში სასოფლო-სამეურნეო ბაზრების გახსნა, სადაც მოხდა მათი რესტრუქტურისა და მხოლოდ ადგილობრივად წარმოებული პროდუქტი იყიდება¹.

საქართველოს დღევანდელ რეალობაში საკითხი ასე დგას: რა მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი, რათა სოფლის მეურნეობაში დავნერგოთ როგორც ეკოლოგიური, ისე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული სისტემა? ასეთი სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ბიოლოგიურ სოფლის მეურნეობას შეუძლია. 2007 წლის 1 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ.“ ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ბიოლოგიური მეურნეობის მოწყობას, მართვას, ბიოპროდუქციის წარმოებას, გადამუშავებას, რეალიზაციას, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. კანონის შესაბამისად, მდგრადი (ორგანული) სოფლის მეურნეობის ცნების მაგივრად ჩვენ ვსარგებლობთ ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ცნებით.

კანონში გამოყენებულია ტერმინები შემდეგი მნიშვნელობით:

ა) ბიოლოგიური მეურნეობა – სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მოწესრიგებული სისტემა, რომელიც მოიცავს მეურნეობის დაგეგმვის, მართვის და პროდუქციის წარმოების მეთოდებს და რომელიც ხელს უწყობს ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, როდესაც შენარჩუნებულია ბუნებრივი წონასწორობა. „ბიოლოგიური მეურნეობის“ სინონიმებია „ეკოლოგიური მეურნეობა“, „ორგანული მეურნეობა“;

¹ Vanzetti, D. and Wynen, E. Does it make sense to buy locally produced organic products? In: Hall, D. and Moffitt, J. (eds) Economics of Pesticides, Sustainable Food Production and Organic Food Markets. Elsevier, Amsterdam. 2002., p. 199.

ბ) „ბიოპროდუქცია“ (ან სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია, რომელშიც გამოყენებულია „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“) – პროდუქცია, რომლის წარმოების და შემდგომი გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის წესები შეესაბამება ბიოწარმოების სტანდარტის მოთხოვნებს და რომლის ეტიკეტზე არსებობს ამ შესაბამისობის დამადასტურებელი ნიშანი და წარწერა. ბიოწარმოების შესაბამისი სტანდარტებისა და მისი მოთხოვნების შესახებ ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ამ კანონის მიზნებია:

ა) საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ბიოლოგიური მეურნეობის სექტორის ჩამოყალიბებით;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა არასინთეზური სისტემებისა და ბუნებრივი სასუქების გამოყენებით;

გ) ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის წესების დადგენა;

დ) ბიოწარმოების, მისი სერტიფიცირებისა და მონიტორინგის პრინციპების ჩამოყალიბება;

ე) მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების სტიმულირება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული და ეტიკეტირებული ბიოპროდუქციის არსებულ საერთაშორისო ან/და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა;

ზ) ბიოპროდუქციის ბაზრის განვითარება;

თ) ბიოპროდუქციის წარმოების გზით ადგილობრივი კვების მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა და მისი ექსპორტის სტიმულირება;

ი) ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება როგორც კულტურულ, ისე ბუნებრივ ლანდშაფტებში.

ამ კანონით განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

ა) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისას გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და ეკოსისტემების წონასწორობის შენარჩუნება;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება;

გ) სოფლის მეურნეობის მდგრადობისა და გარემოს გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კულტურული და ველური მცენარეების, ასევე შინაური და გარეული ცხოველების სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას;

დ) ცხოველებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებრივ განვითარებას;

ე) ბიოპროდუქციის წარმოებისას განახლებადი რესურსების გამოყენება.

ბიოლოგიური მეურნეობის ძირითადი მიზნებია:

1. მიწის, წყლის რესურსების სწორი გამოყენება; წარმოებისა და გადამუშავების პროცესში განახლებადი რესურსების ფართოდ გამოყენება;

2. ბიოაგროწარმოების პროცესში ბუნებრივი სისტემებისა და ციკლების ჰარმონიული ურთიერთზემოქმედება, აგრო და ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, წარმოების მდგრადი სისტემების გამოყენება, მცენარეთა და ცხოველთა გარემოს შენარჩუნება;

3. მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის ჰარმონიული წონასწორობის მიღწევა; ცხოველებისათვის ისეთი საარსებო პირობების შექმნა, როგორც შეესაბამება მათ ბუნებრივ ინსტინქტებს;

4. მაღალი საკვები ღირებულების მქონე პროდუქტის წარმოება; სოციალურად, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება;

5. გარემოს დაბინძურების შემცირება; ადგილობრივი ცოდნისა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სისტემების დანერგვა, ბიომეურნეობაში მომუშავეებისათვის ჯანსაღი გარემოსა და შრომის ადეკვატური ანაზღაურების მიღება.

მეცნიერები სულ უფრო და უფრო ხშირად სვამენ კითხვას: პასუხობს თუ არა ბიოლოგიური მეურნეობა მდგრადობის პრობლემას? იმისათვის, რომ ბიოლოგიური მეურნეობა მდგრადობის მოთხოვნებს პასუხობდეს, იგი მორგებული უნდა იყოს ადგილობრივ ფერმერულ, სოციალურ, გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებ-

ზე. ბიოლოგიური მეურნეობის ევროპული ფორმა, განსაკუთრებით მისი ამჟამინდელი ბაზრისკენ ორიენტირებული სტილი, შეიძლება სულაც არ იყოს საუკეთესო სისტემა სხვა ქვეყნებისათვის. ბიოლოგიური მეურნეობის პრინციპები ყოველ კონკრეტულ ადგილმდებარეობას უნდა ერგებოდეს, მაგალითისათვის ყოველთვის არსებობს ისეთი ადგილი, სადაც გარკვეული კულტურის მოსავლის მოყვანა შეუძლებელია მდგრადობის პრინციპების დაცვით არსებული ბიოლოგიური მეთოდების ფარგლებში. OECD-ის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რაც უფრო მეტად ცნობილი ხდება ბიოლოგიური მეურნეობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების მზარდი როლის შესახებ და ფართოვდება ურთიერთანამშრომლობა ამ სფეროში, შესაძლებელია ხდება რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება ბიოლოგიური მეურნეობის ლიმიტებსა (შეზღუდვებსა) და პერსპექტივებზე. ასევე შესაძლებელია წარმატების მიღწევის ზოგადი პრინციპების იდენტიფიცირება¹.

ევროპაში გავრცელებული სოფლის მეურნეობის წარმოების პრინციპები, სადაც ფაქტიურად პირველად ჰპოვა ამ მიმართულებამ განვითარება, საქართველოსთვის ყველაზე მისაღებია.

ბევრ ქვეყანაში, ბიოლოგიურ მეურნეობას საკმაო წილი უკავია სურსათისა და სოფლის მეურნეობის მთლიან წარმოებაში. იგი ხშირად ხორციელდება „პირდაპირ მომხმარებელთან“ საბაზრო ნიშის პოვნით ან პროდუქტის ფერმაშივე გადაშუშავების ორგანიზებით. ადგილობრივ სოციალურ და აგრონომიულ პირობებზე ადაპტირებით შესაძლებელი გახდა მდგრადი ფერმერობის სტრატეგიების განხორციელება. ამან კი მთელ მსოფლიოში მდგრადი და მომგებიანი ორგანული წარმოებების გაჩენას შეუწყო ხელი და უჩვენა, რომ ორგანული სოფლის მეურნეობას შესაძლოა წამყვანი როლი ეკავოს².

კონვენციური სოფლის მეურნეობის უარყოფითი გავლენის თუნდაც ზედაპირული ანალიზი სერიოზული არგუმენტაციაა ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის იდეის სასარგებლოდ, მაგრამ ბიომეურნეობაზე გადასვლის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს პროცესი

¹ OECD, Organic Agriculture Sustainability, Markets and Policies. Organisation of Economic Cooperation and Development, Paris. 2003. p. 5.

² Stokstad, E. Organic farms reap many benefits. Science 296: 1589, 2002, p. 8;

გლენისა და მომხმარებლის ფსიქოლოგიის, მსოფლმხედველობის შეცვლას, სამყაროსადმი დამოკიდებულების გადახედვასაც მოითხოვს – არჩევანი უნდა გაკეთდეს დღევანდელ გარანტირებულ კეთილდღეობასა და ზვალინდელ, შესაძლებელია გაურკვეველ, მაგრამ მომხიბლავ პერსპექტივას შორის.

ძრავალი ექსპერტი თვლიდა, რომ ბიომეურნეობის უპირატესობის დასამტკიცებლად საკმარისია გლენის დარწმუნება ასეთი მეურნეობის მოწყობის ტექნიკურ შესაძლებლობასა და მომგებიანობაში, რისთვისაც მთავარ არგუმენტად ბიომეურნეობის ნაკლებ დანახარჯებსა და სპეციფიკურ ბაზარზე ბიოპროდუქციის მაღალ ფასს ასახელებდნენ. ამასთან, გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ბიომეურნეობა მხოლოდ მცირე და საშუალო გლენური მეურნეობებისათვისაა მისაღები და ეჭვით უყურებდნენ ბიომეურნეობების კოოპერირების საკითხს.

შემდგომში მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებმა და ბიომეურნეობების გამოცდილებამ აღნიშნული მოსაზრებების გადახედვის აუცილებლობა მოითხოვა. დღის წესრიგში დადგა ბიოლოგიური პროდუქციის გადამუშავების, მარკეტინგისა და ბიოფერმერთა კოოპერირების საკითხები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბიოპროდუქციის წარმოება დიდ ფართობებზე შესაძლებელია და კოოპერირების ფონზე საკმაოდ მომგებიანიცაა. აქედან გამომდინარე, ბიომეურნეობის კონცეფციამ უფრო ფართო დატვირთვა მიიღო: მის ფარგლებში მოექცა ისეთი საკითხები, როგორიცაა აგრო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, გადამამუშავებელი საქმიანობა, ბიოპროდუქციის მარკეტინგი, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანთა უფლებების დაცვა, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და სხვ. შესაბამისად გაფართოვდა ბიომეურნეობის მიზნებიც – მან, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის გარდა, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებაც მოიცვა.

ევროგაერთიანებაში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ზრდისა და განვითარების მიზნით ევროკომისიამ 2004 წლის ივნისში მიიღო „ევროპის სამოქმედო გეგმა ორგანული სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის“ – სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც 21 საპროგრამო პუნქტისაგან შედგება. სამოქმედო გეგმა შე-

მუშავებულია ევროპაში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდისა და ასეთ პროდუქტებზე მომხმარებლის მოთხოვნების გაფართოების საპასუხოდ.

ტერმინი „ორგანული სოფლის მეურნეობა” როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, განიმარტა საერთაშორისო კვებით სტანდარტებით („Codex Alimentarius”), მაგრამ შემდგომში ეს ტერმინი გაფართოვდა და ამჯერად ის მოიცავს ორგანული და ბიოდინამიკური პროდუქტების მიწოდების მთლიან ჯაჭვს, დაწყებული წარმოების ფაქტორებით, მასალებით და ნედლეულით, დამთავრებული საბოლოო სახის მზა პროდუქციით. იგი ასევე მოიცავს არა მარტო ფერმერულ წარმოებას, არამედ მის კულტურულ და სოციალურ ასპექტებსაც.

ბიოლოგიური მეურნეობა მსოფლიო სოფლის მეურნეობის წარმოების მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც, თავის მხრივ, გლობალური სოციო-ეკონომიკური სისტემის და მისი დომინანტური კულტურული ფასეულობების კიდევ უფრო მცირე ნაწილია. შესაბამისად ბიოლოგიური მეურნეობის შესაძლებლობა, რომ შესამჩნევი გავლენა იქონიოს მაგალითად საერთაშორისო ვაჭრობაზე, სამუშაო ძალასა და აგროქიმიურ პოლიტიკაზე, საკმაოდ შეზღუდულია. ორგანული პროგრამის განვითარებას თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ მიუხედავად სწრაფი ზრდისა, მისი განვითარება მსოფლიო ბაზრისა და პოლიტიკის მიერ კორექტირდება¹.

საქართველოში ბიომეურნეობის იდეის პროპაგანდა და ბიომეურნეობების ჩამოყალიბება 1994 წლიდან დაიწყო საქართველოს მწვანეთა პარტიის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას” ხელშეწყობით. „ელკანას” შექმნის მიზანი იყო საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი, ბიოლოგიური გლეხური მეურნეობის განვითარება, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბებდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ტრადიციას. იგი ხელს უწყობს წევრ გლეხებს ბიომეურნეობის ჩამოყალიბებაში, კოოპერი-

¹ Norse, D., Tschirley, J. Agriculture and the environment: changing pressures, solutions and trade-offs. In: Bruinsma, J. (ed.) World Agriculture: Towards 2015/2030. An FAO Perspective. Earthscan Publications and Food and Agriculture Organization of the United Nations, London. 2003. p. 335-336.

რების, მცირე სამეწარმეო საქმიანობის დაწეებისა და ბიოპროდუქციის გასაღების პროცესში. ამასთან ასოციაცია ზრუნავს საქართველოში აგრობიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე. „ელკანა“ 1996 წლიდან IFOAM-ის წევრია.

თავი II. საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ფაქტორები და პრიორიტეტები

2.1 სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და მომავლის პერსპექტივები დიდად არის განსაზღვრული განვლილ წლებში მიმდინარე რეფორმების ხასიათით და შესრულების ხარისხით. ამიტომ შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ განვლილი წლების დარგში მიმდინარე მოვლენები და გაანალიზოთ სტატისტიკური ინფორმაცია.

2003 წელს სოფლის მეურნეობის სექტორი ხასიათდებოდა 7 პროცენტითან ზრდის მაჩვენებლით, რაც განპირობებული იყო მეტნაკლებად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით და სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმებით (მიწის პრივატიზაცია და მიწის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის დაწყება). სოფლის მეურნეობასა და კვების პროდუქტების დამუშავებაზე მოდიოდა მთლიანი შიდა პროდუქტის 20%. სასოფლო-სამეურნეო მიწებს დაახლოებით 3 მილიონი ჰექტარი ეკავა. ამ წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა ევროკავშირში დაახლოებით 25-26 მილიონი ევრო შეადგინა. ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო ღვინო, თხილი და მინერალური წყლები. პრივატიზებული მიწის ნაკვეთების საშუალო ზომა 0,22 ჰექტარს შეადგენდა.

2003 წელს, წინა წელთან შედარებით აღინიშნებოდა სოფლის მეურნეობის ყველა ძირითადი პროდუქციის წარმოების ზრდა. კერძოდ, მიღებული იქნა მარცვლეულის, ხორბლეულის, სიმინდის, მზესუმზირის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ჩაის, ციტრუსების და ყურძნის კულტურების გაზრდილი მოსავალი. 2003 წელს გაზრდილი პროდუქტიულობა აღინიშნა ასევე მეცხოველეობის დარგებშიც (ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოება).

მიუხედავად სოფლის მეურნეობის სექტორში მიღწეული გარკვეული პროგრესისა, ამ წელს დაფიქსირდა მთელი რიგი

პრობლემები. სოფლის მეურნეობაში არსებული შრომის ნაყოფიერება გაცილებით დაბალი იყო (დაახლოებით 4-ჯერ), ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებში. საოჯახო მეურნეობების უმრავლესობა ძალიან მცირე და ხელით შრომაზე იყო დამოკიდებული. დარგში გამოყენებული იყო მოძველებული ტექნიკა; ღრმავდებოდა მიწის ნაყოფიერების კლების პრობლემა; დიდ პრობლემებს ქმნიდა მოძველებული სარწყავი და სადრენაჟო სისტემები. ამ პრობლემათა გადაწყვეტა კი ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად. სექტორის სამომავლო განვითარებისათვის მთავრობის სამოქმედო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარ მიმართულებად, არსებული პრობლემების მოგვარებასთან ერთად, იქცა საშინაო ბაზრის დაცვა კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული საქონლისაგან.

მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად 2003 წლისათვის პრივატიზებულ იქნა სახნავი მიწების დაახლოებით 25 პროცენტი და იჯარით გაიცა დაახლოებით 30 პროცენტი. ამ პერიოდში ქვეყანაში მთლიანი მუშახელის 30 პროცენტი დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობაში დიდი იყო თვითდასაქმების წილი, რომელიც მხოლოდ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფდა.

საქართველოს მთავრობის 2003 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე განიხილეს საკითხი „ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ“. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკალა „სასურსათო უვნებლობის“ კოდექსის პროექტის შემუშავება და მთავრობისთვის წარდგენა. კანონის მიზანი იყო მომხმარებელთა ჯანმრთელობის და ეკონომიკური ინტერესების დაცვა. კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენდა:

- ბაზარზე გატანილი საკვების უვნებლობის მოთხოვნები;
- საკვების უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით ერთიანი სახელმწიფო კონტროლი;
- რისკის ანალიზზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელება;
- საკვებთან დაკავშირებული რისკის თაობაზე მწარმოებლისა და მომხმარებლის ინფორმირება;

კანონპროექტი პარლამენტმა 2005 წლის ივნისში განიხილა და პირველი მოსმენით მიიღო.

2004 წელს უარყოფითი ზრდის ტემპი დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის სფეროში. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობმა 3025.8 ათასი ჰა შეადგინა, აქედან სახნავი – 26,5%, მრავალწლიანი ნარგავები – 8,7%, სათიბი – 4,8%, ხოლო საძოვარი – 59,4%. ამ წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 970 ათასი კაცი, რაც მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის 54,4%-ს შეადგენდა¹.

2004 წლის იანვარში დასრულდა ევროკომისიის სოფლის მეურნეობის გენერალური დირექტორატის წარმომადგენლებსა და საქართველოს მხარეთა შორის მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც დასრულდა ევროკავშირის მიერ ქართული ღვინის ოფიციალური ცნობის პროცესი. შედეგად, ღვინის ქართველ მეწარმეებს შესაძლებლობა მიეცათ ევროკავშირის ბაზარზე ღვინის ექსპორტი შეუზღუდავი რაოდენობით განეხორციელებინათ. ქართველ მეწარმეებს ექსპორტის განხორციელებისას უნდა წარედგინათ VII სერტიფიკატი. იგი არის მესამე ქვეყანაში გაცემული დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა დახასიათებული ესა თუ ის ღვინო, რომელიც განკუთვნილია ევროკავშირის ბაზარზე შესატანად. 2004 წელს ღვინის რეგისტრირებულმა ექსპორტმა 48 მილიონ აშშ დოლარს მი-აღწია.

2004 წელს აშშ-ს მთავრობის მიერ „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველო 17 ქვეყანას შორის დახმარების მიმღებად დასახელდა. ქართული მხარის წინადადებით დაგეგმილი იყო ფინანსური დახმარების (200 მილიონ აშშ დოლარზე მეტი) გამოყენება რეგიონული ინფრასტრუქტურის (გზები და ენერჯო სექტორი) და სტრატეგიული სექტორების – სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის რეაბილიტაციისათვის. 2004 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 499,1 მილიონი აშშ დოლარი (მათ შორის 43,4 მილიონი აშშ დოლარი რეინვეს-

¹ საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, კვარტალური მიმოხილვა, 2004 წელი, №3, www.geplac.org

ტირებული შემოსავლების სახით) 337,6 მილიონ აშშ დოლართან შედარებით 2003 წელს.

2005 წელს 2004 წელთან შედარებით მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების წარმოება 30,4 ათასი ტონით (ანუ 4,5 პროცენტით) გაიზარდა, ხორბლის – 4,4 ათასი ტონით (ანუ 2,4 პროცენტით), სიმინდის – 16,2 ათასი ტონით (ანუ 3,9 პროცენტით), პარკოსანი კულტურების – 5,9 ათასი ტონით (ანუ 35,5 პროცენტით), ბოსტნეულის – 6,6 ათასი ტონით (ანუ 1,6 პროცენტით), ხილის – 70,0 ათასი ტონით (ანუ 43,8 პროცენტით), ციტრუსის – 84,3 ათასი ტონით (ანუ 3,2-ჯერ), ყურძნის – 70,0 ათასი ტონით (ანუ 38,9 პროცენტით); შემცირდა მზესუმზირის წარმოება 3,9 ათასი ტონით (ანუ 17,5 პროცენტით), კარტოფილის – 28,4 ათასი ტონით (ანუ 6,8 პროცენტით), ბაღჩეულის – 4,0 ათასი ტონით (ანუ 3,7 პროცენტით); ჩაის წარმოება გასული წლის დონეზე დარჩა და შეადგინა 20,0 ათასი ტონა¹. 2005 წლის მონაცემების მიხედვით, საშემოდგომოდ მოხნული იყო 130,8 ათასი ჰექტარი. საშემოდგომო კულტურები დათესილი იქნა 99,2 ათას ჰექტარზე, რაც მოხნული ფართობის 75,8 პროცენტს შეადგენდა.

2005 წლის პირველ ნახევარში მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად სახნავი მიწების დაახლოებით 25 პროცენტი პრივატიზებული იქნა და დაახლოებით 30 პროცენტი იჯარით იქნა გაცემული.

2005 წლისთვის, სხვა პროექტებს შორის, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მსოფლიო ბანკთან ერთად, ახორციელებდა მელიორაციული სისტემის სარეაბილიტაციო პროექტს. მოსალოდნელი იყო, რომ მოკლე ვადაში გაიზრდებოდა ამ პროექტში კერძო მესაკუთრეთა (ფერმერთა) მონაწილეობა და მათ მიერ ამ მიმართულებით გაღებული ინვესტიციები მოიმატებდა. სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი ტექნოლოგიურად მოდერნიზებული, მაღალეფექტური და ენერგოეკონომიური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანა გახ-

¹ სტატისტიკური პუბლიკაცია: სტატისტიკური ბიულეტენი, 2005,

და. ამ მიმართულებით კერძო ინვესტიციების მოსაზიდად მთავრობა დაიწყო საწარმოო საშუალებებზე ლიზინგის მექანიზმის ამოქმედების ხელშეწყობა.

ქართული ღვინის ექსპორტის ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს 2004 წლის 30 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ევროკავშირის დახმარებით ღვინის ხარისხის კონტროლის საგამოცდო ლაბორატორიის გახსნა. გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოებამ (GTZ) ლაბორატორიის დასამონტაჟებლად და უახლესი აპარატურით აღჭურვისათვის 1,4 მილიონი ევრო გაიღო, ხოლო საქართველოს მხარის თანადაფინანსებამ დამატებით 400 ათასი ლარი შეადგინა. ევროკავშირის სპეციალურ ორგანოებში აკრედიტირების გავლის შემდეგ ლაბორატორიას ქართული ღვინის მწარმოებლებზე სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობა მიეცა.

2005 წელს ქვეყანაში დაიწყო მეთესლეობის პროგრამის განხორციელება. ბიუჯეტიდან გამოყოფილი 600 ათასი ლარი ათვისებულ იქნა მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. ამ წელს წარმოებული იყო 460 ტონა მაღალრეპროდუქციული კარტოფილი („მარაბელი“), 187,5 ტონა სიმინდის ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლი.

საქართველოში პირველად დაიწყო უვირუსო კარტოფილის თესლის წარმოება და პირველადი მეთესლეობა. გაიზარდა კერძო სექტორის როლი მეთესლეობის სფეროში, გაჩნდნენ მაღალხარისხიანი თესლის მწარმოებელი ფერმერები.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე გადაწყდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მეთესლეობის პროგრამის დაფინანსება 6,5 მილიონი ლარით. აღნიშნული თანხის ათვისება უნდა მომხდარიყო კერძო სექტორის მიერ, უნდა გამხორციელებულიყო მაღალრეპროდუქციული თესლით ქვეყნის ეტაპობრივი უზრუნველყოფა, რაც საშუალებას მისცემდა მიწათმოსარგებლებს მკვეთრად გაეზარდათ მოსავლიანობა დამატებითი დანახარჯების გარეშე.

ამავე წელს განხორციელდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) პროექტი „საქართველოში რძისა და მერძეეობის სექტორის მხარდაჭერა“ კახეთის რეგიონში. პროექტი

ითვალისწინებდა მერძეეობის მხარდაჭერის კომპლექსურ ღონისძიებებს, კერძოდ:

- ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობას;
- რძისა და რძის ნაწარმის მარკეტინგის განვითარებაში მხარდაჭერას;
- შესაბამისი საკანონმდებლო (სასურსათო უვნებლობის ჩათვლით) ბაზის დახვეწას.

იაპონიის მთავრობა საქართველოში გრანტის სახით 1998 წლიდან ანხორციელებდა სასურსათო წარმოების ზრდის პროგრამას (2KR), რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა პარკის განახლებას და ტექნიკურ გადაიარაღებას. მისი მიმდინარეობის პერიოდში იაპონიის მხარის მიერ შემოტანილია 1480 ერთეული სასოფლო სამეურნეო ტექნიკა. 2005 წელს შეიქმნა 12 აგროსაინჟინრო სერვისცენტრი.

2005 წელს დაიწყო სოფლის განვითარების პროექტის განხორციელება. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში კერძო და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება. პროექტის ხანგრძლივობა 4 წლით განისაზღვრა. პროექტის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპონენტს დაკრედიტება წარმოადგენდა. კომერციული ბანკებისათვის სასესხო რესურსების 10 წლის ვადით გადაცემით სოფლის მეურნეობის სექტორში უნდა განხორციელებულიყო საშუალო და გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება.

2006 წელს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სასოფლო მეურნეობათა საერთო რაოდენობაში 0.13 პროცენტი ეკავა. ცხრილი №6 გვიჩვენებს სასოფლო მეურნეობების რაოდენობას 2006 და 2007 წლებში.

2006 წლიდან შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანო „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ერთიანი ეროვნული სამსახური. დაინერგა თანამედროვე ლაბორატორიული სისტემა, გამოიყო 57 მლნ აშშ დოლარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ეროვნული რეგულაციული ლაბორატორიის, სამი ეპიდემიოლოგიური მონიტორინგისა და 8 საველე სადგურის მოწყობას. 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი-

დან 4 მლნ ლარი დაიხარჯება საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციასათვის.

დასაქმებულთა წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში¹
ცხრილი №5

წელი	დასაქმებულთა, სულ (ათასი კაცი)	მათგან სოფლის მეურნეობაში, ათასი კაცი	წილი მთლიან დასაქმებაში, %
2000	1839,3	957,5	52,1
2001	1877,7	989,9	52,7
2002	1839,2	988,4	51,0
2003	1814,5	995,6	54,9
2004	1783,3	962,4	54,0
2005	1744,6	947,8	54,3
2006	1747,3	966,4	55,3
2007	1704,0	910,0	53,4

სასოფლო მეურნეობები საქართველოში 2006-2007 წლებში²
ცხრილი №6

	2006	2007
საქართველო	802	800
მათ შორის:		
აჭარის არ	52	52
იმერეთი	176	176
სამეგრელო და ზემო სვანეთი	107	108
გურია	40	40
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32	32
შიდა ქართლი	79	79
მცხეთა-მთიანეთი	39	39
კახეთი	124	124
ქვემო ქართლი	104	102
სამცხე-ჯავახეთი	49	48

საქართველოს რეგიონების 24-საათიანმა უწყვეტმა ელექტრო-მომარაგებამ სტიმული მისცა ქვეყანაში გადამამუშავებელი საწარმო-

¹ წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2007, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატისტიკური კრებუ-
ლი, <http://www.statistics.ge/main.php?pform=95&plang=2>

² იქვე

ების ამოქმედებას. 2004-2006 წლებში საქართველოში ამოქმედებული სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების მანქანებ-ლები რეგიონების მიხედვით მოცემულია დანართში №8.

მელენეობის სფეროს ძირეული რეფორმა 2005 წლიდან და-იწყო. ამ წლის მონაცემებით გაშენებული იყო 60.5 ათასი ჰექ-ტარი ვენახი და 146 ღვინის ქარხანა ფუნქციონირებდა, რომელთა-გან 2005-2006 წლებში შეიქმნა 30 საწარმო. ახალი საწარმოე-ბის მშენებლობამ პირდაპირი გავლენა მოახდინა ვენახების ფართო-ბების ზრდაზე და ბოლო ორი წლის განმავლობაში 5000 ჰექტარ-ზე მეტი ახალი ვენახი გაშენდა. ეს პროცესი ინტენსიურად გრძელდებოდა 2007 წელსაც.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესწავლილი იქნა 7 ადგილწარმოშობის მიკროზონა, რომელიც შესაბამისად რეგის-ტრირებული საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების დაც-ვის ორგანიზაციაში (WIPO). ვენახების სრული პასპორტიზაცია 2007 წელს დასრულდა, რის შედეგადაც დადგინდება თვრამეტი მიკროზონის ზუსტი საზღვრები.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, მთავრობამ ახა-ლი ბაზრების მოსაპოვებლად დააფინანსა სხვადასხვა ღონისძიებე-ბი. 2 წლის განმავლობაში ქ. ლონდონში „ვინოპოლის“-ის საგამო-ფენო დარბაზში წარმოდგენილი იქნა საქართველოს მევენახეობა-მელენეობის ექსპოზიცია-გამოფენა-დეგუსტაცია.

ბოლო წლებიდან, საქართველოში დაიწყო მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების გამხორციელება, რომლებიც ორიენ-ტირებული იყო გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე:

- სოფლის მეურნეობის პროექტი (RDP - მსოფლიო ბანკი, 2006-2009 წლები, ბიუჯეტი 34,7 მლნ დოლარი). პროექტის მიზნია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება /გადამამუშავე-ბა/ რეალიზაციის მთლიანი სისტემის ხელშეწყობას, სოფლად ფი-ნანსური ინსტიტუტების გაძლიერებას.

- ათასწლეულის გამოწვევის პროექტის “Millennium Challenge“-ის ერთერთ მსხვილ კომპონენტს სწორედ საწარმოთა განვითარება წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინე-ბული იყო რეგიონალური განვითარების ფონდის საქმიანობა (32.5 მლნ დოლარი). დასახულ იქნა მცირე და საშუალო საწარმოების

გრძელვადიანი სარისკო კაპიტალისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. ამავდროულად, კომპონენტით გათვალისწინებული იქნა ტექნიკური დახმარებისა და გრანტების (15.0 მლნ დოლარი) შეთავაზება იმ ფერმერებისა და აგრობიზნესის წარმომადგენელთათვის, რომლებიც შიდა ბაზრებს ამარაგებდნენ.

სულ ამ პერიოდში საერთაშორისო პროექტებიდან და ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობაში 320 მილიონ ლარზე მეტი იქნა ინვესტირებული.

2005 წელს მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ“. 2007 წელს კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის თანახმადაც მიწათმოსარგებლეებს მიეცათ შესაძლებლობა შეღავათიანი პირობებით მიეღოს საკუთრებაში მიწა, გამოეყენებინათ ის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად. ამ პერიოდში ქვეყანაში 3 მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა იყო, აქედან:

- სახნავი – 800 ათასი ჰექტარი;
- მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული – 265 ათასი ჰექტარი;
- საძოვარი – 1795 ათასი ჰექტარი;
- სათიბი – 143 ათასი ჰექტარი;

საქართველოს კანონით „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ღონისძიებების, მიზნობრივი პროგრამების, მმართველობითი აპარატის შენახვისთვის დამტკიცებული იყო საბიუჯეტო სახსრების - 33620,0 ათასი ლარი, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განხორციელებულ ინვესტიციურ პროექტებში თანადაფინანსების ხარჯები - 1160,0 ათასი ლარი. სულ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები შეადგენს - 34780,0 ათას ლარს, კრედიტები და გრანტები 13200,0 ათას ლარს. სოფლის მეურნეობის სფეროსთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა შეადგენდა 47980,0 ათას ლარს.

ქმედითი ღონისძიებები აგრობიომრავალფეროვნების, სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრარული სექტორის მდგრადი და

უსაფრთხო განვითარების მიმართულებით გულისხმობს ეკონომიკური მექანიზმისა და სათანადო ბერკეტების ამოქმედებით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ისეთი დამხმარე სისტემებისა და გარემოს შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის ეკოლოგიურად სუფთა, ეკონომიკურად მომგებიანი და საერთაშორისო ბაზარზე აღიარებული პროდუქციის წარმოებას. ამ იდეის გონივრული და ეფექტიანი რეალიზება შესაძლებელია აგრო-სასურსათო სექტორის განვითარების ხელშემწყობი მდგრადი პოლიტიკის შემუშავებით და ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად განხორციელებით, რაც უზრუნველყოფს გარემოს, მომხმარებელთა, ფერმერთა და აგრო-მწარმოებელთა დაცვას და ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელთა სტაბილურ და მომგებიან საქმიანობას.

განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიული ზომები, ქმედებები და საკანონმდებლო ნორმები დროისათვის შესაფერისი უნდა იყოს. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული ვითარება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

წარმოების სფეროში:

- ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 15% პირდაპირ დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის სექტორზე, ხოლო მულტიპლიკატორის ეფექტის გათვალისწინებით, შესაძლოა ეს რიცხვი 30%-ზე მეტი იყოს;

- 1990 წლიდან სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში გამოშვების მთლიანი რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო 2000 წლიდან დღემდე არ აღინიშნება მისი არსებითი ზრდა;

- ბოლო წლებში შეიმჩნევა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ნელი, მაგრამ სტაბილური ზრდა;

- საშუალო მოსავლიანობა პოტენციური შესაძლებლობის მხოლოდ 1/3-ს შეადგენს;

- საქართველოს სახნავ-სათესი ფართობების დაახლოებით 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში.

ვაჭრობის სფეროში:

- აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის რეალური ღირებულების არსებითი ზრდა;

- სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 52%-ით სჭარბობს ექსპორტს;

დასაქმებისა და შემოსავლების სფეროში:

- უმუშევრობის დონე ქვეყანაში 13 პროცენტს შეადგენს (ეს დაახლოებით 450 ათასი კაცია) და შემცირების ტენდენციით არ ხასიათდება. არასრული დასაქმების დონე კიდევ უფრო მაღალია.

- ბოლო მონაცემებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 53,4 პროცენტი. იგივე მაჩვენებელი 1990 წელს მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენდა¹. შედარებისათვის, დასავლეთის ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა წლითი-წლობით მცირდება.

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში 2007 წლის მონაცემებით 7,8 პროცენტს შეადგენს.

მოხმარების სფეროში:

- მომხმარებელთა შემოსავლების 60 პროცენტზე მეტი სურსათზე იხარჯება. შედარებისთვის, დასავლეთის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 15-20 პროცენტს არ აღემატება;

- მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი დღიურად 2100 კალორიაზე ნაკლებს მოიხმარს. კალორიების მოხმარების მსოფლიო სასურსათო პროგრამის მიერ რეკომენდირებული დღიური ნორმა 2100 კალორიას შეადგენს;

- მოსახლეობის 25 პროცენტზე მეტი დღიურად 1600 კალორიაზე ნაკლებს მოიხმარს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია მსოფლიო სასურსათო პროგრამით რეკომენდებულ მინიმუმზე;

სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის სფეროში:

- აგრო-სასურსათო სექტორში კაპიტალის უტილიზაციის დღეს არსებული დონე სავარაუდოდ 600 მილიონ ლარს აჭარბებს;

- სექტორის სრული პოტენციალით ამოქმედებისათვის აუცილებელი კაპიტალის მოცულობა 2 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2007, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატისტიკური კრებული, <http://www.statistics.ge/main.php?pform=95&plang=2>

იმას ნიშნავს, რომ სადღეისოდ არსებული კაპიტალის დეფიციტი თითქმის 1.5 მილიარდ ლარს უტოლდება.

დარგის განვითარებისათვის პრიორიტეტად მიჩნეული უნდა იქნას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომლის განვითარებაც აგრობიზნესისთვის ხელსაყრელი იქნება. ეს არის:

- საიმედო და გამართულად ფუნქციონირებადი საკრედიტო კავშირები და ასოციაციები, სექტორზე ორიენტირებული კომერციული ბანკები;

- განვითარებული მიწის ბაზარი;

- განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა;

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური ხაზებისთვის ლიზინგური მომსახურების დანერგვა;

- ეფექტური სადაზღვევო სისტემა.

მომავალ ათწლეულში საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარება დიდადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხები, სოციალ-პოლიტიკური ფაქტორები და სამომხმარებლო და საცალო გაყიდვის ტენდენციებია. ეს ყველაფერი ერთად ასახავს პოტენციური ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების შესაძლებლობებსა და რისკებს.

სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ფაქტორი. საქართველოს დღევანდელ დემოგრაფიულ მდგომარეობას სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს:

1. გრძელდება ქვეყნის მოსახლეობის კლება;

2. მიმდინარეობს მოსახლეობის თანდათანობითი დაბერების პროცესი;

3. მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა თითქმის ნულის ტოლია.

სავარაუდოდ, პირველი ფაქტორი დანარჩენი ორითაა განპირობებული. ქვეყნის მოსახლეობის შემცირება, უმეტესწილად, ახალგაზრდა და შუახნის მუშახელის დაკარგვამ გამოიწვია. თავიდან ამის მიზეზი აფხაზეთის კონფლიქტი იყო, შემდეგ კი ქვეყნიდან მოსახლეობის უცხოეთში უკეთესი ეკონომიკური პირობების საძებნელად გასვლა.

დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები სავარაუდოდ მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორზე. სოფლის მეურნეობას პრობლემები ექმნება, როცა ფერმაში მხოლოდ ასაკოვანი მოსახლეობა რჩება. საქართველოში ასეთი ვითარება არ შეიქმნება ამ სექტორში არსებული არასრული დასაქმებისა და ფერმების გამსხვილების აუცილებლობის გამო. ამდენად, ამ დემოგრაფიული და ეკონომიკური საკითხების მნიშვნელობა უკავშირდება არა სამუშაო ძალას, არამედ ფერმერთა პროდუქტების ფასებს, რომელთაც მოთხოვნა, ბაზრების მდებარეობა და სიდიდე განსაზღვრავს.

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობა, როგორც ეკონომიკის უმსხვილესი კომპონენტი და საშუალოვადიან პერიოდში მდგრადი განვითარების სავარაუდოდ დიდი პოტენციალის მქონე სექტორი, ყველაზე ნაკლებად ფინანსდება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მიერ.

სოფლის მეურნეობის შედარებით მძიმე მდგომარეობა მოულოდნელი არ უნდა იყოს. აქამდე არავის გამოუჩენია დიდი ძალიანმევა ამ სექტორის სრული პოტენციალით ამოქმედების ხელისშემშლელი პრობლემების აღმოსაფხვრელად. უახლოეს წარსულშიც კი, როცა მთავრობის შემოსავლები და დონორთა დახმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მთავრობის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი თანხები, სექტორის მოთხოვნის გათვალისწინებით, კვლავ მინიმალურ დონეზე რჩებოდა. დღევანდელ დღემდე ამ სექტორში გატარებული ღონისძიებები უფრო მეტად მთავრობის ხარჯებისა და ჩარევის მინიმიალიზაციისკენ იყო მიმართული, ვიდრე მისი პროდუქტიულობის ზრდაზე. სხვა ღონისძიებები, საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის მსგავსად, მხოლოდ ნაწილობრივად დასრულებული, ან მხოლოდ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გამოიდებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს. სხვა ინიციატივები მართალია პროდუქტიულობის ზრდაზეა ორიენტირებული, მაგრამ იმდენად მცირე მასშტაბის ან ექსპერიმენტული ხასიათისაა, რომ მათი დადებითი ეფექტები მინიმალურია.

სამწუხაროდ მოსალოდნელი არ არის, რომ სექტორის მდგომარეობა უახლოეს მომავალში არსებითად გაუმჯობესდება. ამჟამად სოფლის მეურნეობის უმთავრესი ამოცანა საშუალო და

გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდის მისაღწევად აუცილებელი საფუძვლების მომზადებაა.

2.2 კონკურენტუნარიანი აგროსექტორის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები

სასურსათო სექტორის განვითარება საქართველოს ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია. საქართველოს სოფლის მეურნეობა არაკონკურენტუნარიანია, ხოლო ფერმერული მეურნეობების შემოსავალი – ძალიან დაბალი.

სოფლის მეურნეობის მდგრადი და სტაბილური განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისათვის. აგრარულ პოლიტიკაში მთავარი როლი კერძო სექტორს ენიჭება და იგი აგრარული პოლიტიკის ამომავალ პრინციპს წარმოადგენს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის მიზანი ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა და კერძო ინვესტიციების წახალისების უზრუნველყოფა უნდა იყოს.

საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური ზონები და მდიდარი ბუნებრივი რესურსები სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის სექტორების სამომავლო განვითარების პოტენციალს წარმოადგენს. პროდუქციის მზარდი რაოდენობისა და ხარისხის ფონზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია უკეთეს კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ სურსათს, რითაც სოფლის ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდება. აგრობიზნესის პრობლემათა შორის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიის, გადამამუშავების, მარკეტინგის, მართვის უნარ-ჩვევების და კრედიტების ხელმისაწვდომობის საკითხები.

აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტს საქართველოს მოქალაქეთათვის ბაზარზე ხელმისაწვდომი და უვნებელი სურსათის მიწოდება წარმოადგენს. პირველადი და გადამამუშავებელი აგრარული წარმოების განვითარების თვალსაზრისით, აგრარული სექტორის საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოება რეალურად არასოდეს ყოფილა ბაზარზე ორიენტირებული. ამდენად, პოტენციურად მომგებიანი საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად დღესდღეობით არსებული საწარმოო დანადგარები და აღჭურვილობა არაეფექტიანი და მოძველებულია. კონკურენტუნარიანი გადამამუშავებული პროდუქციის გატანა საერთაშორისო ბაზარზე, როგორცაა წვენები, კონცენტრატები და სხვა, მოდერნიზებულ გადამამუშავებელ ციკლს მოითხოვს.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია გადამამუშავებული მრეწველობის მდგრად განვითარებაში, რაც უპირველესად მდგომარეობს პირველადი წარმოების სათანადო ინფრასტრუქტურის (ხარისხიანი ნერგები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და სხვა) განვითარების ხელშეწყობაში და კომერციულ წარმატებას განაპირობებს. გადამამუშავებელ წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების შემოღება და საქონლის შეფუთვის და ტრანსპორტირების საკითხების მოწესრიგება ქართველ მეწარმეებს საერთაშორისო ბაზარზე შესვლას გაუადვილებს. მსგავსი საწარმოების ამოქმედება კომერციული თვალსაზრისით ამართლებს მცირე აგრარული მეურნეობების (მაგალითად მცირე კერძო ხეხილის ბაღების) არსებობას.

მარკეტინგი საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტისათვის შემდგომ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის სექტორი საჭიროებს ახალ მიდგომებს, რათა გამოვლენილ იქნეს ქართული საქონლის გასაღების ბაზრები. მარკეტინგულმა სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს ბაზრების ის ნიშა, სადაც არსებობს ქართული პროდუქციის განთავსების რეალური შესაძლებლობა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მყარი შესაძლებლობები და გარანტიები სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, მთავრობის როლი სწორედ სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. აღნიშნული სტრატეგია უნდა მოიცავდეს გადამამუშავებელი წარმოების ხარისხის სტანდარტის შემოღებას, პირველადი წარმოებისათვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, ბრენდის და მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებას, სერთიფიცირებისა და რეგულირების საჭიროების შეფასებას.

კონიაკის სპირტი, მწვანელი, თხილი, მანდარინი, ვაშლი, ხურმა, ჩაი, დაფნის ფოთოლი და სხვ. 2006-2007 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი უკრაინაში დაახლოებით 80%-ით გაიზარდა. ახალმა ქართულმა საექსპორტო საქონელმა – ქართულმა მწვანელმა უკრაინის ბაზრის 70% უკვე დაიკავა. უკრაინის და დსთ-ს სხვა ქვეყნების გარდა, ქართული მწვანელი უკვე გავიდა პოლონეთსა და გერმანიაში. უახლოეს მომავალში კი ქართული მწვანელი ჰოლანდიაშიც გაიგზავნება¹.

გასული ათი წლის განმავლობაში თხილის წარმოებამ საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ მზარდ მოთხოვნაზე რეაგირება მოახდინა. საბაზრო მექანიზმებმა, ინვესტიციების ზრდასთან ერთად, ადვილი გახადა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი დარგის წარმოქმნა და მისი განვითარების შესაძლებლობა განაპირობა. 2005-2006 წლებში საქართველოში თხილის მოსავალი 16,4 ათასი ტონიდან 23,3 ათასი ტონამდე გაიზარდა. 2007 წელს წინა წელთან შედარებით თხილისა და სხვა კაკლოვნების ექსპორტი 11 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 65 122 მლნ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო ბაზარზე ამ წელს თხილის ფასი 7 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ევროპაში მოხალეული თხილის ფასი – დაახლოებით 9 აშშ დოლარს. 2007 წლის მონაცემებით ნედლეულს მოსახლეობისაგან 4-6 ლარად იბარებდნენ. ექსპორტიორები აცხადებდნენ, რომ ფასმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და თუ კიდევ მოიმატა, თხილის ექსპორტი უკვე არარენტაბელური გახდებოდა. თხილი და სხვა კაკლოვნები უმსხვილესი საქსპორტო საქონელთა პირველ ათეულში შედის და საქართველოს მსოფლიო ბაზრის 5-7% უჭირავს. ადგილობრივი პროდუქციის 80% ექსპორტზე უცხოეთში უკრაინის, გერმანიის, შვეიცარიის, პოლონეთისა და ჩეხეთის ბაზრებზე გადის.


ბოლო წლის განმავლობაში, საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა სომხეთში – 58%-ით, გერმანიაში – 65%-ით, ბელგიაში – 40%-ით, ბელორუსიაში – 28%-ით. ყაზახეთში – 46%-ით.

2007 წელს საქართველოს მთლიან იმპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის წილი 14,6%-ს შეადგენდა. რო-

¹ „ქურნალი „აგროინფო“, №3 [17], მარტი, 2008, გვ. 2

2007 წელს სოფლის მეურნეობის სფეროში, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები 91 ქვეყანასთან ჰქონდა. ქართული პროდუქცია ექსპორტზე მსოფლიოს 63 ქვეყანაში გავიდა, ხოლო იმპორტი 85 ქვეყნიდან განხორციელდა. აგროსასურსათო სექტორში საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 17 ქვეყანასთან. ამ ქვეყნებში ძირითადი საექსპორტო საქონელია: თხილი, ციტრუსი, უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, წითელი და თეთრი ღვინოები, სპირტიანი სასმელები, დაფნის ფოთოლი, სუნელები, ჩაი და მინერალური წყლები.

2007 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი-იმპორტის სავაჭრო საღლო უარყოფითი იყო და 488 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის წილი 22%-ია. ამავე წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტმა 274 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (დიაგრამა 1), ხოლო იმპორტმა 762 მლნ აშშ დოლარი (დიაგრამა 2).




დიაგრამა 1. საქართველოდან აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტის დინამიკა 2005-2007 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მიხედვით, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია უკრაინა (28%), სადაც ძირითადად გადის თეთრი და წითელი ღვინოები, მინერალური წყლები, 82

გორც დიაგრამა 2-დან ჩანს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2007 წელს 2006 წელთან შედარებით 28,4%, ხოლო 2005 წელთან შედარებით 75%-ით გაიზარდა.

2007 წელს რუსეთი კვლავ ინარჩუნებდა პირველ ადგილს და აგრო-სასურსათო იმპორტში 25%-ს შეადგენდა, მეორე ადგილზე იყო უკრაინა – 17,6%-ით, მესამე ადგილს თურქეთი იკავებდა, რომლის წილად 9,04% მოდიოდა. ძირითადი სავაჭრო პარტნიორები ასევე იყვნენ ყაზახეთი, ბრაზილია, გერმანია, აზერბაიჯანი, საფრანგეთი და ბელორუსია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის არასაექსპორტო სექტორის ზრდა მნიშვნელოვანია იმპორტის ჩანაცვლების და სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით. ეს სექტორი აგრეთვე მნიშვნელოვანია ქართული სოფლის მეურნეობის უნიკალური აგრარული მრავალფეროვნების შენარჩუნების მხრივ. სწორედ ამიტომ, არასაექსპორტო, მაგრამ ტრადიციული აგრარული დარგების (მაგალითად, მემარცვლეობა, მეცხოველეობა და ა.შ.) შენარჩუნება საბოლოოდ დადებით სოციალურ ეფექტს გამოწვევს და სოფლად სურსათის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.




დიაგრამა 2. საქართველოში აგროსამრეწველო პროდუქციის იმპორტის დინამიკა 2005-2007 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

დამუშავებული მიწის მცირე მოცულობის, ჩამორჩენილი აგარარული ტექნოლოგიების და საწარმოო საშუალებების მაღალი დანახარჯების პირობებში, გარკვეულ აგრარულ დარგებს დაბალი

კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო ღირებულება გააჩნიათ. ამდენად, არასაექსპორტო დარგების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ერთადერთი გზა ამ სექტორის პროდუქტიულობის ზრდაში მდგომარეობს.

არასაექსპორტო საქონლის პროდუქტიულობის გაზრდისთვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სრულყოფილი სათესლე ჯიშების ათვისება სათესლე მეურნეობის მოწყობილობების გაუმჯობესების გზით (მაგ. ხორბალი, ქერი, სიმინდი);
- მარკეტინგული მექანიზმების გაუმჯობესების მხარდაჭერა;



დიაგრამა 3. უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტში 2007 წელს (მლნ აშშ დოლარი)

მეცხოველეობა წარმოადგენს მომდევნო მნიშვნელოვან დარგს იმპორტის ჩანაცვლების თვალსაზრისით (მაგ. რძის პროდუქტები). ამ დარგისთვის რეალური შესაძლებლობები არსებობს, რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნა. ამდენად, ჯიშების გაუმჯობესება და ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამავე დროს

უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მეცხოველეობის ბიზნესს გარკვეულწილად საექსპორტო პოტენციალიც გააჩნია.

ქართულ ჩაის ამჟამად ძირითადად მცირე ზომის 18 ოჯახური საწარმო ამუშავებს. პლანტაციებს კი 30 ათასი ჰექტარის ფართობი უკავია, საიდანაც შედარებით მაღალი ხარისხის ამ დროისათვის მხოლოდ ნახევარია. ჩაის არსებული პლანტაციების აღრიცხვა და შიდა ბაზარზე იმპორტის ქართული პროდუქციით ჩანაცვლების მიღწევის შესაძლებლობა არსებობს გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში ჩაის თანამედროვე ფაბრიკების მშენებლობის გზით, როსთვისაც საჭირო ინვესტიციები შესაძლოა მთავრობის გრძელვადიანი სესხით დაფინანსდეს.


საქართველოს სოფლის მეურნეობა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონეა. მაგრამ როგორც თვით კონკურენციაში, ასევე კონკურენტუნარიანობაში ადგილმდებარეობის როლი თითქმის არ არის გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში, არსებობს მისი შემცირების ტენდენცია. ჩვენი ბაზარი გაჯერებულია იმპორტული, ხშირად დაბალხარისხიანსი და ჯანმრთელობისათვის მავნე საკვები პროდუქტებით. ქვეყანას არ გააჩნია ძირითადი საკვები პროდუქტების (მარცვლეული, ხორცი, რზე, ცხიმი) წარმოების სტრატეგიული მინიმალური დონე.

კონკურენტუნარიანი აგროსექტორის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთ პირობად კლასტერების ჩამოყალიბება მიგვაჩნია. მაიკლ პორტერის ნაციონალური, სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის თეორიაში წამყვანი როლი სწორედ კლასტერებს ეთმობა¹. კლასტერი არის გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მიმწოდებლების, შესაბამისი დარგების ფირმების ჯგუფები, განსაზღვრულ სფეროებში კონკურენტი, მაგრამ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული და ერთობლივად მომუშავე ორგანიზაციები (მაგ: უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, სავაჭრო ორგანიზაციები). კლასტერები დამახასიათებელია პრაქტიკულად ყველა ნაციონალურ, რეგიონულ და ქალაქის ეკონომიკისთვის,

¹ Майкл Портер, Конкуренция, М.: «Вильямс», 2006. с. 608.

განსაკუთრებით კარგად განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში.


ეკონომიკაში არა დარგებისა და ფირმების იზოლირებული ფორმა, არამედ კლასტერების უპირატესობა აშკარაა. კლასტერები ექსპორტის გაზრდასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. აგროსექტორში კლასტერების განვითარების ფაქტორები მოცემულია სქემაზე 7.



სქემა 7

მეტად მნიშვნელოვანია კლასტერების განვითარება სოფლის მეურნეობის კუთხით. მისი გეოგრაფიული მასშტაბები შეიძლება მერყეობდეს ერთი ქალაქიდან ან რეგიონიდან ქვეყნამდე ან შეიძლება რიგ მეზობელ ქვეყნებამდეც კი. კლასტერები უმეტეს შემთხვევებში მოიცავენ მზა პროდუქტის კომპანიებს ან მომსახურე (სერვისულ) კომპანიებს, წარმოების, სპეციალიზებული ფაქტორების, კომპონენტების, მანქანების და ასევე მომსახურებათა მიმწოდებლებს, საფინანსო ინსტიტუტებს, ფირმებს შესაბამის დარგებში.

კლასტერები შეინიშნება როგორც მსხვილ, ისე ვიწრო სფეროებში, ბიზნესის ლოკალურ სახეებში, როგორებიცაა სარესტორნო საქმე, ავტომობილებით ვაჭრობა, ანტიკვარული მაღაზიების ქსელი. განსაკუთრებით კარგად მიესადაგება იგი სოფლის მეურნეობას და მისი ქვედარგების განვითარებას, ტურისტულ ბიზნესთან ერთად.



სქემა 8

მსოფლიო ბაზარზე ქართულ პროდუქტს ინდუსტრიული აგროწარმოების დაბალფასიან, ხშირ შემთხვევაში სუბსიდირებულ პროდუქციასთან უწევს კონკურენცია. საქართველოს ნაყოფიერი მიწა და კარგი კლიმატური პირობები ხელსაყრელია მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფართო ასორტიმენტის წარმოებისათვის, მათ შორის ყურძენის, თხილის (მიწის თხილი, ნუში, კაკალი და წაბლი), ჩაის, ციტრუსებისა და სხვადასხვა ხილის წარმოებისათვის.

აგროსექტორში კლასტერების განვითარების ფაქტორები

<p>მასტიმულირებელი ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> > მომწოდებლების ხელმისაწვდომობა > ამ სფეროს პერსონალის ხელმისაწვდომობა > კოოპერირების ტრადიციები > ტექნოლოგიური კულტურის განვითარება 	<p>შემაფერხებელი ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> > მოწოდების სისტემის დაბალი ეფექტიანობა და მოწოდების დაბალი ხარისხი > ბიზნესის მოთხოვნების, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი პროგრამების არაადეკვატურობა > სუსტი კავშირი ბიზნესს, მეცნიერებასა და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას შორის > მოსახლეობის დაბალი სამეწარმეო აქტივობა (სამეწარმეო კულტურა) > ბიზნესის დაბალი სტრატეგიული და ოპერატიული გამოცდილება
---	--

სქემა 9

საქართველოში წარმოებული პროდუქცია ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხითა და საუკეთესო გემოვნური თვისებებით: თუმცა რთული ლანდშაფტური რელიეფის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მკვეთრი ფრაგმენტაციისა და რიგი სხვა მიზეზების გამო ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ძალზე გაუჭირდება ფასებით კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნების მასობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. საქართველოს მხოლოდ ხარისხიანი, განსაკუთრებული პროდუქციით შეუძლია მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება.

მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრებს შორის პრიორიტეტი ბიოპროდუქტების ბაზარს ენიჭება. მსოფლიოში ბიოპროდუქციის ბაზარზე არსებული მოთხოვნა ჯერ კიდევ აჭარბებს მიწოდებას. ამასთან, სასურსათო სექტორში ეს ერთადერთი ბაზარია, რომელიც სწრაფად იზრდება – ბიოწარმოების ზრდამ ბოლო 10 წლის მანძილზე 200%-ზე მეტი შეადგინა, ხოლო 5 წლის მანძილზე – 50%-ზე მეტი¹. ეს ტენდენცია უფრო

¹ მ. ჯორჯაძე, ე.შატბერაშვილი, საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ ზოგადი მიმოხილვა, ჟურნალი აგროინფო, №49 [18] აპრილი, 2008. გვ. 6

მეტად მას შემდეგ გამოვლინდა, რაც კონვენციური სოფლის მეურნეობის ბაზარი ფაქტობრივ სტაგნაციას განიცდის. ევროპელი ექსპერტების თვალსაზრისით, ქართულ ბიოპროდუქციას ევროპის ბაზრებზე გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვს. ეს შეიძლება იყოს შემდეგი პროდუქტები: სამკურნალო და არომატული მცენარეები, ღვინო, თაფლი, ბოსტნეული, ხილი, ჩითილები, ჩირი, კაკალი, წვენები, ეგზოტიკური საწებლები, მარცვლეული და პარკოსანი კულტურები, ჩაი, სანელებლები, ეთერზეთები და სხვ.

ბიოწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის სასარგებლოდ შეგვიძლია რამოდენიმე არგუმენტის მოყვანა, კერძოდ:

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ბიოწარმოებაზე გადასვლა გარკვეულწილად უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ინტენსიური მეურნეობის ოპერირება ბაზარზე. საქართველოს სათიბ-საძოვრებზე უმნიშვნელო მინერალური სასუქები შედიოდა, ამიტომ არ არის საჭირო მინერალური სასუქების უარყოფითი ეფექტის აღმოსაფხვრელად მოვიცადოთ სულ მცირე 10 წელი. საქართველოს მეურნეობაში ამჟამადაც ნაკლებად იყენებენ ქიმიურ პესტიციდებსა და სასუქებს, ამიტომ კონვერსიის (ბიომეთოდებზე გადასვლის პერიოდი) შეიძლება ორ წლამდე შემცირდეს, რაც ნაკლებ დანახარჯებთან და სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. იმ პირობებში, როდესაც ინტენსიური წარმოების მეურნეობები სრულად მოიშალა, მეურნეობების უმეტესობა არაეფექტიანია, ხოლო მოსავლიანობა დაბალი. ბიომეთოდების გამოყენება და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემების დანერგვა ზრდის მოსავლიანობას და ძირითადი საფრთხე – პროდუქციის რაოდენობის შემცირება, რომელიც ინტენსიური წარმოების მეურნეობებს ბიოწარმოებაზე გადასვლისას ემუქრება, საქართველოში მინიმუმამდეა შემცირებული.

ბიოწარმოებაში ხელით შრომის წილი გაცილებით მეტია, ვიდრე ინტენსიურ მეურნეობაში, რაც შესაბამისად ბიოპროდუქციის ფასზეც აისახება. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ხარჯების წილი განსაკუთრებით მაღალია. საქართველოში მუშახელი შედარებით იაფია და მექანიზაციის დაბალი დონის გამო კონვენციურ წარმოებაშიც აქტიურად გამოიყენება. ამიტომ ეს ფაქტორი პროდუქციის თვითღირებულებაზე განსაკუთრებულ გავლენას ვერ მოახდენს.

ბიოპროდუქციის მაღალ ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც საქსპორტო, ისე შიდა ბაზრისათვის. გარდა ბიოწარმოების სტანდარტებისა, ფერმერულ და გადამამუშავებელ წარმოებაში ხარისხის მისაღწევად აუცილებელია სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვის სტიმულირება (მწარმოებელთა ინფორმირება და სწავლება) და კონტროლი, რის აუცილებელ წინაპირობასაც „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ“, ასევე „მცენარეთა დაცვისა“ და „ვეტერინრიის შესახებ“ კანონებისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების რეალური ამოქმედება და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის ეფექტიანი ამუშავება წარმოადგენს.

ბიოწარმოების განვითარებას საქართველოში უკვე შექმნილი აქვს სასტარტო პირობები. სახელმწიფოს მხრიდან სწორი აგრარული პოლიტიკის გატარებისა და ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის პირობებში, ბიოსექტორს იმის პოტენციალი აქვს, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ბიოწარმოება, როგორც ხარისხზე ორიენტირებული, მზარდი და პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო სისტემა, სამომავლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტი უნდა იყოს. საქართველომ თავის სიტყვა უნდა თქვას გლობალურ მასშტაბებში და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ევროპის მასშტაბით. უნდა ჩამოყალიბდეს ინსტიტუციონალური სისტემები, რომლებიც აწარმოებს საქართველოსთვის მაღალი გემოვნებითი თვისებების მქონე პროდუქციას და გახდის ექსპორტის საგნად.

2.3 მდგრადი სოფლის მეურნეობის გლობალური ბაზრები და რეგულაციები

საქართველო კულტურულ მცენარეთა მრავალფეროვნების წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრია. სამწუხაროდ, იმ ტრადიციული კულტურების ჯიშების უმრავლესობა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ქართველი გლეხების მიერ იქმნებოდა, ამჟამად გადაშენების

პირას იმყოფება. კულტურულ მცენარეთა ადგილობრივი ჯიშები კარგად ეგუებიან არსებულ გარემო პირობებს. მათ დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვთ და ეს მათ უნიკალურობასა და მრავალფეროვნებაში დევს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ტრადიციული კულტურების აღდგენა-გავრცელება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდასა და ეკოტურიზმის განვითარებასთან ერთად, მცირე და საშუალო მეურნეობების მდგრადობის საუკეთესო პერსპექტივას ქმნის.

დარგის რეფორმის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ფერმერთა გაერთიენებების შექმნა და გამსხვილება, ეკოლოგიურად სუფთა და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ექსპორტზე ორიენტაციის და გადამამუშავებელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა.

აგრარული მრავალფეროვნების დაცვა პირველ რიგში, ბიოლოგიური მეურნეობების განვითარებით არის შესაძლებელი, რომლის შედეგადაც მოხდება ადგილობრივი კულტურების სახეობებისა და ჯიშების ფართო გამოყენების ხელშეწყობა. აქ წარმოებული პროდუქცია კონკურენციას ვერ გაუწევს დიდ ქვეყნებს იაფი პროდუქციის წარმოებით. ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების წინაპირობა აქ წარმოებული პროდუქციის უნიკალურობა და მაღალი ხარისხი უნდა გახდეს. ამ მხრივ ბიოპროდუქციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ჯერჯერობით მსოფლიოში ბიობაზარი ერთადერთ ნიშად რჩება, სადაც მოთხოვნა მიწოდებას აჭარბებს. მიგვაჩნია, რომ განვითარებული ბიომეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საუკეთესო ფორმის დამკვიდრება სახელმწიფოში არამარტო ჯანსაღი სურსათის, ჯანსაღი გარემოსა და მომავალი თაობების საწინდარია, არამედ მას მზარდი ეკონომიკური პოტენციალი მოეპოვება.

ორგანული პროდუქტების ყველაზე დიდი მოხმარება მდიდარ ქვეყნებში აღინიშნება. გლობალური ორგანული ბაზარი დაახლოებით 25 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულებისაა, რომლის ნახევარი ჩრდილოეთ ამერიკაზე მოდის, დახლოებით ნახევარი კი — ევროპულ ქვეყნებზე. მხოლოდ 3% ნაწილდება დანარჩენ ქვეყნებ-

ზე¹. ტრადიციული ორგანული პროდუქტები არის მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, ხორცი და რძის პროდუქტები, მაგრამ მოთხოვნა ისეთ პროდუქტებზე როგორცაა ღვინო, ყავა და შაქარი ასევე იზრდება.

ბიოპროდუქციის ბაზარი მსოფლიოში საკმაოდ განვითარებულია. ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სექტორი ამჟამად 120-ზე მეტ ქვეყანაში ვითარდება. ავსტრიასა, შვეიცარიასა და შვეიცარიაში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის 10%-ს შეადგენს, ავსტრიის მთიანეთში კი - 50%-ს. გერმანიაში დაახლოებით 10 ათასი ბიომეურნეობაა, იტალიაში - 60 ათასი, ავსტრიაში 20 ათასი. ისეთ ქვეყანაში, როგორცაა ეგვიპტე, 1000-მდე ადამიანი ბიოდინამიური მეთოდით მიღებულ პროდუქციას აწვდის დაახლოებით 7000 ფარმაცევტულ და 3000 ჩვეულებრივ მაღაზიას; უგანდაში 7000 მეურნეობა ორგანულ ბამბას აწარმოებს, მექსიკაში კი დაახლოებით 10 000 მცირე მეურნეობა - ორგანულ ყავას. მომხმარებლის მზარდი მოთხოვნა გამოიკვეთა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა, პოლონეთი, იაპონია, ავსტრალია. ავსტრალიაში 1,7 მლნ. ჰა მიწის ფართობი, სადაც აწარმოებენ ბიოპროდუქციას, სერტიფიცირებულია.


ბოლო მონაცემებით დასავლეთ ევროპაში ბიოპროდუქცია მთლიანი სასურსათო პროდუქციის 1-2%-ს შეადგენს. ბიოპროდუქციის რეალიზება უკვე სუპერმარკეტების ქსელითაც ხდება. მაგ., დანიაში სერტიფიცირებული ბიოპროდუქციის 70% სუპერმარკეტებში იყიდება, გერმანიაში 3000-4000 მაღაზია ბიოპროდუქციით ვაჭრობს. ეს, რა თქმა უნდა, მომხმარებლის მზარდი მოთხოვნილებითაა განპირობებული.

ბაზარზე ბიოლოგიური პროდუქციის აღიარების თვალსაჩინო მაგალითია ბავშვთა კვების პროდუქტების დამამზადებელი კომპანიების საქმიანობა. ბავშვთა კვების პროდუქტების დამამზადებელი გერმანიის წამყვანი კომპანიები, რომელთა კაპიტალდაბანდება წელიწადში დაახლოებით 140 მლნ აშშ დოლარია, ნედლეულს მხოლოდ სერტიფიცირებული ბიომეურნეობებიდან იღებენ.

¹ Organic Agriculture, Background information, http://www.mukwano-ustralia.org/organic_agriculture

ბოლო წლებში ბიოპროდუქციის მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. თუ ადრე ბიოპროდუქცია მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელზე იყო გათვლილი, დღეს უკვე გაჩნდა ამ პროდუქციით რიგითი მომხმარებლის დაინტერესების ტენდენცია, გაიზარდა კონკურენციაც. თუ თავდაპირველად ბიოპროდუქციის ძირითად მომწოდებლებად განვითარებული ქვეყნები ითვლებოდნენ და ისინი აკონტროლებდნენ ბაზარს, დღეს აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სერიოზულ განაცხადს აკეთებენ ბიობაზარზე და წარმატებებსაც აღწევენ. ამასთან, მნიშვნელოვნად ამაღლდა ბიოპროდუქციის ხარისხი და გამკაცრდა სტანდარტის მოთხოვნებიც.

ორგანულ მენეჯმენტს დაქვემდებარებული ფართობები კონტინენტების მიხედვით




დიაგრამა 4

ბიოპროდუქციის საერთაშორისო ბაზრის განვითარების პროცესში მოხდა მისი სექტორებად დაყოფა: დღეისათვის ბიობაზარი პრაქტიკულად მოიცავს საქონლის მთელ სპექტრს, კერძოდ, საკვებ პროდუქტებთან ერთად, ბიობაზარზე გამოჩნდა სარეცხი საშუალებები, კოსმეტიკა (რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს), ტანსაცმელი და სხვ.


ბიობაზრის ავტორიტეტული ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ბიოპროდუქციით ვაჭრობის მოცულობა მომდევნო 10 წლის მანძილზე გაიზრდება და 100 მლდრ. დოლარს მიაღწევს. ზრდის წილის დიდი ნაწილი აშშ-სა და იაპონიაზე ექნება. ბიობაზრის ზრდის პერსპექტივებს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ისეთი კორპორაციები, როგორიცაა NESTLE და UNILEVER უკვე შევიდნენ ბიობაზარზე.

დღევანდელ ტერმინოლოგიაში ტერმინები ეკოპროდუქტები და ბიოპროდუქტები ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება. ორივე მათგანი გულისხმობს ეკოლოგიური ანუ ბიომეურნეობების შექმნას. ბიოწარმოება გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი პროდუქციის წარმოება: ბიომეურნეობაზე გადასვლისათვის ფერმერს სამი წელი მაინც სჭირდება - სწორედ ამ დროში ხდება ნიადაგიდან ადრე შეტანილი ქიმიური სასუქებისა და სხვა ქიმიური მეტაბოლიტების გამოდევნა. ამასთან, ბიოწარმოება გულისხმობს წარმოების ყველა ეტაპზე ხარისხის გაცილებით მაკაცრ კონტროლს. სერტიფიკატის მისაღებად ბიომეწარმეს გაცილებით მაკაცრი მოთხოვნების შესრულება უწევს, ვიდრე ჩვეულებრივი პროდუქციის მწარმოებელს. ბაზარზე ბიოპროდუქციით ვაჭრობა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. აღნიშნული კანონები მოიცავს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პროდუქციის წარმოება და აღწერილია ღონისძიებები, რომლებიც დასაშვებია ბიომეურნეობაში. ამასთან იკრძალება „ბიო“, „ეკო“ და ა.შ. სტატუსის გამოყენება სერთიფიცირების გარეშე.

დღეისათვის მდგრადი სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული ფერმერების რაოდენობა, ბიომეურნეობების ფართობი და ბიოპროდუქციის ბაზარი ყოველწლიურად იზრდება. მსოფლიოში ეკოლოგიური წარმოებისა და ექსპერტიზის სფეროში წამყვანი ადგილი უკავია აშშ-ს, იაპონიას და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.



დიაგრამა 5



დიაგრამა 6

ექსპერტების შეფასებით ეკოპროდუქციის ბაზარი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი და დინამიკურია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ

XXI საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოში წარმოებული პროდუქციისა და ტექნოლოგიების 40% ეკოლოგიური იქნება.

ეკომეურნეობების განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი ევროპული ქვეყნა არის ავსტრია. ავსტრიის მოსახლეობის 4,2% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. მცირე ეკოლოგიური მეურნეობების (ოჯახური ფერმების ტიპის) რაოდენობა დღეისათვის 19 ათასს აღწევს და მოიცავს დაახლოებით 298 ათას ჰექტარ ფართობს, რაც ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 11,6%-ს და ფერმების საერთო რაოდენობის 9,2%-ს შეადგენს. ავსტრიის ფერმერთა ასოციაციების მონაცემებით სერტიფიცირებული ეკოფერმების 2/3 ორიენტირებულია მეცხოველეებაზე, ხოლო 1/3 – მემცენარეობაზე.

ავსტრიაში ეკომეურნეობების განვითარებას ხელი შეუწყო სამმა ძირითადმა ფაქტორმა: ფედერალურმა სუბსიდიებმა, გარემოსდაცვითმა პროგრამამ და მეცხოველეობის ფერმების განვითარებისთვის ერთობ ხელსაყრელმა პირობებმა¹. დახმარების პროგრამის ამუშავება სერიოზული სტიმული აღმოჩნდა ავსტრიის ფერმერებისათვის – 10 წლის მანძილზე (1990-2000) ეკოფერმების რაოდენობა 12-ჯერ გაიზარდა². ეკოპროდუქციით შიდა საბითუმო ვაჭრობის წლიური მოცულობა 218 მილიონ ევროს აღწევს, რაც ქვეყნის ბაზრის მოცულობის 3%-ს შეადგენს. ეკოპროდუქტების 50% ჩვეულებრივი სავაჭრო ქსელში იყიდება, 13% - სპეციალიზებულ მაღაზიებში, 10% - საზოგადოებრივი კვების ქსელში (რესტორნები, სასტუმროები, საკონდიტროები, სკოლები), ხოლო 7 %-ს - თვითონ ფერმერები ყიდიან ბაზრობებზე.

ავსტრიაში ამჟამად ფუნქციონირებს 7 მაკონტროლირებული ორგანო. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია ABG (Austria Bio

¹ „ავსტრიის ნაციონალური დახმარების პროგრამა ბუნებრივი სასიცოცხლო პირობების დამცველი ექსტენსიური ფერმერობის გასავითარებლად“ – OePUL, რომელიც 1995 წლიდან ამოქმედდა. ავსტრიის ეკოფერმების 95% ამ პროგრამის ფარგლებში იღებს სუბსიდიებს. პროგრამის რეალიზაცია ხორციელდება ევროკავშირთანების ფონდიდან (50 %), ფედერალური (30%) და ადგილობრივი (20%) წყაროებიდან.

² დუნდუა თ., ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა ავსტრიაში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ბროშურა „ბიომეურნე“, №2 (13) 2006, გვ. 4

Garantie). ეკოფერმის თითოეული ინსპექტირება დაახლოებით 110-130 ევრო ჯდება. სახელმწიფოს მხრიდან ეკოფერმების ხელშეწყობის პროგრამას თან ახლდა ეკოპროდუქციის ფართო სარეკლამო-საინფორმაციო კამპანია.

არსებული სიტუაცია განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა;
- სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ხელშეწყობა (სახელმწიფო დოტაცია, შეღავათების სისტემა ეკოფერმერებისათვის);
- ეკოპროდუქციის გასაღების მექანიზმების არსებობა;
- მომხმარებლისა და მწარმოებლების ეკოლოგიური ცნობიერების მაღალი დონე და სხვ.

ევროპაში ბიოპროდუქციის ბუმი. ევროპის მომხმარებლის ასეთ განწყობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ შვეიცარიაში დაიხურა „მაკდონალდის“ ქსელი და ევროპაში გაძლიერდა Fast Food-ის (სწრაფი კვების) ალტერნატივა – Slow Food-ის (ნელი კვების) ქსელი. მისი სლოგანია: როგორ პროდუქტებს გთავაზობთ Slow Food-ი? გემრიელს+სუფთა+პატიოსანი=მდგრადი, ხარისხიანი პროდუქტები¹.

ევროპაში ბიოპროდუქტების პოპულარობა სარეკლამო ბაზრის გაჯერებულობამაც გამოიწვია – სარეკლამო ინფორმაციის სიუხვემ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მომხმარებელი თითქმის უყურადღებოდ ტოვებს ამა თუ იმ ცნობილ ბრენდს, მას მხოლოდ ის აინტერესებს, არის თუ არა ეტიკეტზე წარწერა „ბიო“.

ექსპერტების შეფასებით ეკოპროდუქციის ბაზარი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი და დინამიკურია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოში წარმოებული პროდუქციისა და ტექნოლოგიების 40% ეკოლოგიური იქნება.

ბიოპროდუქტების ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია, ჩინური ბაზრის გაფართოვება ადგილობრივ და საერთაშორისო არეალზე ჩინელი ფერმერებისთვის ქმნის იმის საშუალებას, რომ აწარმოონ უფრო მეტად მდგრადი სასოფლო სამეურნეო პროდუქტი. ჩინელი მომხმარებლები უპირატეობას ანიჭებდნენ მწვანე საკვებს და მზად არიან მაღალი ფასი გადაიხადონ. შედეგად ჩინური ბაზრები გაჯერ-

¹ www.slowfoodfoundation.com

და ორგანული საკვებით. ჩინეთში ორგანული საკვების წარმოებას და ექპორტზე გატანას საკაოდ დიდი პოტენციალი აქვს¹.

რაც შეეხება საქართველოში ბიობაზრის განვითარების პერსპექტივებს, ჯერ ჩვენ შორს ვართ ევროპული მოდელისაგან. მაგრამ თბილისში, უკვე შეიმჩნევა მომხმარებელთა ფენის ჩამოყალიბება, რომელიც ჯანსაღი კვების მომხრეა და მზად არის განსხვავებული ფასი გადაიხადოს. აღსანიშნავია პოზიტიური ცვლილება სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის სფეროშიც. ქვეყანაში ბიოპროდუქციის წარმოებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

საქართველოში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ შეიმუშავა ბიოაგროწარმოების სტანდარტები და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში სერტიფიცირების სამსახურის შექმნას. 2004 წლისათვის ასოციაციაში გაწევრიანებული იყო 240-მდე ბიომეურნე. ბიომეურნეობების საერთო ფართობი 1000 ჰა-ს შეადგენდა, რაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0,09%-ს წარმოადგენს. „ელკანას“ წევრების მიერ წარმოებულ ბიოპროდუქციას საკუთარი მომხმარებელიც ჰყავს, მაგრამ ბიობაზარი, მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, პრაქტიკულად არ არსებობს.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ მუშაობა დაიწყო აგრობიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხებზე. ამ მიზნით 1998 წელს „ელკანამ“ დააფუძნა აგრობიომრავალფეროვნების დაცვის საზოგადოება „დიკა“, რომლის ძალისხმევით „ელკანას“ წევრ ფერმერთა მეურნეობებში (სხვადასხვა დროს 170-ზე მეტ ფერმერთან) ითესება ხორბლის, ქერის, ღომის, ფეტვის, ოსპის, ცერცვის, მუხუნდოს და სხვა ადგილობრივი ჯიშები. ამასთან შეიქმნა კულტურული მცენარეების ნიმუშების საცავი. 2004 წლისათვის „ელკანას“ საცავში კულტურული მცენარეების 300-მდე ნიმუშია დაცული.

ამავე წელს „ელკანას“ ხელშეწყობით სამცხე-ჯავახეთში დაიწყო პროექტის – „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების

¹ Richard Sanders, A Market Road to Sustainable Agriculture? Ecological Agriculture, Green Food and Organic Agriculture in China, Development and Change 37(1): 201–226 (2006). Institute of Social Studies 2006.

აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება” განხორციელება. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სათესლე და სარგავი მასალის შეგროვება კოლექციებში დაცვისა და შემდგომი გამრავლების მიზნით; სპეციალური პროგრამების შემუშავება ადგილობრივ მცენარეთა გენეტიკური რესურსების გამრავლებით დაკავებულ ფერმერთათვის; მწარმოებელთა ადგილობრივი ასოციაციების ჩამოყალიბება; ადგილობრივ კულტურულ მცენარეთა გამოკვლევის საფუძველზე სტრატეგიული ნიშა-პროდუქტების შერჩევა და ახალი პროდუქტების პოპულარიზაცია.

„ელკანა” ერთ-ერთი წარმატებული ორგანიზაციაა, რომელიც 2009 წლის თებერვლის მონაცემებით აერთიანებს ბიომეურნეობებს:

– ახალციხეში – 196 წევრს („ფარეზი“);

დარგების მიხედვით (ახალციხის გარდა) ელკანას წევრი ფერმერების რაოდენობა ქვედარეგების მიხედვით შეადგენს:

– მებოსტნეობაში – 43 წევრი (ფარეზის გარდა);

– მეფუტკერეობაში – 66 წევრი;

– მეღვინეობაში – 94 წევრი;

– მეცხოველეობაში – 99 წევრი;

– მეხილეობაში – 172 წევრი;

ბიოპროდუქტების მწარმოებელი აქტიური რეგიონებია კახეთი, სამეგრელო, გურია. „ელკანა” ასევე აერთიანებს 5 საეპარქიო და 3 სამონასტრო მეურნეობებს¹.

2007 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შესულმა საქართველოს კანონმა „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ” სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე მზარდ სისტემის – ბიოწარმოების განვითარებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის თანახმად ბიოსერტიფიკატის არმქონე პირის მიერ ეტიკეტზე ისეთი წარწერის გაკეთება (სიტყვითა და შესიტყვებათა ნებისმიერი კომბინაცია, სადაც განსაზღვრებად იქნება „ეკო”, „ბიო”, „ორგანული და სხვ.), რომელიც მომხმარებლებს აფიქრებინებს, რომ პროდუქტია წარმოებულია ბიოწარმოების სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიცირდება როგორც ფალსიფიკაცია და კანონით ისჯება. სამწუხაროდ, ადგილობრივი სასურსათო ინდუს-

¹ მონაცემები აღებულია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანაში”

ტრიის ლობირების შედეგად, კანონის გარდამავალ დებულებებში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ამ წესის გავრცელება 2012 წლის 31 დეკემბრამდე შეჩერებულია იმ მწარმოებლების მიმართ, რომლებიც კანონის ამოქმედების დროისათვის მსგავსი ნიშანდების პროდუქციას აწვდიდნენ საქართველოს ბაზარს. საექსპორტო პროდუქციაზე ეს შეღავათი არ გავრცელდება. ცხადია, ეს დებულება არაჯანსაღ კონკურენციას უწყობს ხელს, ამკვიდრებს ორმაგ სტანდარტებს და მწარმოებლებს საშუალებას უქმნის მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანონ. „ბიოპროდუქტის“ სინონიმების ეტიკეტებზე დატანების აკრძალვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა ბაზარზე სამომხმარებლო კულტურის განვითარების თვალსაზრისით. ქართველ მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს, რა ხარისხის პროდუქტს მოიხმარს. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არაერთია. ევროპაში ბიოწარმოების შესახებ რეგულაციის შემოღებისას, საყოველთაოდ ცნობილი კონპანია „დანონის“ ლობირებით რეგულაციის ანალოგიური მუხლის ამოქმედება 5 წლით გადაიდო.

კომპანია „ბელელის“ ძალისხმევით, რომლის მიზანია ბიოპროდუქციის ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა საქართველოში და ასევე ზრუნვა ქართული ბიოპროდუქციის ევროპის ბაზარზე დამკვიდრებისათვის, „ელკანას“ წვერი ბიოფერმერების პროდუქცია უკვე იყიდება თბილისის სხვადასხვა სუპერმარკეტში და სპეციალიზებულ მაღრაზიებში, თუმცა მათი რიცხვი მცირეა.

ბიოწარმოების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი სისტემითაა განპირობებული. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა შედგება საერთაშორისო და სახელმწიფო, ასევე კერძო სტანდარტებისა და რეგულაციებისაგან, რომლეთაგან საერთაშორისო სტანდარტები ყველაზე ზოგადია, ხოლო სახელმწიფო – შედარებით კონკრეტული და უფრო მკაცრი. ასევე არსებობს კერძო სტანდარტები, რომლებიც კიდევ უფრო მკაცრია და ამავე დროს, შეესაბამება როგორც საერთაშორისო, ისე შესაბამის სახელმწიფო სტანდარტს.

ბიოწარმოების სამართლებრივი სისტემა

საერთაშორისო სტანდარტები	სახელმწიფო სტანდარტები	კერძო სტანდარტები და რეგულაციები
<ul style="list-style-type: none"> • ყველაზე ზოგადია, მინიმალური მოთხოვნები • ბიოწარმოებისათვის • Codex Alimentarius GL 32 • ევროკავშირის შესაბამისი რეგულაცია - EEC #2092/91 	<ul style="list-style-type: none"> • რეგიონალურ ან ქვეყნის დონეზე, შედარებით კონკრეტულია • შედარებით მკაცრია, გეოგრაფიული მდებარეობის, სოცილურ-ეკონომიკური მდგომარეობის, კულტურული ფასეულობების, ექსპორტის სტრატეგიის, გარემოს დაბინძურებისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. 	<ul style="list-style-type: none"> • შეესაბამება საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტებს • ყველაზე მკაცრია

სქემა 9

დღეისათვის მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის ორგანული მეურნეობა სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ სექტორად იქცა. ბიომეურნეობების განვითარება-გაფართოებას სუფთა საკვებზე მომხმარებლის მოთხოვნილების მატება განაპირობებს. მაგრამ მომხმარებელი თხოულობს პროდუქციის სანდოობის გარანტიებს - იგი იხდის განსხვავებულ ფასს ბიოპროდუქციაში და სურს, რომ ფალსიფიკაციისაგან დაცული იყოს. ამ პროცესს არეგულირებს სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც სტანდარტებისაგან (წესები), ინსპექციისა (შემოწმება) და უშუალოდ სერტიფიცირებისაგან შედგება.

სერტიფიცირების პროგრამის განხორციელება ხდება დამოუკიდებელი სერტიფიცირების ორგანოების მიერ.

ადგილობრივი სტანდარტების შემუშავებისას ცალკეული ქვეყანა თუ რეგიონი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ნორმებითა და წესებით, მაგრამ ეს სტანდარტები შესაძლოა საერთაშორისოზე მკაცრიც იყოს, ვინაიდან საერთაშორისო სტანდარტში მოცემულია ბიოაგროწარმოების ძირითადი პრინციპები და ის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ბიოპროდუქციის წარმოებისა და მისი აღიარებისათვის. ადგილობრივი, ეროვნული ან რეგიონული სტანდარტების შემუშავება კი, ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის, სოცილურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ხდება.

რობის, კულტურული ფასეულობების, ექსპორტის სტრატეგიის, გარემოს დაბინძურებისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით ხდება.

სერტიფიცირების ორგანო გასცემს სერტიფიკატს, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ კონკრეტულ მეურნეობაში (ან საწარმოში) პროდუქციის მოყვანის, გადამუშავებისა და შენახვის დროს არ გამოუყენებიათ აკრძალული ნივთიერებები და მეურნეობის მოწყობის, მართვის პრინციპები შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს. სწორედ ასეთი ტიპის სერტიფიკატი აძლევს უფლებას მეურნეს გაყიდოს თავისი პროდუქცია, როგორც ბიოპროდუქცია და მას მომხმარებელთა ნდობის მოპოვებაში ეხმარება.

ცალკე საკითხია თვით სერტიფიცირების ორგანოს აღიარების საკითხი. დამოუკიდებელ და კომპეტენტურ ორგანოდ აღიარებისათვის საჭიროა იმის დადასტურება (აკრედიტაცია), რომ სერტიფიცირების ორგანო იცავს სტანდარტებს, მისი სტრუქტურა და საბუშაო პროცედურები შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს და იგი კვალიფიციურად და ობიექტურად ატარებს სერტიფიცირებას.

სერტიფიცირების ორგანოს აკრედიტაცია ხდება ადგილობრივ (ეროვნულ ან რეგიონულ) ან საერთაშორისო დონეზე.

ჩვენი ქვეყნისათვის ბიოპროდუქციის სერტიფიცირების განხორციელების სხვადასხვა გზა არსებობს:

- საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიცირების ორგანოსთან ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც ხდება ამ ორგანოს მიერ შერჩეული ინსპექტორის მიერ კონკრეტული მეურნეობის ინსპექტირება, შემდეგ კი დასკვნა წარუდგინდება სერტიფიცირების ორგანოს, რომლის საფუძველზეც სერტიფიცირების ორგანო გასცემს სერტიფიკატს;

- ე.წ. თანა-სერტიფიცირების სისტემის გამოყენება, როდესაც ადგილობრივი სერტიფიცირების ორგანო ატარებს მეურნეობის ინსპექციას, ამზადებს დასკვნას, ხოლო გადაწყვეტილებას სერტიფიკატის გაცემაზე მიიღებს საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სერტიფიცირების ორგანო;

- ადგილობრივი დამოუკიდებელი სერტიფიცირების ორგანოს შექმნა, რომელიც აღიარებულ იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე

საერთაშორისო დონეზე და დამოუკიდებლად ჩაატარებს სერტიფიცირების ყველა პროცედურას.

კომპეტენტურ ორგანოდ აღიარებისათვის სერტიფიცირების ორგანო უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო მოთხოვნებს (EN45011 ან ISO-665). ამ მოთხოვნებით განსაზღვრულია: როგორი უნდა იყოს სერტიფიცირების ორგანოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რა პროცედურები უნდა ჩაატაროს და რა დოკუმენტაციას უნდა ფლობდეს, როგორ უნდა უზრუნველყოს ამ ორგანომ ხარისხის კონტროლი, როგორ უნდა ჩატარდეს ინსპექცია, რა ტიპის სერტიფიკატები შეუძლია გასცეს და სხვ.

სერტიფიცირების ორგანოს ადგილობრივი აკრედიტაციისათვის, აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა და სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო მოთხოვნებთან; ამის შემდეგ შესაძლებელია დიპლომატიური გზებით მესამეული ქვეყნების სიაში მოხვედრა.

თუ ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, საერთაშორისო აღიარების მოპოვებისათვის სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანოს, მაგალითად IFOAM-ს, ევროგაერთიანებას და საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მიიღოს აკრედიტაცია.

ამ გზით საერთაშორისო აღიარების მოპოვება სერტიფიცირების ორგანოს წელიწადში მინიმუმ 8000 ევრო უჯდება, ხოლო ადგილობრივ აკრედიტაციას წლები სჭირდება. არსებობს სხვა გზაც ბიოპროდუქციის განხორციელებისათვის – პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიცირების ორგანოებთან და მისი ავტორიტეტით სარგებლობა.

ორგანული სტანდარტები არ არის სტატიკური და უცვლელი. სერტიფიცირების სტანდარტების გადახედვა და შეცვლა რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხდება.

მდგრადი სოფლის მეურნეობის ერთიანი ქსელი (The Sustainable Agriculture Network) კოორდინაციას უწევს ამ მიმართულებით მსოფლიოში მდგრადი სოფლის მეურნეობის სტანდარტებზე მუშაობას და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ახდენს მათ გადახედვას. სტანდარტების ბოლო ვერსია მიღებულ იქნა 2008

წლის თებერვალში. 2005 წელს მდგრადი სოფლის მეურნეობის ქსელმა მიიღო სტანდარტების საბოლოო ვერსია, რის შემდეგაც მათი რიცხვი ერთით გაზარდა, ნაცვლად ცხრისა გახდა ათი. ახალი პუნქტი მოიცავს საყოველთაო უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას. ეს პუნქტი გამოყოფს მშრომელთათვის სამართლიანი და საუკეთესო პირობების შექმნის პუნქტს. საბოლოოდ სტანდარტები მოიცავს შემდეგ ათ პუნქტს:¹

1. სოციალური და ბუნებრივი გარემოს მართვის სისტემა;
2. ეკო სისტემის კონსერვაცია;
3. ველური ბუნების დაცვა;
4. წყლის კონსერვაცია;
5. სამართლიანი და საუკეთესო პირობების შექმნა მშრო-

მელთათვის;

6. საყოველთაო ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
7. სათემო გაერთიანებების ურთერთობები;
8. მოსავლის ინტეგრირებული მართვა;
9. ნიადაგის მენეჯმენტი და კონსერვაცია;
10. ინტეგრირებული ნარჩენების მენეჯმენტი;

საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ ბიოაგროწარმოების მხლოდ ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, ხოლო უფრო დეტალური რეგულაციები მოცემულია საქართველოს სახელმწიფო სტანდარტში „ბიოპროდუქციის ძირითადი მოთხოვნები და წარმოების წესები“ (სსტ 68:2007). კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ საერთაშორისო სტანდარტის – Codex Alimentarius GL 32-ისა² და ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციის (EEC #2092/91) პრინციპების გათვალისწინებით შემუშავდა. Codex Alimentarius-ის” კომისიის მიერ დადგენილი GL 32-ით მოთხოვნები იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო სტანდარტის შემუშავების დროსაც.

¹ Sustainable Agriculture Standard, Sustainable Agriculture Network, February 2008.

² The Guidelines for the Production, Processing, Labeling and Marketing of Organically Producer Foods (GL 32 – 1999, Rev. 1- 2001).

უახლოეს მომავალში დამტკიცდება „ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების ნუსხა“. ექსპორტის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს ნუსხა ზედმიწევნით შეესაბამებოდეს GL 32-ის მოთხოვნებს. დამკვეთი ნივთიერებების განსაზღვრისას, სასურველია გათვალისწინებული იყოს აგრეთვე სტრატეგიული საქსპორტო ბაზრების – ევროკავშირისა და აშშ-ის რეგულაციების მოთხოვნებიც, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მკაცრია (განსაკუთრებით EEC #2092/91, ვიდრე GL 32-ისა).

წარმოების ბიოსტანდარტებთან შესაბამისობა საგანგებოდ აკრედიტებულმა, დამოუკიდებელმა სერტიფიცირების ორგანომ უნდა დაადასტუროს. ამ მიზნით ასოციაცია „ელკანას“ ინიციატივითა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) და EPER/HEKS-ის (შვეიცარია) ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში დაფუძნდა და ფუნქციონირებს ბიოსერტიფიცირების ორგანო – შპს „კავკასსერტი“. ანალოგიური სერტიფიცირების ორგანოები დაფუძნდა სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიაში დაფუძნებული სერტიფიცირების ორგანოებს საერთო ბიოსტანდარტი და ერთიანი ხარისხის მართვის სისტემა აქვთ და საერთაშორისო ბაზრებზე ერთიანი ნიშნით – „გრინ კავკასუს“ (Green Caucasus) აპირებენ გასვლას. დღეისათვის სომხეთსა და საქართველოს სერტიფიცირების ორგანოებს უკვე მიღებული აქვთ გერმანული აკრედიტაციის ორგანოს, DAP-ის საერთაშორისო აკრედიტაცია. სავარაუდოდ, ამ ნიშნის მქონე, ანუ საერთაშორისო მოთხოვნების მიხედვით სერტიფიცირებული პირველი ქართული ბიოპროდუქცია ბაზარზე 2008 წელს უკვე გამოჩნდება. მიუხედავად ამ ოპტიმიზმისა მიგვაჩნია, რომ ეს პროცესები არ იქნება მარტივი და მოსალოდნელია სერიოზული ბარიერებიც.

მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ წარმოების მთელი ჯაჭვი (მინდვრიდან – მომხმარებელამდე) გარკვეულ პრინციპებს შეესაბამებოდეს. კანონმა მოიცვა როგორც პირველადი წარმოება, ისე გადაამუშავება, შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება, სერტიფიცირება, ეტიკეტირება, რეალიზაცია და იმპორტი. ქვეყანაში ასევე მოქმედებს საქართველოს სახელ-

მწიფო სტანდარტი „ბიოპროდუქციის ძირითადი მოთხოვნები და წარმოების წესები”, სადაც მოცემულია დეტალური რეგულაციები.

ამრიგად, ბიოწარმოება მოიცავს მოქმედებათა მთელ ჯაჭვს და ამ ჯაჭვის თითოეული რგოლი გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. შეზღუდვები ეკოლოგიური, კულტურული და მორალური პრინციპებიდან გამომდინარეობს. ხარისხი ბიოპროდუქტის აუცილებელი ნიშანია და სასურველია, წარმოებისას ბიოსტანდარტთან ერთად გამოიყენებოდეს ისეთი სტანდარტებიც, როგორცაა GAP, HACCP ან ISO 800. ამის გამო სერტიფიცირების დროს მოწმდება სწორედ წარმოების პროცესი და ხდება წარმოების სერტიფიცირება, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ წარმოების ამ სისტემით მიღებული პროდუქტი ნამდვილად „ბიოპროდუქტია” და არა უბრალოდ „უსაფრთხო” პროდუქტი.

ბიოპროდუქციის მაღალ ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც საექსპორტო, ისე შიდა ბაზრისათვის. ხარისხის მისაღწევად ფერმერულ და გადამამუშავებელ წარმოებაში, გარდა ბიოწარმოების სტანდარტებისა, აუცილებელია სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვის სტიმულირება (მწარმოებელთა ინფორმირება/სწავლება) და კონტროლი, რის აუცილებელ წინაპირობასაც „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ”, ასევე „მცენარეთა დაცვისა” და „ვეტერინრიის შესახებ” კანონებისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების რეალური ამოქმედება და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის ეფექტური ამუშვება წარმოადგენს.

თავი III. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიმართულეზები საქართველოში

3.1 ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება და გადახდისადმი მზადყოფნა

ბიოპროდუქტების მსოფლიო ბაზარი 2005 წელს 25 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.¹ ბიოპროდუქტების ფასი ქვეყნის შიდა ბაზარზე, ჩვეულებრივ პროდუქციაზე საშუალოდ 25-30%-ით მეტია. თუმცა ზოგიერთი პროდუქტი (ხორცის ნაწარმი, მცენარეული ზეთი) უფრო ძვირიცაა - ჩვეულებრივზე 50%-ით. ხშირად ორგანულად მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება მაღალი ფასები და მისი გავრცელების არხების დეფიციტი.² მაგნუსონის და სხვათა მიხედვით³ “ჩვევის” კონცეფცია ნაწილობრივ ხსნის იმას, თუ რატომ არის ასე მცირერიცხოვანი ორგანული საკვები პროდუქტების რეგულარული მყიდველი, მიუხედავად მათი დადებითი დამოკიდებულებისა.

კვლევები, რომლებიც ეხება ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და გემოვნების შესწავლას იშვიათია, მაგრამ ასეთი კვლევები არსებობს⁴. კვლევის შედეგები ამტკიცებს, რომ მომხმარებლებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ ბიოპრო-

¹ Yussefi, M. (2004), “Development and state of organic agriculture world-wide”, in Wilier, H. and Yussefi, M. (Eds), *The World of Organic Agriculture 2004, Statistics and Emerging Trends*, 6th ed., International Federation of Organic Agriculture Movements, Adelaide.

² O'Donovan and McCarthy, 2002; Hill and Lynchehaun, 2002; Magnusson et al., 2001; Gil et al., 2000; Gendall et al., 1999; Pearson, 2001

³ Magnusson, M.K., Arvola, A., Koivisto Hursti, U.K., Aberg, L. and Sjoden, P.O. (2001), “Attitudes towards organic foods among Swedish consumers”, *British Food Journal*, Vol. 103 No. 3, pp. 209-226.

⁴ Stefanic et al., 2001; Squires et al., 2001; Gil et al., 2000; Magnusson et al., 2001; Chinnici et al., 2002; Harper and Makatouni, 2002; Gendall et al., 1999; Pearson, 2001; Conner, 2004; among others.

დუქტებისადმი. ეს პროდუქტები ითვლება როგორც უფრო ჯანსაღი, სადი, ვიდრე ჩვეულებრივი ალტერნატიული პროდუქტები და სწორედ ეს არის ყიდვის შესახებ მომხმარებელთა გადაწყვეტილების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი.¹

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სურსათის შესყიდვის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის: გემო, პროდუქტის სიჯანსაღე, ვარგისიანობის ვადა და პროდუქტის ხარისხობრივი ასპექტები. ამ სფეროში ჩატარებული კვლევებიდან მეტად საინტერესოა მაგნუსონისა და სხვათა გამოკვლევები². გამოკითხვა ჩატარდა ევროკავშირის ქვეყნებში (EU),³ რამაც აჩვენა, რომ საკვების შერჩევას ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები არის ხარისხი/ახალი პროდუქტი, გემო, ჯანსაღი დიეტური მასასიათებლები, ფასი, ოჯახური პრეფერენციები და ჩვევები⁴. ვონდელმა და ბუგემ⁵ აჩვენეს, რომ გემო, პროდუქტის სიახლე, შესახედაობა და საკვები ღირებულება არსებითია ხილისა და ბოსტნეულის არჩევის დროს. ვერბეკმა⁶ მოახდინა დემონსტრირება, რომ ბელგიაში ახალი ხორცისთვის ხუთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი მოქმედებს – სიახლე, ხარისხი, გემო, სამკურნალო თვისებები და ჰორმონებისაგან თავისუფლება.

1 Chinnici, 2002; Harper, Makatouni, 2002; O'Donovan, McCarthy, 2002; Hill, Lynchehaun, 2002; Hutchins, Greenhalgh, 1995; Beharrel, MacFie, 1991; Pearson, 2001.

2 Magnusson, M.K., Arvola, A., Koivisto Hursti, U.K., Aberg, L. and Sjoden, P.O. (2001), "Attitudes towards organic foods among Swedish consumers", *British Food Journal*, Vol. 103 No. 3, pp. 209-226.

3 Lennernas, M., Fjellstrom, C., Becker, W., Giachetti, I., Schmitt, A., Remaut de Winter, A.M. and Kearney, M. (1997), "Influences on food choice perceived to be important by nationally representative samples of adults in the European Union", *European Journal of Clinical Nutrition*, Vol. 51 No. 2, pp. S8-S15.

4 Lennernas, M., Fjellstrom, C., Becker, W., Giachetti, I., Schmitt, A., Remaut de Winter, A.M. and Kearney, M. (1997), "Influences on food choice perceived to be important by nationally representative samples of adults in the European Union", *European Journal of Clinical Nutrition*, Vol. 51 No. 2, გვ. S8-S15.

5 Wandel, M. and Bugge, A. (1997), "Environmental concern in consumer evaluation of food quality", *Food Quality and Preference*, Vol. 8 No. 10, pp. 19-26.

6 Verbeke, W. (2001), "Beliefs, attitude and behaviour towards fresh meat revisited after the Belgian dioxin crisis", *Food Quality and Preference*, Vol. 12 No. 8, pp. 489-498.

ყველა კვლევის შედეგები ამტკიცებს, რომ მომხმარებლებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ ბიოპროდუქტებისადმი.¹

ბიოპროდუქტების მწარმოებელთათვის განსაკუთრებით შემზღვევლი ფაქტორია მაღალი დანახარჯების დონე (განსაკუთრებით შრომითი), არასაკმარისი ნოუ-ჰაუ და ჩვეულებრივიდან ორგანულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის სირთულე (ბიოწარმოებაზე გადასვლა საქართველოში უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ინტენსიური მეურნეობის აწყობა, ვინაიდან დღეს-დღეობით საქართველოში ნაკლებად იყენებენ ქიმიურ პესტიციდებსა და სასუქებს. ამიტომ კონვერსიის პერიოდი შეილება ორ წლამდე შემცირდეს და ნაკლებ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიოპროდუქტები სეზონური ხასიათისაა და მისი გამოყენების ხანგრძლივობა, ასორტიმენტი და ფასი სეზონების მიხედვით შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს.² ყველა ეს ფაქტორი ართულებს მარკეტინგს და ბიოპროდუქტებზე საცალო ფასების დადგენა ძნელია.³

თბილისში ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა. კვლევის გზით შევეცადეთ გამოგვევლინა, თუ რა ეტაპზეა საქართველოში ბიოპროდუქტების ბაზარის განვითარება, დაგვედგინა არის თუ არა საკმარისად გათვითცნობიერებული მომხმარებელი ბიოპროდუქტების შესახებ.

კვლევის ძირითადი მიზანი საქართველოს დედაქალაქში – თბილისში ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღებში მდგომარეობდა. ჩვენ შევძელით გამოგვევლინა, თუ რა ეტაპზეა საქართველოში ბიოპროდუქ-

1 Chinnici et al., 2002; Harper and Makatouni, 2002; O'Donovan and McCarthy, 2002; Hill and Lynchehaun, 2002; Hutchins and Greenhalgh, 1995; Beharrel and MacFie, 1991; Pearson, 2001.

2 Squires, L., Juric, B. and Cornwell, B.T. (2001), "Level of market development and intensity of organic food consumption: cross-cultural study of Danish and New Zealand consumers", *Journal of Consumer Marketing*, Vol. 18 No. 5, pp. 392-409.

3 Gil, J.M., Gracia, A. and Sanchez, M. (2000), "Market segmentation and willingness to pay for organic products in Spain", *The International Food and Agribusiness Management Review*, Vol. 3 No. 2, pp. 207-226.

ტების ბაზარის განვითარება, შევეცადეთ დაგვედგინა არის თუ არა საკმარისად გათვითცნობიერებული მომხმარებელი ბიოპროდუქტების შესახებ.

კვლევის პროცესში ჩვენ ვეყრდნობოდით აპრობირებულ მეთოდოლოგიას. პირისპირ გამოკითხვით ჩვენს მიერ შედგენილ კითხვარზე პასუხი გასცა 170 მომხმარებელმა. შესწავლილ იქნა ბიოპროდუქტებისადმი მათი დამოკიდებულება, ყიდვის სიხშირე, მიწოდების საკმარისობა და დაკმაყოფილება, შეხედულებები. ყველა სტატისტიკური კვლევა ჩატარდა SPSS პაკეტის გამოყენებით.

კვლევის სირთულე მდგომარეობდა საკვლევი ჯგუფის მრავალფეროვნებაში და რესპოდენტთა შერჩევა-დაჯგუფებაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის პრეფერენციების მკვეთრი სხვადასხვაობა, ამიტომ შემდგომი კვლევებისთვის საჭიროა მომხმარებლებთა დაჯგუფება გარკვეულ ჯგუფებად, რათა შედეგადაც დადგინდეს, თუ რომელი სეგმენტებია უფრო მეტად მგრძობიარე ბიოპროდუქტის მარკეტინგისათვის.

კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საერთო წარმოდგენას გვიქმნის თბილისში ბიოპროდუქტებთან მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და შესყიდვის ქცევისა შესახებ. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას მარკეტინგული ქმედების სამომავლო დაგეგმისათვის.

ახლა კი შევეცადოთ დეტალურად დავახასიათოთ კვლევის პროცესი და მიღებული შედეგები:

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით დღემდე არ ყოფილა არანაირი კვლევა, რომელიც ეხება ორგანული პროდუქტების მოხმარებას საქართველოს დედაქალაქში. ამიტომ მეტად საინტერესო იყო თბილისში ორგანულ საკვებ პროდუქტებზე მომხმარებლებელთა შეხედულებისა და მიდგომების შესახებ ინფორმაციის და გარკვეული ცოდნის მიღება. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას ორგანული პროდუქტების მარკეტინგული დაგეგმვის, სამიზნე სეგმენტების იდენტიფიცირებისათვის, შესაბამისი გავრცელების არხებისა და ბიოპროდუქტების წინსვლისათვის (ფრომომოუშენისათვის).

გამოკითხვა ჩატარებულ იქნა სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე (2006 წლის 29-30 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს დედაქა-

ლაქი) ჩატარდა პირისპირ გამოკითხვა წინასაახალწლო ბაზრობაზე, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული სოფლების სხვადასხვა სახის პროდუქტები, ისეთები როგორცაა: ღვინო, არაყი, ყველი, თაფლი, ნიგოზი, ხორცის პროდუქტები, ჩირი, ჩურჩხელა და სხვ.

გამოკითხვა შესრულდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ბაზრობის 60 ვიზიტორისათვის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ასაკით, სქესით, განათლებითა და სოციალური ფენისადმი მიკუთვნებით. ინტერვიუები აღებულ იქნა მხოლოდ იმ მომხმარებლებისგან, რომლებმაც ისურვეს მონაწილეობა მიეღოთ ამ გამოკითხვაში. მეორე ეტაპზე (2007 წლის 28-30 დეკემბერი, თბილისი, საქართველოს დედაქალაქი) გამოკითხვა ჩატარდა პირველი გამოკითხვის ანალოგიური ანკეტებით და იგივე პროცედურით. მეორე გამოკითხვაში სულ 70 რესპოდენტი გამოიკითხა.

მესამე ეტაპზე (2008 წელი) გამოკითხვა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან. მისი ხანგრძლივობა თითოეულ რესპოდენტთან დაახლოებით 5-7 წუთის შეადგენდა. სულ გამოკითხული იქნა 40 რესპოდენტი, მათ შორის 20 სტუდენტი და 20 თანამშრომელი.

ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარი (იხ. დანართი №18) შედგებოდა 25 კითხვისგან, რომლებიც კითხვების რამოდენიმე ჯგუფად იყო დაყოფილი. აღსანიშნავია ის, რომ კითხვარში ნაცვლად ტერმინისა „ბიოპროდუქტი,” ჩვენ გამოვიყენეთ ტერმინი „ეკოლოგიურად სუფთა საკები პროდუქტები” (მიუხედავად ამ ასპექტში მისი არამართებულობისა), რადგან მიგვაჩნია, რომ საზოგადოების ფართო ფენებისათვის ეს უკანასკნელი უფრო გასაგები და ნაცნობია.

კითხვების უმეტესობა შედგებოდა სამი სავარაუდო პასუხისაგან, ხოლო ზოგი შეიცავდა პასუხის რამდენიმე ვარიანტს. ორი კითხვა იყო ღია ტიპის.

ბიოპროდუქტების რამოდენიმე ატრიბუტი (თავისებურება) შეფასებული იქნა 5 ბალიანი სისტემით, სადაც 1 შეესაბამებოდა თავისებურებათა დაბალ დონეს, ხოლო 5 შეესაბამებოდა თავისებურებათა მაღალ დონეს. ატრიბუტები იზომებოდა სუბიექტური და რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ის მოიცავდა: სამკურნალო

თვისებებს, გემოს, მოხმარების ვადას, ფასს, ხარისხს და შესახედობას.

ანკეტის ბოლო ნაწილი ეხებოდა რესპოდენტების სოციო-ეკონომიკურ მახასიათებლებს. სხვადასხვა დემოგრაფიული თავისებურებებს შორის, როგორცაა სქესი, ასაკი, განათლება და შემოსავლები, რესპოდენტებს ეკითხებოდნენ თუ სად გაიზარდნენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო განსხვავების მოძებნა სოფლის და ქალაქის მოსახლეობის მიდგომებს შორის.

საკვლევ ვაგუფში შერჩეულ იქნა 110 ქალი და 60 მამაკაცი. რესპოდენტების საშუალო ასაკი 36 წელი იყო. გამოკითხულთა 70% იყო უმაღლესი განათლებით. დაახლოებით 25% – არასრული უმაღლესი განათლებით, 5% – საშუალო ან პროფესიული განათლებით.

გამოკითხულთა დაახლოებით 4% ცხოვრობდა ექვსი და მეტი წევრისგან შემდგარ ოჯახში, 13% – ხუთი და მეტი, დაახლოებით 35% – ოთხი, 27%-ზე ცოტა მეტი სამი, 16% – ორი, ხოლო 5% – ერთი წევრისაგან შემდგარ ოჯახში ცხოვრობდა. რესპოდენტთა 14%-ს არ ჰყავდა ბავშვები, 35%-ს ჰყავდა 1-დან 7 წლამდე ასაკის, 27%-ს – 8-დან 14 წლამდე ასაკის, ხოლო 24%-ს – 14 წელზე და მეტი ასაკის ბავშვები.

ოჯახის უმეტესობისათვის (38%) საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენდა 1000-დან 2000 ლარს. 2%-ს ჰქონდა 100 ლარზე ნაკლები შემოსავალი, 12%-ს – 100-დან 500 ლარამდე, ხოლო 28%-ს 500-დან 1000 ლარამდე შემოსავალი. მხოლოდ 20%-ს ჰქონდა 2000 ლარზე მეტი შემოსავალი.

გამოკითხულთა დაახლოებით 57% იზრდებოდა სოფლად, ხოლო 43% – ქალაქად; ქალაქში მცხოვრებთა 74% ასევე სოფელში იზრდებოდა. მათგან მხოლოდ 30% ჩადიოდა სოფელში რეგულარულად.

რესპოდენტებს პირველ რიგში ვეკითხებოდით, არიან თუ არა ბიოპროდუქტების მომხმარებლები. 45%-მა ამ კითხვაზე დადებითად უპასუხა.

რესპოდენტთა უმეტესობას (89%) სჯერა, რომ განსხვავება ბიოლოგიურ და ჩვეულებრივ პროდუქტებს შორის არსებობს, 8% ეჭვობს, 3% ნაკლებად არის დარწმუნებული. შემდგომ ანალიზში

ჩავრთეთ მხოლოდ ისეთი რესპონდენტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ განსხვავებას ხედავენ.


რესპონდენტების დაახლოებით 10% ადასტურებს, რომ ბიოპროდუქტებს ყიდულობს ყოველდღე, 25% – კვირაში რამდენჯერმე, 41% – თვეში რამდენჯერმე, ხოლო 24% საერთოდ არ ყიდულობს, ან ყიდულობს ძალიან იშვიათად. გამოკითხულთა 22% კმაყოფილია ადგილობრივი წარმოების ბიოპროდუქტებით, 27% – არ არის კმაყოფილი, ხოლო 51% ნაკლებადაა კმაყოფილი.

კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ დემოგრაფიული მახასათებლებიდან გამომდინარე, არსებობს განსხვავება სამომხმარებლო ქცევაში¹. მეცნიერები ასევე თვლიან, რომ ქალებს უფრო აქვთ მიდრეკილება ბიოპროდუქტების ყიდვისადმი, ვიდრე მამაკაცებს.² ამასვე ადასტურებს ჩვენი გამოკითხვაც – ქალების დაახლოებით 65% და კაცების დაახლოებით 35% ყიდულობს ბიოპროდუქტებს.

გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ განათლებული ადამიანები, უფრო ხშირად ყიდულობენ ბიოპროდუქტებს, ვიდრე სხვა მომხმარებლები. აღმოჩნდა, რომ უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 85% ბიოპროდუქტებს ყიდულობს უფრო ხშირად, ვიდრე არასრული და საშუალო (პროფესიული) განათლების მქონენი. რესპონდენტების დაახლოებით 23% აღნიშნავს, რომ მათ ბიოპროდუქტები უშუალოდ მწარმოებლებისაგან იყიდეს. ყველაზე ხშირად ნაყიდი ბიოპროდუქტებიდან დასახელდა ხილი და ბოსტნეული (25%). გამოკითხულთა უმრავლესობა ყველაზე ხშირად მოიხმარს რძის პროდუქტებს (24%), თაფლს (20%), ღვინოს (22%), ჩაის (9%) (ნახაზი №6).

¹ Radman M., Consumer consumption and perception of organic products in Croatia, Faculty of Agriculture, Department of Agricultural Marketing, University of Zagreb, Zagreb, Croatia, 2005, p. 5-6.

² Davies, A., Titterington, A. and Cochran, C. (1995), "Who buys organic food? A profile of the purchasers of organic food in Northern Ireland", British Food Journal, Vol. 97 No. 10, p. 17-23.



დიაგრამა 7. თბილისში ხშირად მოხმარებული ბიოპროდუქტები

ასევე, ქალაქის მაცხოვრებლები (დაახლოებით 38%) ბიოპროდუქტებს ყიდულობენ უფრო ხშირად, ვიდრე სოფლის მოსახლეობა (24%). აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც იზრდებოდა სოფელსა ან რაიონულ ცენტრში, მაგრამ ამჟამად ცხოვრობს თბილისში, უფრო მეტად აფასებს ბიოპროდუქტებს, ვიდრე ქალაქში გაზრდილი მოსახლეობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქში გაზრდილი მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი არის ბიოპროდუქტების მომხმარებელი, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. გამოკვლევით ასევე დადგინდა, რომ სხვა სოციალურ-დემოგრაფიული თავისებურებები ბიოპროდუქტების ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების სისშირეზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ ახდენს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შედეგები მიღებულ იქნა სიცილიელი,¹ ხორვატი¹ და ირლანდიელი მეცნიერების მიერ ბიოპრო-

¹ Chinnici, G., D'Amico, M. and Pecorino, B. (2002), "A multivariate statistical analysis on the consumers of organic products", British Food Journal, Vol. 104 Nos. 3/4/5, p. 187-199.

დუქტების (ორგანული საკვები პროდუქტების) მომხმარებლების შესახებ კვლევით.²

ბევრი მომხმარებელი ვერ ასახელებდა იმ ადგილებს, სადაც შეიძლება შესაბამისი პროდუქტების ყიდვა. გამოკითხულთა 81% არ იცნობს არცერთ ქართულ ფირმას, რომელიც აწარმოებს ბიოპროდუქტებს.

სავარაუდოდ, მომხმარებლები ბიოპროდუქტებად თვლიან იმ პროდუქტებს, რომელიც ნაყიდაა უშუალოდ მწარმოებლებისაგან (ფერმერებისაგან, გლეხებისაგან). ჩვენი კვლევის შედეგად ჩანს, რომ თბილისელი მომხმარებელი კარგად არ არის ინფორმირებული ბიოწარმოების შესახებ.

ბიოპროდუქტების მომხმარებელთა მაღალი მაჩვენებლის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს საკვლევი ჯგუფის სპეციფიკურობა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ წინასაახალწლო სოფლის პროდუქტების ბაზრის მომხმარებლები უფრო მეტად არიან დაინტერესებული ბიოპროდუქტების შეძენით, ვიდრე საშუალო სტატისტიკური მომხმარებელი, რადგანაც თბილისელი მომხმარებლები ყოველთვის ელოდებიან, რომ წინასაახალწლო ბაზრობაზე გამოტანილი იქნება საღი, საოჯახო ფერმერული პროდუქტები.

მეტად საინტერესო გამოდგა მომხმარებელთა გადანდისადმი მზადყოფნისა და ყიდვის შესახებ მიღებული სავარაუდო სამომავლო გადაწყვეტილებების კვლევა. რესპონდენტების 89% თვლის, რომ ბიოპროდუქტების ფასები მაღალია, მხოლოდ 11%-ს მიაჩნია, რომ ეს ფასები ხელმისაწვდომია.

ანკეტის მიხედვით, რესპონდენტებს ვთხოვდით ასევე მიეთითებინათ ჩვეულებრივ საკვებ პროდუქტებთან შედარებით, სურთ თუ არა ბიოპროდუქტებში გადაიხადონ უფრო მაღალი ფასი და რა არის ის თანხა, რომელსაც ისინი დამატებით გადაიხდიან. რესპონდენტთაგან 14%-მა უარი განაცხადა დამატებითი თანხის გადახდაზე; 21% თვლის, რომ ნაკლებად ექნება შესაძლებლობა გადაიხადოს დამატებითი თანხა, ხოლო მომხმარებელთა უმეტესობა (65%)


¹ Radman M., Consumer consumption and perception of organic products in Croatia, Faculty of Agriculture, Department of Agricultural Marketing, University of Zagreb, Croatia, 2005, p. 7-8.

² O'Donovan, P. and McCarthy, M. (2002), "Irish consumer preference for organic meat", British Food Journal, Vol. 104 Nos. 3/4/5, p. 353.

სურვილს გამოთქვამს გადაიხადოს დამატებითი თანხა, რომელიც 10%-ს შეადგენს. რესპონდენტთაგან 9% გადაიხდიდა დამატებით 50%-მდე და მხოლოდ 7% გამოთქვამს სურვილს ბიოპროდუქტებისათვის დამატებით გადაიხადოს 100% (იხ. დიაგრამა 8).

აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი კვლევის შედეგები ემთხვევა მსოფლიოში ანალოგიური კვლევების შედეგებს.¹


რესპონდენტების 78% და მეტი აცხადებს, რომ შედარებით დაბალი ფასების შემთხვევაში, ისინი უფრო ხშირად და დიდი ოდენობით ბიოპროდუქტებს იყიდნენ. რესპონდენტების 16%-ზე ნაკლები არ განიხილავს ფასს, როგორც შემზღვეველ ფაქტორს. რესპონდენტთა 67% ფიქრობს, რომ მომავალში უფრო ხშირად იყიდის ბიოპროდუქტებს. მხოლოდ 28% თვლის, რომ ბიოპროდუქტებს შეიძენს ბავშვებისთვის მაინც. მხოლოდ 5%-ს მიაჩნია, რომ ალბათ არ იყიდის ბიოპროდუქტებს მომავალში.



დიაგრამა 8. მომხმარებელთა დამოკიდებულება ბიოპროდუქტების ფასთან

¹ Stefanic, I., Stefanic, E. and Haas, R. (2001), "What the consumer really wants: organic food market in Croatia", Die Bodenkultur, Vol. 52 No. 4, p. 323-328. Hutchins, R.K. and Greenhalgh, L.A. (1995), "Organic confusion: sustaining competitive advantage", Nutrition & Food Science, Vol. 95 No. 6, p. 11-14. Radman M., Consumer consumption and perception of organic products in Croatia, Faculty of Agriculture, Department of Agricultural Marketing, University of Zagreb, Zagreb, Croatia, 2005. p. 9-10.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიოპროდუქტების სამომავლო შესყიდვის მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ალბათობა აღნიშნული იქნა უმაღლესი განათლების მქონე მომხმარებელთა შორის.



დიაგრამა 9. ბიოპროდუქტების მიმართ მომხმარებელთა გადახდისადმი მზადყოფნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტები ბიოპროდუქტებს განიხილავენ ჯანსაღი და კარგი ხარისხის პროდუქტად. თუმცა ისინი ასევე თვლიან, რომ ასეთი პროდუქტები საკმაოდ ძვირია. მომხმარებლები ამ პროდუქტების ნაკლად მიიჩნევენ მისი შენახვის მოკლე ვადას. ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამენ პროდუქტის გარეგნული იერით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ ბიოპროდუქტებს და თვლიან, რომ ის არის მაღალი ხარისხის და უფრო გემრიელი; ასევე უფროსი ასაკის მომხმარებლები უფრო ერთგულნი არიან ბიოპროდუქტებისადმი, ვიდრე ახალგზრდები.

მომხმარებელთა ბიოპროდუქტების მიწოდებით უზრუნველყოფის დონე დამოკიდებულია სქესზე, ყიდვის სიხშირეზე და შესყიდვის სამომავლო სავარაუდო გადაწყვეტილებაზე – ბიოპროდუქ-

ტისათვის გადაიხადოს დამატებითი ფასი. ბიოპროდუქტების მიწოდებით რესპონდენტების კმაყოფილების გამოსაკვლევად ჩვენ გამოვიყენეთ ხუთბალიანი შეფასების სისტემა, სადაც 5 ბალი აღნიშნავს ძალიან კარგს, ხოლო 1 – ძალიან ცუდს.

როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა დიდი რაოდენობა, არც თუ ისე კარგად იცნობს ბიოპროდუქტების მიწოდებას თბილისში. მიწოდებით კმაყოფილია რესპონდენტების მხოლოდ 28%, რომლებიც მას აფასებენ, როგორც „კარგს“, ხოლო 5 % – როგორც „ძალიან კარგს“. რესპონდენტთა 21% მიწოდების კმაყოფილების დონეს აფასებს „დამაკმაყოფილებლად“, 27% – „ცუდად“, ხოლო 19% – „ძალიან ცუდად“. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ქალები უფრო კმაყოფილნი არიან ბიოპროდუქტების არსებული მიწოდებით, ვიდრე კაცები.

სურსათის უსაფრთხოებისა და კანონმდებლობისადმი დამოკიდებულების შესწავლის დროს რესპონდენტთა 42%-მა აღნიშნა, რომ საქართველოს არა აქვს სურსათის ხარისხის შესაბამისი სტანდარტები. მხოლოდ 9% ფიქრობს, რომ ეს სტანდარტები კარგად არის განსაზღვრული. რესპონდენტების 49%-ს წარმოდგენა არა აქვთ საქართველოში სურსათის სტანდარტების შესახებ.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს მომხმარებლების არასაკმარის ნდობას სურსათის სტანდარტების მიმართ, მაგრამ ყველაზე მეტად აღსანიშნავია კანონმდებლობის შესახებ ქართველი მომხმარებლების არაადეკვატური ცოდნა.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ბიოპროდუქტებს ქართველი მომხმარებელი მიიჩნევს როგორც ჯანსაღ, კარგი ხარისხისა და გემოს პროდუქტებად. თუმცა ეს პროდუქტები მიჩნეულია როგორც საკმაოდ ძვირი და არც თუ ისე კარგი შესახედაობის. მომხმარებლები კარგად არ იცნობენ ბიოპროდუქტების მიწოდებლებს ბაზარზე. მომხმარებელთა უმეტესობას აქვს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება ბიოპროდუქტებისადმი და აცხადებენ მზადყოფნას, გადაიხადონ მომატებული ფასი აღნიშნულ პროდუქტებში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას არ სმენია ბიოწარმოების შესახებ, რის გამოც უმეტესობა თავს არიდებდა გამოკითხვას. ამიტომ, მომხმარებელთა ამ კუთხით ინფორმირებულობა და განათლება უნდა იქცეს ერთ-ერთ უპირველეს

მიზნად ბიოპროდუქტის მწარმოებელთათვის. მნიშვნელოვანი ამოცანაა ის, რომ მომხმარებელი გახდეს უფრო გათვითცნობიერებული, თუ რა არის ბიოპროდუქტი, როგორ უნდა მოხდეს მისი დიფერენცირება ბაზარზე. საგანმანათლებლო ღონისძიებები, გამოფენები და სხვა აქტივობები უნდა იმართებოდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიომწარმოებელთა ორგანიზაციების მიერ. ბიოპროდუქტების რეკლამირებას, განსაკუთრებით შესაძლო სადისტრიბუციო არხებში, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ამ კვლევის შეზღუდვაა ის, რომ იგი შემოიფარგლა საქართველოს ერთი რეგიონით – თბილისი. დამატებით კვლევებს უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სხვა რეგიონებიც.

სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, ქართულ ბიოპროდუქციას საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება შეუძლია. საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად ბიოპროდუქციის სექტორის არჩევა ყველაზე პერსპექტიული და საიმედო გზაა. ეს ერთადერთი სექტორია, სადაც მოთხოვნა ჯერჯერობით ჭარბობს მიწოდებას. აღნიშნულ პროცესს ხელს უშლიდა საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის არქონა, შესაფუთი მასალის ხელმიუწვდომლობა, ცუდი ლოჯისტიკა და სხვა ფაქტორები.

3.2 სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება და აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტები

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის გაზრდა;
- ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა, ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე პოზიციების გაძლიერება;

- სოფლად შემოსავლების გაზრდა და ექსპორტზე ორიენტირებული გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

მიზნების მისაღწევად დარგის ძირითადი ამოცანებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- ტრადიციული ბაზრის დაბრუნება და გასაღების ახალი ბაზრის მოპოვება;

- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება და აგროსაინჟინრო ცენტრების შექმნა;

- მეთესლეობის სისტემის განვითარება;
- სურსათის უვნებლობის ინფრასტრუქტურის სრულყოფა;
- გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობა;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეფორმა;
- სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარება;
- ფერმერთა კოოპერაციული საწარმოების განვითარება;
- იაფი და გრძელვადიანი კრედიტების სისტემის ჩამოყალიბება;

- პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის ზრდისათვის საკონსულტაციო ქსელის შექმნა;

- შიდა ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული, კონტრაბანდული და დემპინგური პროდუქციისგან;

- მცენარეთა და ცხოველთა უნიკალური ჯიშების დაცვა, ტრადიციული დარგების აღორძინება და განვითარება;

საქართველოს თანმიმდევრული ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სივრცეში საქართველოს მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ევროკავშირთან დაახლოება და ინტეგრაცია ქვეყნის ისტორიულ-კულტურული და ეკონომიკური ამოცანაა. ამ ეტაპზე აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, ევროპული სტანდარტებისა და ნორმების დანერგვის ხელშეწყობა, ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და ევროპულ ინიციატივებში აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები უნდა მოიცავდეს:

- აგრარული, გადამუშავებელი სექტორის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის და მაღალი ტექნოლოგიების განვითარებისთვის პირობების უზრუნველყოფას;

- გარემოს დაცვითი მაღალი სტანდარტების დანერგვას და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში უკვე ჩამოყალიბდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, განვითარდა საერთო თავდაცვის პოლიტიკა, შექმნა საერთო ევროპული არმიის განვითარების გეგმა და დაინიშნა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკავშირის მინც რჩება ეკონომიკურ გაერთიანებად და ეკონომიკური მანქვნილები უმთავრესი კრიტერიუმია, რითაც ფასდება კანდიდატი ქვეყნების ვარგისიანობა კავშირში გასაერთიანებლად. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე კი საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

სოფლის მეურნეების დარგში ძირითად პრობლემას ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების ადაპტაცია წარმოადგენს. ეს ნორმები და სტანდარტები თითქმის ყველა სახის პროდუქციაზე ვრცელდება. გაწვევრიანების შემთხვევაში კანდიდატ სახელმწიფოებში უნდა აიკრძალოს ნებისმიერი სახის პროდუქციის დაშვება ბაზარზე, რომლებიც არ შეესაბამებიან ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემოღებულ ნორმებსა და სტანდარტებს. ასევე მკაცრად არის რეგლამენტირებული პროდუქციის წარმოების (მათ შორის სასუქისა და ცხოველების საკვების გამოყენების), ლაბორატორიული ანალიზის, სერტიფიცირების წესები.

მოლაპარაკებების მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნებისათვის კვოტების დაწესება ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ვაჭრობისას. ამ მიმართულებით, საქართველოს წინ ელოდება რთული მოლაპარაკებები მის პოტენციურ კონკურენტებთან ისეთი ტრადიციული სახის ნაწარმის გარშემო, როგორცაა ღვინო, ხილის წვენი, ცირუსები და სხვ.

ევროკავშირის ქვეყნები სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდასაჭერად 1957 წლიდან ახორციელებენ ერთიან აგრარულ პოლიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვეყნები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან და აღიარებენ თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკის პრინციპებს, ისინი აგრარულ სექ-

ტორში ატარებენ საკმაოდ მკაცრ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რომლის საშუალებასაც, გარკვეულ ფარგლებში, თავად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია იძლევა.

ევროკავშირის აგრარული წარმოება მხოლოდ ნაწილობრივ ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება, გადაამუშავება და ვაჭრობა ერთიანი აგრარული პოლიტიკით რეგულირდება. დღეისათვის ევროკავშირის ბიუჯეტის 50%-ზე მეტი აგრარული პოლიტიკის განხორციელებაზე იხარჯება.

ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა განსაზღვრავს და არეგულირებს აგროსექტორის ოთხ სფეროს: სოფლის მეურნეობის ბაზარს და პროდუქტების ფასებს, მის სტრუქტურას, სოციალურ სფეროსა და ლანდშაფტს. ბაზარი და პროდუქტების ფასები, ასევე ლანდშაფტის მოვლა რეგულირდება ევროკავშირის დონეზე, ხოლო სოფლის მეურნეობის სტრუქტურასა და სოციალურ სფეროს ინდივიდუალურად არეგულირებენ კავშირის წევრი სახელმწიფოები ბრიუსელის შეთანხმებებით.

ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად სხვადასხვა ინსტრუმენტები და ღონისძიებებია შემუშავებულია. ბაზრის რეგულირებისა და ფასთა პოლიტიკის კუთხით მნიშვნელოვანია საბაჟო გადასახადები, საექსპორტო სუბსიდიები, იმპორტული სურსათის რაოდენობის შეზღუდვა, მინიმალურ სახელმწიფო ფასები, სუბსიდიები, ფულადი პრემიები, აგრარულ-პოლიტიკური ინსტრუმენტები.

თუ შევადარებთ ევროკავშირის ქვეყნებისა და მსოფლიოში სურსათის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნების (აშშ, კანადა, ბრაზილია, არგენტინა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩინეთი) სოფლის მეურნეობებს დავინახავთ, რომ ევროპის სოფლის მეურნეობა ხასიათდება მცირე მეურნეობებით, შრომის მაღალი ანაზღაურებითა და მექანიზაციის ზედმეტად მაღალი დონით. ყოველივე ამის გამო ევროგაერთიანების ქვეყნებში წარმოებული საკვები პროდუქტების ფასები, უმეტეს შემთხვევაში, აღემატება მსოფლიო ბაზრის ფასებს და შესაბამისად, არაკონკურენტუნარიანია უფრო იაფი, იმპორტული სურსათის მიმართ. საკუთარი აგრარული ბაზრის დასაცავად ევროკავშირმა შემოტანილ პრო-

დუქტებზე საბაჟო გადასახადები დააწესა. საბაჟო ტარიფების სიდიდე შეიძლება იყოს მუდმივი ან ცვალებადი. მათი დანიშნულებაა გააძვიროს უფრო იაფი იმპორტული სურსათი და ამით დაიცვას საკუთარი აგრობაზარი გარე კონკურენტებისაგან. გარდა ამისა, ცვალებადი საბაჟო ტარიფებით ხდება მსოფლიოში წარმოებული პროდუქტების მერყევი ფასების სტაბილიზაცია. ეს, თავის მხრივ, იცავს შიდა აგრობაზარს ფასთა ცვალებადობებისაგან და სურსათის ფასების სტაბილიზაციას უზრუნველყოფს.

ევროგაერთიანებაში ზოგიერთი სახის პროდუქტის მიწოდება მასზე მოთხოვნას აღემატება, შესაბამისად ადგილი აქვს ჭარბწარმოებას. ამიტომ აუცილებელი ხდება ამ ჭარბი სურსათის გატანა და საზღვარგარეთ გაყიდვა. მაგრამ მსოფლიო ბაზრის ფასებთან შედარებით, შიდა ბაზარზე ფასები უფრო მაღალია და მათ გასასაღებლად აუცილებელია ფასების შემცირება. დაბალი ფასების გამო ფერმერების შემოსავლების შემცირების აღმოსაფხვრელად და ზარალის მინიმიზაციისათვის, ევროგაერთიანება აწესებს საექსპორტო სუბსიდიებს. ფერმერი ევროკავშირის აგრარული ბიუჯეტიდან კომპენსაციის სახით იღებს ფასდაკლების სიდიდის თანხას პროდუქტის ყოველ ტონაზე.

საექსპორტო სუბსიდიები დიდ ტვირთად აწვება ევროკავშირის მთლიან ეკონომიკას, აფერხებს ღარიბი ქვეყნების აგრარული ბაზრების განვითარებას და ამიტომ ბოლო დროს უფრო იშვიათად გამოიყენება.

ევროკავშირი შიდა და გარე ბაზრებზე არსებული სიტუაციების შესაბამისად იყენებს სურსათის ფასების პირდაპირი რეგულირების (საბაჟო გადასახადი), ირიბი რეგულირების (იმპორტული სურსათის რაოდენობის შეზღუდვა), ნაწილობრივი შეზღუდვის (იმპორტის კვოტირება, როცა პროდუქტის იმპორტის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობაა დასაშვები) და სრული შეზღუდვის (იმპორტის აკრძალვა) ინსტრუმენტებს, რაც ხელს უწყობს საკუთარი პროდუქციის ფასების სტაბილიზაციას.

ევროკავშირის სახელმწიფოების უმრავლესობა აგრარული ბაზრის რეგულირებაში პირდაპირ ინტერვენციას ახდენს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალ სახეობაზე დაწესებული აქვს გარანტირებული, მინიმალური ფასები (ფასების ქვედა ზღვა-

რი). მათი სიდიდე პროდუქტების თვითღირებულების ფარგლებში მერყეობს. პროდუქტის საბაზრო ფასის სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ფასამდე (ანუ თვითღირებულებამდე) შემცირების შემთხვევაში სახელმწიფო თვითონ შეისყიდის პროდუქტს შემცირებულ ფასად. ფაქტიურად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ფასით ხელოვნურად ხდება საბაზრო ფასის ქვედა ღონის დაფიქსირება, ანუ ფასის ვარდნით მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილება.

მინიმალური ფასები დაწესებულია ევროკავშირში წარმოებული საკვები პროდუქტების სახეობების 70%-ზე. ამ პროდუქტებს მიეკუთვნება მარცვლეული, შაქარი, რძის პროდუქტები, ხორცი, ხილის, ბოსტნეულისა და ღვინის ზოგიერთი სახეობები.

აგრარული სექტორის ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის მიერ დაწესებულია სუბსიდიები – ფულადი დახმარებები. სუბსიდია შეიძლება გაიცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, წარმოების საშუალებების შეძენასა და სურსათის მომხმარებელზე. სუბსიდიის გაცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გულისხმობს ფერმერებისათვის კომპენსაციის გადახდას შიდა საბაზრო ფასზე დაბალ ფასში პროდუქტის გაყიდვის გამო.

წარმოების საშუალებების სუბსიდიას ეკუთვნის მაგალითად, ფერმერებისთვის შეღავათიანი კრედიტის დაწესება, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ კომერციული კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთია 5%, მაშინ ფერმერი იხდის 3%-ს, ხოლო დანარჩენ 2%-ს ფარავს სახელმწიფო (საბანკო ანგარიშზე ფულის ჩარიცხვით).

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას მისი ღირებულების 20-30% ასევე სახელმწიფო სუბსიდიების მეშვეობით ფინანსდება. ფერმერებისთვის დაწესებულია აგრეთვე დიზელის საწვავის შეღავათიანი ფასები. საბაზრო ფასთან შედარებით, ფერმერს დიზელის საწვავის შეძენა თავისი ტექნიკისთვის დაახლოებით 38%-ით იაფად შეუძლია.

რაც შეეხება მომხმარებლების სუბსიდიებს, ისინი გაიცემა არა უშუალოდ მომხმარებლებზე, არამედ სურსათით მოვაჭრეებზე, რითაც სურსათით შესყიდვა-გაყიდვის დროს მისი შემდგომი გაძვი-

რების თავიდან აცილება ხდება. ასეთი ღონისძიებებით კი საბოლოოდ მოგებული მომხმარებელი რჩება.

ევროპაში დამკვიდრებულ ე.წ. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო ცდილობს სავადასახადო და პრემიალური სისტემის მეშვეობით დასაქმებული პირების შემოსავლებს შორის სხვაობა შეამციროს. რადგან ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით სოფლის მეურნეობა დაბალრენტაბელური დარგია, ევროგაერთიანებას ფერმერებისთვის დაწესებული აქვს ფულადი პრემიები. ისინი გაიცემა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ან პირუტყვის სულადობის მიხედვით. მაგალითად, თუ ფერმერს მოჰყავს ხორბალი, ის ყოველ 1 ჰა სახნავ მიწაზე სახელმწიფოსაგან წელიწადში დაახლოებით 340 ევროს იღებს, ან თუ ფერმერი ასუქებს მოზერებს და ყიდის საქონლის ხორცს, ის ყოველ სულ მოზვერზე წელიწადში დაახლოებით 200 ევროს იღებს. პრემიების სიდიდე საწარმოო პროცესზე დამოკიდებული (რძის, ხორცის, მარცვლეულის და ა.შ. წარმოება) და იგი ისეა დადგენილი, რომ ფერმერის წარმოება უზარალო იყოს. პრემიები ფერმერებისთვის წარმოადგენს ერთგვაროვან კომპენსაციას ზარალის გამო. სოფლის მეურნეობის წამგებიანი წარმოების მთავარი მიზეზია ის, რომ მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასები გაცილებით ნელა იზრდება, ვიდრე წარმოების საშუალებებზე, რის გამოც შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია.

პრემიების მიღების აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს ის, რომ ფერმერი ვალდებულია, ყოველწლიურად დაასვენოს თავის მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მინიმუმ 15%.

ევროგაერთიანება თანდათან არბილებს პროდუქტების ფასების ხელოვნური გამყარების ინსტრუმენტებს (საბაჟო გადასახადები, მინიმალური სახელმწიფო ფასები და ა.შ.) და სანაცვლოდ, ზრდის პრემირების სიდიდეს. ამან თანდათან უნდა აღმოეზნოს პროდუქტების ჭარბწარმოების უარყოფითი მოვლენები და ევროკავშირის ბაზრის ფასები მსოფლიო ბაზრების ფასებს დაუახლოვოს.

ეკონომიკაში პორტექციონისტული პოლიტიკის გატარების აკარგიანობის შესახებ დღესაც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი აზრი. ამ პოლიტიკის გატარებას აქვს როგორც დადებითი, ასევე

უარყოფითი მხარეები. აღსანიშნავია ის, რომ დღეს მსოფლიოს ბევრი განვითარებული ქვეყანა აგრარულ სფეროში პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებს, ხოლო ზოგმა ქვეყანამ ამგვარი მიდგომები მეტ-ნაკლებად შეარბილა. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავისუფალი ბაზრების განვითარების მომხრედ გვევლინება, საკუთარი ბაზრის სექტორის დასაცავად ხშირად არ ერიდება ყველაზე მკაცრი აგრარულ-პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებას – თვით პროდუქტების იმპორტის აკრძალვის ჩათვლით. ამის მაგალითია აშშ-ის მიერ ბოლო წლებში არგენტინული თაფლის იმპორტის აკრძალვა იმ მიზეზით, რომ თითქოს არგენტინული თაფლი არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ ხარისხს. თუმცა, სინამდვილეში ამ აკრძალვის მიზეზი უცხოური თაფლის კონკურენციისაგან საკუთარი თაფლის წარმოების დაცვა იყო. დაახლოებით მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი ბოლო წლებში, როცა ევროკავშირმა, პესტიციდების აღმოჩენის საბაბით, აკრძალა უფრო იაფი ჩინური თაფლის იმპორტი. აღსანიშნავია, რომ მანამდე, წლების განმავლობაში, ევროპაში იმავე ხარისხის ჩინური თაფლი იყიდებოდა და მაშინ მასში პესტიციდები არავის აღმოუჩენია. ამ შემთხვევაშიც რეალური მიზეზი საკუთარი თაფლის ბაზრის დაცვა იყო¹.

აგროსექტორის პროტექციონიზმის კარგი მაგალითია თურქეთის აგრარული პოლიტიკა. თურქეთის სახელმწიფო საკუთარი ფერმერებისაგან ყოველწლიურად გარანტირებულ ფასებში ახორციელებს მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების საკვები პროდუქტების შესყიდვას, რათა მათი შემოსავლების სტაბილურობა უზრუნველყოს. ამისათვის, თურქეთის სახელმწიფოს ხშირად საგარეო ვალის აღებაც უხდება. გარდა ამისა, თურქეთი ატარებს კიდევ სხვა აგრარულ-პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ზემოთ განხილული ევროკავშირის აგრარულ-პოლიტიკური ინსტრუმენტები.

საქართველოს აგრარული სექტორი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეფუძვნება. თავისუფალი საბაზრო ეკონო-

¹ გ. გავაშელიშვილი, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებები, ჟურნალი „აგროინფო“, 2007 №14, გვ. 8.

მიკა ბრწყინვალე მოდელია, მაგრამ იგი გამართლებულია მაშინ, როცა ყველა კონკურენტი მის პრინციპებს აღიარებს. სინამდვილეში, ჩვენი კონკურენტი ქვეყნები ხელოვნურად, პრიორიტეტულ მდგომარეობაში აყენებენ საკუთარ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. შედეგად, ქართველი ფერმერები არათანაბარ კონკურენტულ პირობებში იმყოფებიან უცხოელ ფერმერებთან შედარებით. თუ ქართულმა სახელმწიფომ სოფლის მეურნეობას ნაწილობრივ მაინც არ შეუწყო ხელი მისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ყოველთვის არაკონკურენტუნარიანი იქნება და ასეთი პრობლემები, როგორებიც არის პროდუქტების ფასების შემცირება და გასაღების სირთულეები, კვლავაც გაგრძელდება. შედეგად, დაზარალებულ ფერმერებს არ ექნებათ საარსებო შემოსავლები, საკმარისი კაპიტალი ინოვაციებისთვის, რათა აწარმოონ ხარისხიანი პროდუქტები და შეუძლებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უწყვეტი წარმოება. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ საქართველოში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები და არებული მოსავალი თითქმის განახევრდა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს აგრარული სექტორის პროტექციონისტული პოლიტიკა აუცილებელია. ჩვენი ბაზარი გაჯერებულია იმპორტული, ხშირად დაბალხარისხიან და ჯანმრთელობისათვის მავნე საკვები პროდუქტებით. ქვეყანას არ გააჩნია ძირითადი საკვები პროდუქტების (მარცვლეული, ხორცი, რზე, ცხიმი) წარმოების სტრატეგიული მინიმალური დონე, რაც მტრულ გარემოცვაში მყოფი საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია. იმპორტული პროდუქტები ხშირად სუბსიდირებულია, ანუ ხელოვნურად გაიაფებულია საკუთარი სახელმწიფოების მიერ და ისინი ადვილად უწევენ კონკურენციას ქართულ პროდუქტებს.

იმის გამო, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა არ ხდება და აგრარული ბაზარი დაუცველია იაფი იმპორტული პროდუქტებისაგან, ჩვენი ფერმერები ცდილობენ რაც შეიძლება იაფად, ანუ მიწისა და გარემოს ხარჯზე აწარმოონ პროდუქცია. ყურადღება არ ექცევა სათიბ-საძოვრების მენეჯმენტს, სავარგულების ნაყოფიერების შენარჩუნების ღონისძიებებს და ა.შ. შედეგად, ადგილი აქვს ჩვენი ნიადაგების ფორსირებულ გამოფიტ-

ვასა და ეროზიას. განსაკუთრებით ეს ეხება 12 გრადუსზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობებს¹. ასეთი ფერდობები საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილს შეადგენს. ნიადაგების ეროზიისა და გაუდაბნობის სამწუხარო მაგალითები მრავლადაა ქართლ-კახეთისა და მესხეთის მშრალ ადგილებში.

საერთაშორისო აგრარულ ბაზრებზე მასობრივი წარმოების, დაბალხარისხიანი, ქიმიური დანამატებით გაჯერებული საკვები პროდუქტები დომინირებს. ისინი შედარებით იაფია და ღარიბი ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი. ნატურალური, მაღალხარისხიანი პროდუქტები საერთაშორისო ბაზრებზე საკმაოდ მაღალ ფასად იყიდება და მათი რაოდენობაც შეზღუდულია, რადგან თვით მაღალგანვითარებული ქვეყნებიც კი ვერ ახერხებენ აღნიშნული პროდუქტებით საკუთარი მოსახლეობის დაკმაყოფილებას.

განვითარებულ ქვეყნებს შემუშავებული აქვს აგრარული სექტორის ხელშემწყობი პოლიტიკა და ამ მხრივ არც საქართველო უნდა იყოს გამონაკლისი. ეს პროცესი საკმაოდ მაღე უნდა დაიწყოს. პროტექციონისტული აგრარული პოლიტიკის გრძელვადიან პერიოდში გატარება არაეფექტიანია, მას უარყოფითი შედეგები აქვს: დარგის განვითარების გარკვეული ღონით მიღწევის შემდეგ ხდება წარმოების კონკურენტუნარიანობის დაქვეითება და საკვების გაძვირება, რითაც საბოლოო ჯამში მომხმრებლები დაზარალდება. მაგრამ საწყის ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფოსაგან დარგის მხარდაჭერა, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს დარგის გარკვეულ ღონემდე გასავითარებლად, სანამ ჩვენი პროდუქცია კონკურენტუნარიანი არ გახდება. გადაწყვეტილებების მიღება არსებული სიტუაციის შესწავლისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამ გზას გადის დღეს ევროპა, თურქეთი, ბრაზილია, არგენტინა და კიდევ მრავალი სხვა ქვეყანა.

არსებული საკითხებიდან გამომდინარე, საქართველოს აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგ ღონისძიებებზე:

¹ გ. გავაშელიშვილი, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებები, ჟურნალი „აგროინფო“, 2007 №14, გვ. 9.

1. სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. მიწის რესურსების მენეჯმენტი;
3. ირიგაცია.

საქართველოს მთავრობის სამი პრიორიტეტული მიზნების – ეკონომიკური ზრდა, სამოქალაქო წესრიგი და სიღარიბის დაძლევა – მისაღწევად აგრო-სასურსათო სექტორის ადეკვატურად განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ ამ პრიორიტეტების შესაბამისად იქნა განსაზღვრული და დასმული ქვემოთ მოცემული მიზნები და ამოცანები მომდევნო ათი წლისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს შემდეგი დარგობრივი და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით:

1) მებაღეობის, ბოსტნეული კულტურები და სპეციფიკური კულტურები;

მაღალი ღირებულების კულტურებს, როგორცაა, ხილი, ბოსტნეული, თხილი, ყურძენი და სხვა სპეციფიკური კულტურები, უდიდესი პოტენციალი გააჩნია. მათ შეუძლიათ არსებითი წვლილის შეტანა საქართველოს დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ეროვნული მიზნების მიღწევაში და შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებისას პრიორიტეტად უნდა იქცეს.

2) მევენახეობა-მელვინეობის სექტორის განვითარების მხარდაჭერა, ინიციატივების ხელშეწყობა, დახმარება და განხორციელება, კერძოდ:

- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების განვითარება გეოგრაფიული და ადგილწარმოშობის დასახელების, რეგისტრაციისა და დამკვიდრების პროგრამის განხორციელების დასრულებით;

- მკაცრი ზომებისა და პროგრამების შემუშავება ქართული ღვინის ბრენდების, ხარისხის და სასაქონლო სახის გაყალბებისა და ფალსიფიცირებისგან დასაცავად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

- სახელმწიფო-კერძო სექტორის თანამშრომლობით შესაბამისი ორგანოს ჩამოყალიბება ქართული მელვინეობის პროდუქციის

განვითარების ხელშესაწყობად და გლობალურ ბაზარზე მის დასაცავად;

- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შეცვლა და განახლება;

- ღვინის მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების, პარტნიორთა წრის გაფართოებისა და საკრედიტო რესურსების მოზიდვის მიზნით სათანადო კვლევის წარმოება;

- ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და მათ შორის კომერციულად სიცოცხლისუნარიანი სახეობების იდენტიფიცირება;

- მეღვინეობის დამხმარე და მასთან ასოცირებული ახალი წარმოებისა და მომსახურების (ტარა, დასაძველებელი მუხის კასრები, ხარისხიანი ეტიკეტები) განვითარების შესაძლებლობების შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევა;

3) ჩაის სექტორში თანმიმდევრული და კომპლექსური პროგრამის განხორციელება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს:

- დაბალხარისხიანი ჩაის წარმოების მოცულობის ზრდის ნაცვლად ხარისხის გაუმჯობესებასა და საბაზრო ნიშის სრულყოფაზე აქცენტის გადატანა;

- ჩაის განვითარების პროგრამის განხორციელება, რომელსაც მენეჯმენტს საბანკო სექტორი გაუწევს. პროგრამის ფარგლებში დახმარების მიზნობრივი მიმღებები ის საწარმოები იქნებიან, რომლებსაც ექნებათ საკუთარი პირველადი წარმოება, ან კავშირი პირველად წარმოებასთან და თავიანთი ქმედებები გამყარებული ექნებათ თანმიმდევრული ბიზნეს-გეგმებით, საკუთრებისა და მართვის რაციონალური სტრუქტურებითა და საიმედო ენერგომომარაგების წყაროებით;

- ჩაის ფართობების ინვენტარიზაციის განხორციელება, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სტრატეგია იმ ფართობებისათვის, რომელზეც მიზანშეწონილი იქნება ჩაის კულტურის მოყვანა, ფართობებისთვის, რომელზეც შესაძლებელია ალტერნატიული კულტურების გაშენება და ფართობებისთვის, სადაც ჩაის კულტურას პერსპექტივა არა აქვს;

- ჩაის ალტერნატიული კულტურების შესაძლებლობების კვლევა ცალკეულ ფართობებზე;

- პარტნიორთა წრის გაფართოება და ჩაის ფაბრიკებისთვის საკრედიტო პროგრამების შემუშავება.

